ეროვნული
ბიბლიოთეკა

№297 (12 367)
20 დეკემბერი ხუთშაბათი 2007
გამოდის 1934 წლიდან
ფასი 50 თეთრი

ეროვნული ნაკრები. ამხანაგური მატჩი

6 თებერვალს ლატვიასთან ვითამაშებთ

საქართველოს ეროვნული ნაკრები უახლოეს მატჩს 6 თებერვალს გამართავს თბილისში ლატვიის ნაკრებთან. ლატვიასთან თამაშის ვარიანტი თავდაპირველად თითქოს არც განიხილებოდა, თუმცა საბოლოოდ მოლაპარაკება სწორედ ბალტიისპირელებთან მოხდა.

დღემდე საქართველოსა და ლატვიის ნაკრებები ერთმანეთს ოთხჯერ შეხვედრიან. ორი მატჩი ქართველებმა მოიგეს, ერთი ლატვიელებმა და ერთიც ფრედ დასრულდა. ბურთების შეფარდება 7:5 ჩვენს სასარგებლოდ. იმ ერთ მატჩში, რომელშიც საქართველოს ნაკრები დამარცხდა, ლატვიელებს რევაზ ძოძუაშვილი წვრთნიდა.

ლატვიის ეროვნული გუნდის შემდგომ, საქართველოს ამ ქვეყნის ახალგაზრდული ნაკრებიც ესტუმრება, 25 მარტს ლატვიელი ახალგაზრდები ქართველ თანატოლებს ეთამაშებიან ამხანაგურად.

რაც შეეხება, ჩვენი და ლატვიის ახალგაზრდული ნაკრებების ურთიერთშეხვედრებს, აქამდე ნათამაშებ ორივე მატჩში ქართველებმა იმარჯვეს.



სერიოზულად ვფიქრობთ ქართველ მთავარ მწვრთნელზე ერთ-ერთ ასაკობრივ ნაკრებში

ინტერვიუ გოგი ქავთარაძესთან 3

ცქიტიშვილი და მენთეშაშვილი კაიზერსლაუტერნში მიდიან

ტოპმიოლერი გუნდისთვის მწვრთნელს შეარჩევს?

ცოტა ხნის წინათ კაიზერსლაუტერნში მოლაპარაკებაზე მყოფი ლევან ცქიტიშვილისა და ზურაბ მენთეშაშვილის "კაიზერსლაუტერნში" გადასვლა გადაწყვეტილი ამბავია. საქართველოს ნაკრების ნახევარმცველებთან წუხელ დაკაშირება ვერ შევძელით, მაგრამ ეს ცნობა ფეხბურთელებთან დაახლოებულმა წყარომაც დაგვიდასტურა. უფრო მეტიც, ცქიტიშვილსა და მენთეშაშვილს "კაიზერსლაუტერნში" 3 იანვარს ელიან.

2

www.kazbegi.com

გასხლენი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლევან ცქიტიშვილი

ზურაბ მენთეშაშვილი

ცქიტიშვილსა და მენთეშაშვილს კაიზერსლაუტერნში ელიან

ტოპმიოლერი გუნდისთვის მწვრთნელს შეარჩევს?

ლევან ცქიტიშვილი და ზურაბ მენთეშაშვილი, დეკემბრის დასაწყისში იმყოფებოდნენ გერმანიაში. მათ "კაიზერსლაუტერნში" სამედიცინო შემოწმებაც გაიარეს და კლუბის ხელმძღვანელობასთანაც ჰქონდათ მოლაპარაკებები. მოსალოდნელი ტრანსფერის თაობაზე, "ლელოსთან" საუბარში ლევან ცქიტიშვილმა განაცხადა, რომ "კაიზერსლაუტერნს" მომავალი კონტრაქტის პირობებზე მოურიგდა და თუ კლუბი ახალ სპონსორსა და საჭირო ფინანსებს მოიძიებდა, ტრანსფერსაც ვერაფერი დააბრკოლებდა. ფეხბურთელები 18-19 დეკემბრისთის ელოდნენ გერმანიიდან სატელეფონო ზარს საკითხის საბოლოოდ გასარკვევად. მოვლენებიც სწორედ ამ სცენარით წარიმართა.

ცქიტიშვილისა და მენთეშაშვილის "კაიზერსლაუტერნში" მოსალოდნელ ტრანსფერს ადასტურებს გუშინ ღამით გერმანული ვებგვერდებზე გავრცელებული ინფორმაციებიც:

"საქართველოს ნაკრების ფეხბურთელების, ლევან ცქიტიშვილისა და ზურაბ მენთეშაშვილის "კაიზერსლაუტერნში" ჩარიცხვის საკითხი გადაწყვეტილია. ორიოდე კვირაში ეს ფეხბურთელები "ლაუტერნთან" კონტრაქტებს გააფორმებენ. ისინი რამდენიმე დღის განმავლობაში ვარჯიშობდნენ "ლაუტერნში" და იქვე გავლილი სამედიცინო შემოწმების შედეგებიც დამაკმაყოფილებელი აღმოჩნდა".

რაც შეეხება, "კაიზერსლაუტერნის" მთავარი მწვრთნელის საკითხს, ოფიციალურად **კიეტილ რეკდალი** გუნდის თავკაცის პოსტიდან ჯერ არავის გაუთავისუფლებია, თუმცა ყველა წყარო ერთხმად აღნიშნავს, რომ მას "ლაუტერნთან" განშორება ვადაზე ადრე მოუწევს. პრესის კითხვაზე, შეუძლია თუ არა **კლაუს ტოპმიოლერს** გუნდს მწვრთნელის შერჩევაში დაეხმაროს, საქართველოს ნაკრების თავკაცი აცხადებს, რომ თუ მწვრთნელის პოსტი ვაკანტური იქნება და კლუბის ხელმძღვანელობის სურვილი იქნება, ტოპმიოლერი "ლაუტერნისთვის" მწვრთნელის მოსაძიებლად რამდენიმე ცნობილ სპეციალისტს დაუკავშირდება, რომელთაც მისივე თქმით კლუბისთვის სარგებლის მოტანა შეუძლიათ.

დავით ცაბაძე

ხიზანიშვილის ასმეოცე

ინგლისში **ზურაბ ხიზანიშვილს**, როგორც იქნა, თამაშის საშუალება მიეცა, მაგრამ არც იმდენად, რასაც "ქარლინგის თასის" მეოთხედფინალური მატჩის წინ ბრიტანული წყაროები გვამცნობდნენ - ზურა **მარკ ჰიუზმა** "არსენალთან" მატჩის ბოლო, 120-ე წუთზე შეუშვა. "ბლექბერნი" 2:2 ეთამაშა ლონდონურ კლუბს, შემდეგ კი ხორვატო **ედუარდო და სილვას** მიერ დამატებულ დროში, 104-ე წუთზე, გატანილი გოლის გამო გამოეთიშა ტურნირს. ხიზანიშვილმა **სტივენ უორნოკი** შეცვალა. იმედია, კვირას "ჩელსისთან" საშინაო მატჩში უელსელი სპეციალისტი უფრო მეტი ხნით ენდობა ქართველ მცველს.

ნიკოლოზ ნეფარიძე

ნახევარი ოლიმპი ტრანსფერზე დააყენეს

ჯიქია ანჟიში, გეწაძე შახტიორში, ჯუღელი საქმეში

გუშინდელ ნომერში ვწერდით რუსთავის "ოლიმპი" **მიხეილ ალავიძემ** რომ დატოვა და მის მაგივრად კლუბმა "ბორჯომიდან" **ბექა შეყრილაძე** რომ გადაიბირა.

ეს მხოლოდ "ჟურნალი" იყო, რასაც გუნდის შემადგენლობაში რადიკალური ცვლილებები მოყვა. გუშინ კლუბის პრეს-ატაშე **პაატა კვანტალიანმა** მნიშვნელოვანი სიახლეები გაგვანდო.

უკვე შეგვიძლია ვთქვათ, რომ "ოლიმპი" ალავიძესთან ერთად დატოვეს, **ქებაძემ, დვალიშვილმა, ჯიქიამ, მესხმა, ყრუაშვილმა** და **გეწაძემ**. სიას აგრძელებენ ლეგიონერებიც, კონგოელი **ბოდრი ჯილდასი** და **ვლადან ჟივკოვიჩი**. მართალია, ჯერ კლუბი ოფიციალურ განცხადებას არ აკეთებს, მაგრამ ჩვენი ინფორმაციით, "ოლიმპი" ნახევარმცველ **ალეკო კოშკაძესაც** შეელია.

თავდამსხმელი **რეზო ჯიქია** მახაჩყალის "ანჟიში" მიიწვიეს. ყველაზე დიდი და უსიამოვნო მოულოდნელობა რეზო გეწაძის ყაზახური ტრანსფერია. ჩვენი ინფორმაციით, რეზო კონტრაქტის გაფორმებას ყარაგანდის "შახტიორთან" აპირებს.

ვერ ვიტყვით, რომ პერსპექტიული ბიჭისთვის კარიერის ასეთ ქვეყანაში გაგრძელება სასურველია. ერთადერთი ის გვეიმედება, რომ "შახტიორში" მას რევაზ ძოძუაშვილი დახვდება, რომლის ხელშიც ზრდის შანსი აუცილებლად ექნება.

გუნდი დატოვა ახალგაზრდული ნაკრების მცველმა **გიორგი ნავალოვსკიმაც**, მაგრამ მისი მომავალი ჯერ ბურუსითაა მოცული: *"რუსთავიდან წამოვედი, ეს ჩემი პრინციპული გადაწყვეტილება იყო. საქართველოს ჩემპიონატში თამაში აღარ მსურს. გუნდში გვითხრეს, ვისაც წასვლა სურს, თავიდანვე გვითხარით, მეორე წრეში თქვენი შემცვლელი წინასწარ რომ მოვძებნოთო. დამალვას ისედაც არ ვაპირებდი და შევთანხმდით, რომ მცირე საკომპენსაციო თანხის საფასურად გამიშვებენ. ჯერ არ ვიცი, სად ვითამაშებ. ჩემი მენეჯერი მამუკა ჯუღელი მოლაპარაკებებს აწარმოებს და ალბათ, კლუბის გარეშე არ დავრჩები."*

იგივე გაგვიმეორა ლადო დვალიშვილმაც: *"მითხრეს, რომ ანატოლი პისკოვეცს არ ვჭირდებოდი. ისედაც ვხვდებოდი, რომ მას ძველი ფეხბურთელების ნაცვლად, საკუთარი კადრების ჩამოყვანა სურდა და დარჩენას რა აზრი ჰქონდა, მაინც არ მათამაშებდა. კონტრაქტი ჯერ არ დასრულებულა, მაგრამ დიდ თანხას არ ითხოვენ და მეც მამუკა ჯუღელის იმედი მაქვს."*

ლაშა ქებაძე ზაფხულში "ბურსასფორში" ისინჯებოდა, რომლის პრეზიდენტიც ლაზია და თავად ჰქონია ქართველის დამატების სურვილი. მაშინ ლაშას გულზე მცირე პრობლემა აღმოაჩნდა, რომელიც ოპერაციის გაკეთების შემდეგ აღარ აწუხებს და არაა გამორიცხული, კვლავ თურქეთში დაბრუნდეს.. სხვათაშორის, მას ზაფხულში კონტრაქტი ჰქონდა გამზადებული, მაგრამ სამედიცინო შემოწმებამ ჩაგდო. ახლა ეს პრობლემა მოგვარებულია და თურქულ ვარიანტს თავადაც არ გამორიცხავს. ლაშაც ჯუღელს ელის, მხოლოდ სხვათაან ის განასხვავებს, რომ "ოლიმპთან" კონტრაქტი დაუმთავრდა და ჩიტივით თავისუფალია.

წასვლა სურდა თავდამსხმელ **გიორგი კახელიშვილს**, რომელსაც სამწლიანი კონტრაქტი აკავებს. თუმცა მთავარი არც ესაა. გიორგიმ გაგვიმხილა, რომ ამჟამად რეალური წინადადება არ გააჩნია და დაუფიქრებლად ბედის ძიებას, ისევ დარჩენა ურჩევნია.

როგორც შევიტყვეთ, 20 წლის ნახევარმცველ **დათო დევდარიანზე** საკმაოდ დიდი მოთხოვნაა. ის "ლელოს" მიერ შედგენილ პირველი წრის სიმბოლურ ნაკრებში მოხვდა. დათოს საკითხს კლუბში აქტიურად განიხილავენ.

"ოლიმპი" რუსთავში 3 იანვარს შეიკრიბება და სამი დღის მერე ალუშტაში გაემგზავრება. ანატოლი პისკოვეცმა ჯერ არ იცის, რომელი უკრაინული კლუბები აპირებენ ამ ქალაქში მომზადებას და აქედან გამომდინარე ვისთან ითამაშებს გუნდი ამხანაგურ მატჩებს, ადგილზე გაირკვევა. ზოგადად კი, მწვრთნელი 3-4 სპარინგ-მატჩს გეგმავს. 18 იანვარს კი "ოლიმპი" პეტერბურგში, თანამეგობრობის თასზე სათამაშოდ გაემგზავრება.

შეიძლება ითქვას, რომ დღეისათვის **მამუკა ჯუღელი** ქართულ საფეხბურთო ბაზარზე დიდ როლს თამაშობს. ფაქტობრივად, ქვეყნის ჩემპიონ რუსთავის "ოლიმპის" მოთამაშეთა უმრავლესობის ბედს განაგებს. კარგია თუ ცუდი, ამას უახლოესი ტრანსფერები გვიჩვენებს. უბრალოდ, საწყენია, რომ ნიჭიერი ქართველი ბიჭებისგან გუნდი დაიცლება, მათ ადგილს კი, ალბათ, ვეტერანი უკრაინელები დაიკავებენ.

მერაბ მამულაშვილი

რეზო ჯიქია რუსეთში მიდის

ინტერვიუ გოგი ქავთარაძესთან

სერიოზულად ვფიქრობთ ქართველ მთავარ მწვრთნელზე

ფედერაციის ახალი ტოპ(ი)მოდელი

ხვალ საქართველოს ეროვნული ნაკრების გერმანელი თავკაცი კლაუს ტოპმიოლერი თბილისში ჩამოვა. საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია მას ახალი კონტრაქტის დეტალებზე უნდა შეუთანხმდეს და როგორც ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი გოგი ქავთარაძე გვარწმუნებს, გერმანელთან კონტრაქტი ახალ წლამდე გაფორმდება.

მაგრამ გარანტირებული აქვს კი ფეხბურთის ფედერაციას მსუყე ფულადი დახმარება ხელისუფლებისგან? 5 იანვარს ისევ აირჩევენ პრეზიდენტად მიხეილ სააკაშვილს?

- 5 იანვარი ძალიან მნიშვნელოვანია ქართული ფეხბურთისთვისაც. დავუშვათ, რომ სააკაშვილი ვერ გახდა პრეზიდენტი - არის საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია მზად ასეთი შემთხვევისთვის?

- აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ, რომ 5 იანვრის არჩევნებში სააკაშვილი გაიმარჯვებს. თუ სხვა კანდიდატი გაიმარჯვებს, ისიც დაუდგება გვერდში ქართულ ფეხბურთს.

- რის საფუძველზე ხართ დარწმუნებული სააკაშვილის გამარჯვებაში?

- სოციალური გამოკვლევების შედეგები ცხადყოფს, რომ ექსპრეზიდენტი ისევ გახდება პრეზიდენტი. თუნდაც ის ავიღოთ, თუ როგორ მიმდინარეობს მისი წინასაარჩევნო კამპანია - რამდენი ხალხი დადის შეხვედრებზე და როგორ უჭერენ მას მხარს. რეგიონებში სააკაშვილისადმი მხარდაჭერა ბევრი რამის მთქმელია.

- გასაგებია, მაგრამ არც ის არის გამორიცხული, რომ სხვა კანდიდატმა გაიმარჯვოს. საქართველოს ნებისმიერი პრეზიდენტი ალბათ ვერ იქნება გულგრილი ფეხბურთისადმი, მაგრამ საეჭვოა, ყველამ იმდენი დახმარება გამოყოს ფეხბურთის ფედერაციისთვის, რამდენის გამოყოფასაც სააკაშვილის ხელისუფლება აპირებს. არ მეთანხმებით?

- ეს ძალიან თეორიული შეკითხვაა. თუ ხელისუფლება შეიცვლება, ვინც მოვა, ის თუ უპასუხებს ზუსტად ამას.

ნოდარ ახალკაცი, გოგი ქავთარაძე, გრიგოლ ცაავა

- ტოპმიოლერთან მისი კონტრაქტის გარდა, ასაკობრივი ნაკრების მწვრთნელებზეც უნდა ისაუბროთ. ფედერაცია ტოპმიოლერისგან ამ საკითხზე კონსულტაციას კი მიიღებს, მაგრამ როგორია თვითონ ფედერაციის პოზიცია - ასაკობრივი ნაკრების მწვრთნელების უფრო დატოვებაზე ფიქრობთ თუ მათ შეცვლაზე?

- ამ საკითხზე მანამდეც ვისაუბრეთ ჩვენი ნაკრების სამწვრთნელო შტაბთან. ფედერაციის მხრიდან საკმაოდ ბევრი კრიტიკული შენიშვნა გამოითქვა. როცა ტოპმიოლერი ჩამოვა, ამ საკითხზე მსჯელობა გაგრძელდება. მასთან კონტრაქტი ახალ წლამდე უნდა გაფორმდეს, რაც შეეხება ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელებს, შესაძლოა, ეს საკითხი წლეულს ვერ მოესწროს და იანვრისთვის გადაინიოს.

- ჩვენი ეროვნული და ყველა ასაკობრივი ნაკრების მწვრთნელი უცხოელია. მიგაჩნიათ, ქართველი მწვრთნელების კვალიფიკაცია იმდენად დაბალია, რომ ოთხი ნაკრებიდან ერთისთვის მაინც შეუძლებელია ქართველი მწვრთნელის გამოძებნა?

- საკითხს ასე არ ვუდგებით, გუნდი უცხოელს ჩავაბაროთ თუ ქართველს. ჩვენ სულ სხვა კრიტერიუმებით ვხელმძღვანელობთ. თუ აღმოჩნდება, რომ ქართველი მწვრთნელის კანდიდატურა მისაღები იქნება ჩვენი რომელიმე ასაკობრივი ნაკრებისთვის, თუ ეს არგუმენტებით იქნება გამყარებული, რა თქმა უნდა, ჩვენებურ სპეციალისტს დავნიშნავთ რომელიმე ასაკობრივი ნაკრების ხელმძღვანელად. სერიოზულად ვფიქრობთ ქართველი მწვრთნელის კანდიდატურაზე. ცხადია, მის ვინაობას ახლა ვერ დაგისახელებთ.

- მწვრთნელის შერჩევისას უმთავრესი კრიტერიუმი და არგუმენტი არის შედეგი. ფაქტია, არც ეროვნულ და არც ასაკობრივ ნაკრებებს დადებითი შედეგი არ აქვთ...

- ხომ გითხარით, რომ ასაკობრივი ნაკრებების მწვრთნელთა საკითხი ჯერ არ არის გადაწყვეტილი. თანაც ასაკობრივ ნაკრებებს ამ პერიოდში კატეგორიულად არ უნდა მოვთხოვოთ მაღალი შედეგი. ამ ნაკრებთა უმთავრესი მოვალეობაა, ფეხბურთელები მიაწოდოს ზედა ნაკრებებს.

- შევიტყვეთ, რომ კლაუს ტოპმიოლერთან უწინდელის მსგავსი კონტრაქტი არ გაფორმდება, ხელშეკრულების მოდელი სხვანაირი იქნება...

- მასეა, მას ექნება მოჭრილი ხელფასი, ხოლო მისი ჯამაგირის ზრდა დამოკიდებული იქნება გუნდის შედეგებზე. მას უკვე შევთავაზეთ ასეთი მოდელი და იმედი გვაქვს, რომ სწორედ ასეთ ხელშეკრულებას მოეწერება ხელი.

- ტოპმიოლერმა „ლელოსთან" ინტერვიუში განაცხადა, ფედერაციას ჩემი სამწვრთნელო შტაბის დავალიანება აქვსო...

- ერთი თვის დავალიანება დაგვრჩა გასასტუმრებელი, შეიძლება ითქვას, რომ დავალიანება ფაქტობრივად აღარ გვაქვს.

- ტოპმიოლერის წინა კონტრაქტის თანხა ოფიციალურად არ გახმაურდა. ასე იქნება ახალი კონტრაქტის შემთხვევაშიც?

- ტოპმიოლერთან მოლაპარაკებებისას დავაყენებთ საკითხს, რომ ამ კონტრაქტის თანხა საზოგადოებისთვის ოფიციალურად იყოს ცნობილი. წინა კონტრაქტის ფინანსური ინფორმაცია იმიტომ არ გამოვამზეურეთ, რომ იმ კონტრაქტში იყო ჩადებული მისი კონფიდენციალურობა.

- ფედერაციის საახალწლო სიახლეებზე რას გვეტყვით?

- ლატვიის ფეხბურთის ფედერაციასთან მივაღწიეთ შეთანხმებას, რომ 6 თებერვალს მათი ეროვნული ნაკრები გვესტუმრება ამხანაგური მატჩისთვის. იცით, რომ აგვისტოში გადაწყვეტილია უელსის ნაკრებთან თამაში. რუმინეთის ფეხბურთის ფედერაციასთან ვაწარმოებთ მოლაპარაკებას, რათა მათ ნაკრებს ნოემბერში ვესტუმროთ. გვინდა, რომ საქართველოს ნაკრებმა მარტშიც ითამაშოს ამხანაგური მატჩი და რამდენიმე ეროვნულ ფედერაციასთან ვაწარმოებთ მოლაპარაკებას. ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპის წინკი ავსტრიაში, გერმანიაში ან შვეიცარიაში 10-14-დღიან შეკრებას მოვაწყობთ ჩვენი ეროვნული გუნდისთვის. სავარაუდოდ, ასეთ კემპზე 2-3 ამხანაგურ მატჩს ვითამაშებთ, მეტოქეთაგან ერთ-ერთი აუცილებლად იქნება ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპის მონაწილე.

დავით თავართქილაძე

ფუტზალი

აზერბაიჯანში, ოთხთა ტურნირზე

ფუტზალში საქართველოს ეროვნულ ნაკრებს იანვარში მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში ასპარეზობა უწევს. ნოემბრის ბოლოს გუნდმა საკვალიფიკაციო ეტაპისთვის მზადების ფარგლებში ინგლისელებთან ორი ამხანაგური მატჩი გამართა (4:3 და 7:2), მაგრამ ესპანეთში შესარჩევის ჯგუფური მატჩების დაწყებამდე ამხანაგური თამაშების გამართვა ნამდვილად არ გვაწყენდა. ამ საკითხზე მუშაობას შედეგიც მოჰყვა. ესპანეთში გამგზავრებამდე საქართველოს ნაკრები აზერბაიჯანში ოთხთა ტურნირზე იასპარეზებს, სადაც მეტოქეებად გვეყოლება აზერბაიჯანის, ყაზახეთისა და აზიის ჩემპიონ ირანის ნაკრებები. ტურნირი ბაქოში 14-18 იანვარს გაიმართება. 15 იანვარს ჩვენი ნაკრები მასპინძლთა ეროვნულ გუნდს ეთამაშება. ეს თამაში თბილისის დროით 16 საათზე დაიწყება და მატჩის პირდაპირ ტელეტრანსლაციას ტელეკომპანია "აზტვ" გააკეთებს. 16 იანვარს **პეტრე თაბუკაშვილის** კრებული ყაზახეთს დაუპირისპირდება, 18-ში კი აზიის ჩემპიონ ირანს ეთამაშება.

CDN ევროპისის სიფრიული ქსელი
CAUCASUS DIGITAL NETWORK

გთავაზობთ სატელეკომუნიკაციო მომსახურების სრულ პაკეტს:

CDN DSL ყველაზე სტაბილური ინტერნეტი;

CDN 355 ტელეფონის დადგმა;

CDN 8-66 კავშირი ყველგან და ყოველთვის;

GIGA ფირმა ისაუბრე მეტი, გადაიხადე ნაკლები;

CDN ქსელების მონტაჟი და მომსახურება;

24 საათის განმავლობაში
• უწყვეტი მომსახურება • ტექნიკური მხარდაჭერა
• გარანტირებული ხარისხი • გადასვლა ნებისმიერ გაუჭცელლად

სატელეფონო საუბრების წამობრივი აღრიცხვა!
მხოლოდ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიები!

დარეკე, შეუკვეთე, ჩაერთე!
ირ. აბაშიძის 14
ტელ.: 550 055, 259 555
cdn@cdn.ge, www.cdn.ge

საქართველოს ჩემპიონატი
უმაღლესი ლიგა. გუნდები. სიონი

ჩემპიონობიდან მოკრძალებულ მიზნამდე

სეზონის წინ მოვლენები ისე განვითარდა, „სიონს“ კარგ შედეგებს ვერავინ უწინასწარმეტყველებდა. ბოლნისური კლუბის შემადგენლობაში ძირითადად, გამოუცდელი ფეხბურთელები ჩაირიცხნენ და შესაბამისად, ქვემოქართლელთა ერთადერთი საზრუნავად უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნება იქცა.

პირველი წრე „სიონმა“ არცთუ ძლიერად ჩაატარა, თასის ადრეული ეტაპიდან გამოვარდნას მთავარი მწვრთნელის თანამდებობიდან ნოდარ აკობიას დათხოვნა მოჰყვა და სეზონის უდიდესი ნაწილი გუნდს სტაჟიანმა სიონელმა გიორგი ყიფშიძემ უთავკაცა.

გიორგი ყიფშიძე
მთავარი მწვრთნელი

„რა თქმა უნდა, პირველ წრეში ნაჩვენები შედეგით კმაყოფილი ვერ ვიქნები. თუმცა დღევანდელ მდგომარეობას თავისი ახსნა აქვს. არსებული კონტინგენტით მეტის მიღწევა უბრალოდ, წარმოუდგენელი იყო“.

საუკეთესო მატჩი
„შინ „ვიტ ჯორჯიასთან“ უმაღლეს დონეზე ვითამაშეთ და ჩემპიონატის ერთ-ერთ საუკეთესო გუნდს დამსახურებულად ვძლიეთ“.

ყველაზე ცუდი მატჩი
„ვერ ვიტყვი, რომ რომელიმე შეხვედრა ცუდად ჩავატარეთ, თითქმის ყველა თამაში უიღბლობის გამო წავაგეთ“.

პლუსი
„თითოეულ მატჩში ჩვენი ფეხბურთელები თავდაუზოგავად იბრძოდნენ, ბიჭებს მონდომება და ბრძოლისუნარიანობა არ დაეწუნებოდათ“.

მინუსი
„მინუსად მოკლე სათადარიგოთა სკამს დავასახელებდი, ძირითადის ფეხბურთელებს სრულფასოვანი შემცვლელები არ ჰყავდათ“.

პროგრამა მინიმუმი
„ბუნებრივია, ჩვენი უმთავრესი მიზანი უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნებაა“.

პროგრამა მაქსიმუმი
„შევეცდებით, ჩემპიონატში რაც შეიძლება მაღალი ადგილი დავიკავოთ“.

მზადება საკადრო პოლიტიკა
„სავარაუდოდ, 24 დეკემბერს შევიკრიბებით, ახალ წლამდე თბილისში ფიზიკურად მოვემზადებით, შემდეგ კი საახალწლოდ შევისვენებთ. მზადების გეგმები უფრო კონკრეტულად უახლოეს მომავალში გახდება ცნობილი“.

ფინანსური მდგომარეობა
„ამ მხრივ, კლუბი ნორმალურ მდგომარეობაშია. ახალი გამგებელი **გიორგი დაუშვილი** ფეხბურთის დიდი ქომაგია, იგი მაქსიმალურად გვიდგას მხარში და ყველა დაპირებას გვისრულებს“.

რჩეული შეგირდები
„უპირველეს ყოვლისა, **ნიკა ნადირაძეს** გამოვარჩევ. გაოგნებული ვარ მომხდარით, ვერ დამიჯერებია, რომ ასეთ კარგ პიროვნებას ასეთი დანაშაულის ჩადენა შეეძლო... იგი დღითიდღე პროგრესირებდა და უკვე იყო საქართველოს ერთ-ერთი საუკეთესო საყრდენი. მის გარდა, **ბაჯელიძის, ჩასემის, სვანიძისა** და **სანიკიძის** თამაშს გამოვყოფდი. საერთო ჯამში კი უკმაყოფილო არც ერთი ფეხბურთელის გარჯით არ ვარ“.

პირველი წრის რჩეულნი
1. მიხეილ ხუციშვილი (დინამო)
2. ერიკ რომეო ჩასემი (სიონი)
3. გიორგი მერებაშვილი (დინამო)

სიონი და ქომაგი
„ჩვენი გულშემატკივარი წარმატებებით გავანებივრეთ და ალბათ ამის ბრალია, ბოლო დროს ბოლნისის სტადიონზე ცოტა ხალხი რომ დადის.. ყველაფრის მიუხედავად, ჩვენ მაინც გამორჩეული ქომაგი გვყავს, ბოლნისელები ყოველთვის „სიონის“ გვერდით იქნებიან“.

მსაჯობა
„არსებობენ ძლიერი და სუსტი მსაჯები, ისევე როგორც ძლიერი და სუსტი ფეხბურთელები და მწვრთნელები. შესაბამისად, არბიტრთა შეცდომებიც არ უნდა გაგვიკვირდეს“.

სკანდალები
„თავის დროზე „სიონიც“ აღმოჩნდა უსიამოვნო სიტუაციაში, როცა „ვიტ ჯორჯიასთან“ „ოქროს მატჩის“ შემდეგ დაუმსახურებლად დაგვსაჯეს. ეს ფეხბურთია და სკანდალები მისი განუყოფელი ნაწილია“.

პროგნოზები
„ჩემპიონობის უმთავრესი პრეტენდენტები „დინამო“ და „ზესტაფონი“ არიან, ვფიქრობ, ამ ეტაპისთვის მათი შანსები თანაბარია. არაა გამორიცხული, მათ დავაში „ვიტ ჯორჯიაც“ ჩაერიოს. ამ გუნდს შესანიშნავი მწვრთნელი ჰყავს და ძალიან კარგ ფეხბურთს თამაშობს. თასისთვის კი „დინამოსა“ და „ზესტაფონთან“ ერთად, „ამერი“ იბრძოლებს“.

ლევან ჯანეზაშვილი


გიორგი ყიფშიძე

სიონი | წრეში

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. დინამო	13	12	0	1	35:4	36
2. ზესტაფონი	13	11	1	1	26:6	34
3. ვიტ ჯორჯია	13	10	1	2	25:8	31
4. ბორჯომი	13	7	4	2	17:9	25
5. ოლიმპი	13	7	3	3	13:8	24
6. ამერი	13	7	0	6	21:16	21
7. მესხეთი	13	6	2	5	15:17	20
8. მგლები	13	5	0	8	14:19	15
9. სიონი	**13**	**4**	**3**	**6**	**16:17**	**15**
10. სპარტაკი	13	3	3	7	5:14	12
11. მერანი	13	3	1	9	7:23	10
12. ლოკომოტივი	13	3	0	10	8:21	9
13. დილა	13	1	3	9	7:24	6
14. გათუმი	13	1	1	11	5:28	4

სიონი

	მატჩი	სიყვითელე	სწორი	სანაცვლოდ	სანაცვლოდ
ლ. ბაჯელიძე	13	13	1	-	-
სანიკიძე	12	12	1	1	-
ჩასემი	12	11	5	2	1
ნადირაძე	12	11	-	2	-
ქარდავა	12	7	5	1	-
ბოიოიო	11	10	-	2	1
ძურასბედიანი	11	10	-	1	-
რაძვიაშვილი	11	10	1	2	-
გ. ოძროპირიძე	11	10	-	2	-
სვანიძე	10	10	-	1	-
ლ. ვაშაკიძე	9	7	-	1	-
კვიტაიშვილი	9	5	-	-	-
ძუცურუა	8	5	-	1	-
სტურუა (მეკ.)	7	7	-11	-	-
ქუთათელაძე	7	1	2	-	-
მენთესაშვილი	5	2	-	1	-
ეაგუა	5	2	-	-	-
კვიციანი	4	-	-	2	-
ბოგდიაშვილი (მკ.)	3	3	-2	-	-
გ. იაშვილი (მეკ.)	3	3	-4	1	-
თავზარიძე	3	3	-	-	-
ა. ნოზაძე	1	1	-	-	-
ჯუსტავა	1	-	-	-	-

I ტური
11.08 შ სპარტაკი 1:1
გოლი: ქარდავა

II ტური
24.08 შ გათუმი 1:0
გოლი: ჩასემი

III ტური
2.09 ს ამერი 0:2

IV ტური
14.09 შ ვიტ ჯორჯია 3:1
გოლები: ჩასემი, სანიკიძე, რაქვიაშვილი

V ტური
19.09 ს დინამო 0:3

VI ტური
23.09 ს მესხეთი 2:2
გოლები: ქარდავა (2)

VII ტური
28.09 შ ზესტაფონი 0:2

VIII ტური
7.10 ს ლოკომოტივი 0:1

IX ტური
19.10 შ დილა 5:1
გოლები: ქუთათელაძე (2), ბაჯელიძე, ქარდავა, ჩასემი

X ტური
28.10 ს ოლიმპი 0:1

XII ტური
24.11 შ ბორჯომი 0:1

XIII ტური
2.12 ს მერანი 1:1
გოლი: ჩასემი

XI ტური
6.12 შ მგლები 3:1
გოლები: ქარდავა, ჩასემი
ავტოგოლი: ხუხია

www.kazbegi.com

გაზეთი...
ყაზბეგი

ძართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპარტაკი

პირობები თუ გაუმჯობესდება, უკეთესი გუნდი გვეყოლება

დროის მცირე მონაკვეთში დაკომპლექტებული ცხინვალის „სპარტაკი“ ბევრს აუტსაიდერობისთვის ეგონა განწირული, მაგრამ პირველ წრეში ცხინვალელებმა ყველა მეტოქეს მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს და ქულათა მნიშვნელოვანი მარაგი დააგროვეს, რისი წყალობითაც უმალეს ლიგაში დარჩენის კარგი პერსპექტივა აქვთ. განვლილი პერიპეტიებისა და სამომავლო გეგმების შესახებ სპარტაკელთა ერთ-ერთ წამყვან მოთამაშეს ბესიკ ხაჭიპერაძეს ვესაუბრეთ.

- კმაყოფილი ხარ პირველ წრეში ნაჩვენები შედეგით?

- გუნდი ჩემპიონატის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე შეიკრიბა, პირველი შეხვედრა ისე ჩავატარეთ, რომ ფეხბურთელების უმეტესობა ერთმანეთს არ ვიცნობდით. ასეთი ვითარების გათვალისწინებით, ჩემპიონატსა და თასზე ურიგოდ არ გვითამაშია.

- ჩემპიონატის დაწყებამდე ბევრი „სპარტაკის“ შანსებს სკეპტიკურად უყურებდა.

- ეს ბუნებრივია. როცა გუნდი უცებ კომპლექტდება, მას წარმატებულ თამაშს ვერავინ უწინასწარმეტყველებს. სწორედ აქ გამოჩნდა, რამხელა როლი შეიძლება ითამაშონ მწვრთნელებმა გუნდის ჩამოყალიბებაში. კობა ჟორჟიკაშვილმა შეძლო და ახალგაზრდა ფეხბურთელებისგან ბრძოლისუნარიანი გუნდი გააკეთა. ასევე უნდა აღინიშნოს მეორე მწვრთნელის, არჩილ ჩხაბერიძის ღვაწლი ჩვენს პატარა წარმატებაში. მწვრთნელების სწორი მუშაობითა და მოედანზე ფეხბურთელების ბოლომდე დახარჯვით, მივაღწიეთ იმას, რომ პირველი წრის შემდეგ უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნების კარგი შანსი გვაქვს.

- „სპარტაკის“ მიერ ჩატარებულ რომელ შეხვედრას გამოარჩევდი?

- ბოლო ტურში „ლოკომოტივთან“ 2:0 გავიმარჯვეთ. ეს მოგება ძალიან გვჭირდებოდა. ასევე კარგი თამაში ჩავატარეთ თასზე „ამერთან“ - 2:1.

- ყველაზე გულდასაწყვეტი მატჩი რომელი იყო?

- ყველა წაგება გულდასაწყვეტია, მაგრამ „ამერთან“ დამატებულ დროში პენალტით რომ დავმარცხდით, ეს იყო ყველაზე გულსატკენი.

- დაცვის ცენტრში გამოცდილ რევაზ ქემოკლიძესთან ერთად გიწევს თამაში, როგორ შეეწყვე ეროვნული ნაკრების ყოფილ მცველს?

- ქემოკლიძე მე-4 ტურიდან შემოგვიერთდა და გუნდი მნიშვნელოვნად გააძლიერა. მის გვერდით უფრო თავდაჯერებული ვარ. თამაში მიადვილდება, შეტევებშიც გაცილებით ხშირად ვერთვები, ასეა, როცა საიმედო პარტნიორი გყავს გვერდით, შეტევებისთვისაც იცლი.

- პირველ წრეში ერთი გოლი გაიტანე და ისიც თასზე, ქუთაისის „ტორპედოს“ კარში. ნაწყენი ხომ არ იყავი ქუთაისელ კაცს „ტორპედოში“ თამაშის საშუალება რომ არ მოგეცა?

- წყენა რა შუაშია, როცა გატანის შანსი მომეცა, გავიტანე. აბა, მალდინივით გოლები ხშირად რომ გამქონდეს „მილანში“ ვითამაშებდი.

- „სპარტაკის“ სამომავლო გეგმებზე რას გვეტყვი?

- 20 დეკემბერს ვიკრიბებით და სამომავლო გეგმებზე მაშინ ვისაუბრებთ. დიმიტრი სანაკოევი გვერდით გვიდგას და იმედი გვაქვს, რომ პირობები გაუმჯობესდება. თუ ფინანსური მხარდაჭერა გვექნება, უკეთესად მოვემზადებით და დარწმუნებული ვარ უკეთეს შედეგსაც ვაჩვენებთ. აქცენტი ძირითადად ჩემპიონატზე გვაქვს გადატანილი, მაგრამ თასზეც ბოლომდე ვიბრძოლებთ. „დინამოს“ იოლი გასეირნება ნამდვილად არ ელის. ჩვენ ავტორიტეტებს არ ვუფრთხით.

- ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, როგორც ჩანს „სპარტაკში“ დარჩენას აპირებ.

- კონტრაქტი დეკემბრამდე მქონდა, მაგრამ ალბათ, გავაგრძელებ. სხვა ვარიანტებიც არის, თუმცა მირჩევნია, რომ კობა ჟორჟიკაშვილის ხელმძღვანელობით კვლავ „სპარტაკში“ ვითამაშო.

- სამი წლის განმავლობაში მოლდოვურ „ნისტრუში“ ასპარეზობდი, უცხოეთში წასვლაზე აღარ ფიქრობ?

- ჯერ ვეცდები საქართველოში მყარად მოვიკიდო ფეხი, უცხოეთში წასვლაზე კი ამის შემდეგ ვიფიქრებ.

დავით კოხრეიძე

ქომაგთა ლიგა რიგგარეშე ყრილობას მოითხოვს

გამოკითხულებმა უცხოელებს უნდოგლობა გამოუცხადეს

გუშინ ქართული ფეხბურთის ქომაგთა ლიგის ხელმძღვანელობამ პრესკონფერენცია გამართა. დეტალურად „ლელოს“ ლიგის ვიცე-პრეზიდენტი ზურაბ პეტრიაშვილი ესაუბრება:

- ჩვენი ჩავატარეთ გამოკითხვა, რომლის შემდეგაც თავს ვალდებულად ვთვლით, რომ ფეხბურთის ფედერაციას ვურჩიოთ, ნუ იჩქარებს კლაუს ტოპმიოლერთან და სხვა უცხოელ მწვრთნელებთან ახალი კონტრაქტების გაფორმებას.

რა გამოკითხვაზეა საუბარი - დაინტერესდით ქართველი სპეციალისტების აზრით და აღმოჩნდა, რომ მათი დიდი უმრავლესობა ეროვნულ და ასაკობრივ ნაკრებებში უცხოელ მწვრთნელთა საქმიანობას ცალსახად უარყოფითად აფასებს.

- გამოკითხვაში ვინ მონაწილეობდა?

- 200-მდე ქართველი სპეციალისტი, უმაღლესი ლიგის და საფეხბურთო სკოლების მწვრთნელები, ვეტერანი ფეხბურთელები საშა ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, ვლადიმერ ბარქაია, ძმები მანუჩარ და გოჩა მაჩაიძეები, სპორტული ჟურნალისტები და ა.შ.

ტოპმიოლერის საქმიანობას დადებითად მხოლოდ ოთხი ადამიანი აფასებს, უარყოფითად 127, თავი შეიკავა 46-მა. უნდა გააგრძელოს თუ არა მან მუშაობა ნაკრებში, დადებითი პასუხი გაგვცა 31 გამოკითხულმა, 94 კი წინააღმდეგია, დანარჩენებმა თავი შეიკავეს.

სხვებთან მიმართებაშიც ასეთივე სურათია, მაგრამ განსაკუთრებით უარყოფითი შეფასება **ჰაინც ტოპმიოლერმა** დაიმსახურა: 134 გამოკითხული მისი 19-წლამდელთა ნაკრებში დარჩენის წინააღმდეგია, 37-მა თავი შეიკავა და მხოლოდ 6 მომხრე გამოუჩნდა.

- გასაგებია, რომ შედეგები ნაკრების მწვრთნელებისთვის არასასიამოვნოა, მაგრამ რა ვალდებულია ფედერაცია, ეს მოსაზრებები გაიზიაროს? მის ხელმძღვანელებს ამ საკითხზე ჩამოყალიბებული შეხედულებები გაჩნიათ და კონტრაქტებიც გამზადებული აქვთ.

- ეს იყო ერთგვარი რეფერენდუმი და მიგვაჩნია, რომ მის შედეგებს ყურადღება უნდა მიექცეს. როდესაც საფეხბურთო სამყარო მწვრთნელთა მუშაობას ამგვარად აფასებს, ფედერაცია უნდა დაფიქრდეს, რატომ ხდება ასე და იქნებ მათი აზრით გაითვალისწინოს. გამოკითხულ ადამიანებს სიტყვა ეთქმით ფეხბურთში, იციან მწვრთნელის შეფასება და თვლიან, რომ მათ საქმეს თავი ვერ გაართვეს.

მეორე საკითხი ზოგადად ფეხბურთში შექმნილი მდგომარეობაა. 6 ივლისს პარლამენტის თავჯდომარის სახელზე გავაგზავნეთ წერილი და ქართულ ფეხბურთში არსებული ვითარების განხილვა შევთავაზეთ.

ერთი საკითხი 13 მაისის ყრილობაზე დატრიალებული მოვლენებს უკავშირდება და მათი ობიექტურად შესწავლის სურვილითაა განპირობებული. მეორე - ბავშვთა ფეხბურთს, მესამე - სპორტული ბაზების გაყიდვა-გასხვისებას. მეოთხე - სტადიონების, ბაზებისა და საფეხბურთო სკოლების მოზღვავებულ გადასახადებს. ისინი ვეღარ აუდიან გაზრდილ გადასახადებს.

- ამის შესახებ ფედერაციის გენერალურმა მდივანმა უჩა უგულავამ ბრძანა, რომ ფედერაცია სკოლებს ჭაბურღილების დაყენებაში, შეძლებისდაგვარად დაეხმარება, რაც წყლის გადასახადს ათმაგად შეამცირებს.

- ძალიან კარგი, ეს სასიხარულოა, თორემ ბავშვთაA სკოლის მწვრთნელები ჩივიან, გადასახადი 80-120 ლარამდე თუ არ გავზარდეთ, სკოლების გაუქმება მოგვიწევსო.

ახლა მთავარ საკითხსაც მივადექით. როდესაც ჩაცხრება პოლიტიკური ვნებათაღელვა, ვფქირობთ, ფეხბურთის ფედერაციამ რიგგარეშე ყრილობა უნდა მოიწვიოს და ლეგიტიმაცია განიმტკიცოს.

მორიგი თემა ფეხბურთის განვითარების პროგრამას უკავშირდება: 2006 წლის 15 თებერვალს „ლოლოში“ ჩემი ინტერვიუ გამოქვეყნდა, სადაც ვამბობდი, რომ პროგრამა საჯაროდ განვიხილოთ-მეთქი. სახელმწიფო პროგრამის პრეზენტაცია ოქტომბერში შედგა, მაგრამ 2007 წლის 19 დეკემბერამდე ის თვალითაც არავის უნახავს.

- სხვათაშორის, ზოგადი თეზისები ფედერაციას ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნდა. ერთ-ერთი პუნქტის თანახმად, ბიზნესმენებისთვის მიწების გადაცემა და იქიდან მიღებული შემოსავლების ფეხბურთში გამოყენებაა გათვალისწინებული. უდაოდ კარგი ჩანაფიქრია.

- ეს აქამდე პრესაში რატომ არ გამოქვეყნდა?

- ფედერაციის ადვოკატობას არ ვაპირებ, მაგრამ სამართლიანობა მოითხოვს ვთქვა, რომ ფედერაციის ერთ-ერთი თანამშრომელი ორი დღის წინათ გულდანყევეტილი ამბობდა, თავად გვიკვირს, რომ პროგრამით არავინ დაინტერესდაო.

- არ არსებობს, ეს ისეთი პროგრამაა, რომლითაც ყველა დაინტერესდება. დასამალი მართლა არაფერია და ამას არ ვგულისხმობდი, უბრალოდ, სასურველია, რომ პროგრამა საჯაროდ განვიხილოთ. ქომაგთა ლიგა კი თავის პროგრამაზე მუშაობდა და შევეცდებით, ის ფედერაციას გავაცნოთ.

- პროგრამა სახელმწიფომ უკვე დაამტკიცა და თქვენი პროგრამა ქმედითუნარიანი როგორ იქნება, ან რა აზრი აქვს ახლის დანერას?

- პროგრამა შეჯერებული და ყველანაირად მისაღები უნდა იყოს. თუკი სახელმწიფო მისაღებ წინადადებას გვთავაზობს, საწინააღმდეგო რა უნდა გვქონდეს? თუმცა ვაგრძელებთ მუშაობას და თუკი ვინმეს საინტერესო პროგრამა, შეხედულება, პროექტი გააჩნია, ქომაგთა ლიგის ოფისში ველოდებით და მზად ვართ, ყველა საკითხი ერთად განვიხილოთ.

მერაბ მამულაშვილი

ბრძოლდება ქართველ ფეხბურთელთა მომზადება არგენტინაში

დიდი ტრამპლინი საქართველოს ნაკრები გუნდებისა და ევროპის კლუბებისკენ

ედუარდო დელგადო და მისი მწვრთნელი შტაბი აგრძელებს ქართველ ფეხბურთელთა მომზადებას არგენტინაში. ედუარდო დელგადო იწვევს და მაღალ დონეზე მოამზადებს 17-18 წლის პერსპექტიულ 2 მეკარეს, 5 მცველს და 4 ნახევარმცველსა და 4 თავდამსხმელს არგენტინაში. მომზადების პროცესში ისინი ითამაშებენ ამხანაგურ თამაშებს არგენტინულ კლუბებში. ამას გარდა, არგენტინაში სტაჟირებაზე მყოფ ფეხბურთელთა ნაკრებს, კვირაში ერთხელ ექნებათ ამხანაგური შეხვედრები არგენტინის კლუბებიდან. სტაჟირების ვადა 6 თვიდან ერთ წლამდეა. სტაჟირების სრული კურსის დაძლევის შემდეგ ფეხბურთელები დელგადოს მიერ წარდგენილნი იქნებიან არგენტინის კლუბებში, სადაც ითამაშებენ ოფიციალურ თამაშებს. სტაჟირების პროცესი ფასიანია. ასევე, ავიაბილეთების, ადგილზე ცხოვრების, კვების, არგენტინის ვიზისა და შიდა ტრანსპორტით გადაადგილების ხარჯები გაღებულ უნდა იქნას მსურველთა ან მათ სპონსორთა მიერ. დელგადოს მიერ მომზადებულ ფეხბურთელებს, რომლებიც ითამაშებენ ოფიციალურ თამაშებს არგენტინულ კლუბებში, შეეძლებათ ითამაშონ და გააფორმონ კონტრაქტი ევროპის კლუბებთანაც, მაღალი ფინანსური პირობებით. ფეხბურთელები არგენტინაში გაემგზავრებიან 2008 წლის 15 იანვრიდან.

დაწვრილებითი ცნობებისთვის მსურველთა მიღება იწარმოებს მისამართზე: თბილისი, ლეონიძის ქ. 4 (თავისუფლების მოედანი, ეროვნული ბანკის მოპირდაპირედ). მსურველთა მიღებას ანარმოებს არგენტინის წარმომადგენელი საქართველოში, მიმდინარე წლის 24 დეკემბრიდან 10 იანვრამდე, ყოველდღე 13 საათიდან 15 საათამდე, კვირის გარდა. საკონტაქტო ტელეფონი: 899 23-55-20.

ქართული ბიბლიოთეკა

მანჩესტერ იუნაიტედი. სკანდალი

ჯონი ევანსი მოძალადე?

პოლიციამ ეჭვმიტანილი ფეხბურთელის სახელი გაამხილა, იუნაიტედის ახალგაზრდა ვარსკვლავი გირაოთი გაათავისუფლეს...



ჯონი ევანსი

"მანჩესტერ იუნაიტედის" ვარსკვლავი, რომელსაც გაუპატიურებაში ადანაშაულებენ, ახალგაზრდა მცველი **ჯონი ევანსია**. 19 წლის ფეხბურთელი გუშინ დააპატიმრეს. ის იმავე საღამოს, გირაოს სანაცვლოდ გაათავისუფლეს. "იუნაიტედის" მოთამაშეები შოკში არიან. მანჩესტერული გრანდი კომენტარისაგან თავს იკავებს. ინციდენტი "იუნაიტედის" საშობაო წვეულებაზე მოხდა. შეკრებას უკლებლივ ყველა მოთამაშე დაესწრო. ფეხბურთელებმა შობა მთელი დღის განმავლობაში რამდენიმე ადგილას აღნიშნეს. ყველაზე დიდ თავყრილობას "გრეით ჯონ სტრიტ ოტელმა" უმასპინძლა. ინგლისური სააგენტოების ცნობით, ინციდენტი სწორედ ამ სასტუმროში მოხდა. წვეულების მეორე დღეს ევანსი მეგობართან ერთად მონაკოში გაემგზავრა. ეს ერთდღიანი ვოიაჟი იყო. ინგლისში დაბრუნებისას მას პოლიცია დახვდა და განყოფილებაში გადაიყვანა. ხანმოკლე დაკითხვის შემდეგ ევანსს ბრალი წაუყენეს. ამ ბიჭის დაპატიმრებას საფუძვლად უდევს 26 წლის ქალბატონის განცხადება. ის ირწმუნება, რომ ევანსი თავს დაესხა. დაზარალებულს უკვე ჩაუტარდა სამედიცინო ექსპერტიზა. პოლიციელებმა ის ერთხელ უკვე დაკითხეს. უახლოეს დღეებში მას ხელახლა დაკითხავენ და მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით უფრო მეტი დეტალის დადგენას შეეცდებიან. იქამდე "სანში" გამოქვეყნებულ სტატიას გაგაცნობთ. ტაბლოიდი "გრეით ჯონ სტრიტ ოტელის" წყეულების ერთ-ერთ მონანილეს გაესაუბრა. ის ფეხბურთელი არ არის. "სანის" ინფორმატორმა ინკოგნიტოდ დარჩენა მოისურვა.

"გრეით ჯონ სტრიტ ოტელში" ერთი ნომერი 235-395 გირვანქა ღირს. "იუნაიტედმა" სასტუმრო საგანგებოდ თავისი ფეხბურთელებისათვის დაიქირავა. კლუბმა იქ საშობაო წვეულება ერთი წლის წინაც გადაიხადა. უცნაურია, მაგრამ არც იმ საღამოს ჩაუვლია უპრობლემოდ. სტუმრებმა ბარში ბევრი ნივთი დააზიანეს. კედლიდან ჩამოგლიჯეს ძვირადღირებული ნახატიც. "მენიუს" ზარალის წვრილად ანაზღაურება მოუხდა. მაგრამ ის შემთხვევა ნლევანდელთან შედარებით არაფერია. ჯონი ევანსს ხანგრძლივი პატიმრობა ემუქრება. მიმომხილველები მოუთმენლად ელოდებიან საქმის არსში გარკვევას. თვითმხილველი იხსენებს, რომ წვეულებას დაახლოებით 100 გოგონა დაესწრო. ისინი ინგლისის სხვა და სხვა ქალაქებიდან იყვნენ. ყველა მათგანი განსაკუთრებულად მომხიბვლელი იყოო, ამბობს რესპონტენდი და იქვე ამატებს, ზოგიერთი მათგანი დაუფარავად ცდილობდა, "იუნაიტედის ვარსკვლავები ლონგინში ჩაეთრიაო. მიმტანები განუსაზღვრელი რაოდენობით არიგებდნენ ვარდისფერ შამპანურს. ფეხბურთელები ლუდს, არაყსა და ვისკის მიირთმევდნენ. სტუმრები ნამდვილ განცხრომაში იყვნენ. **უეინ რუნიმ** და **რიო ფერდინანდმა** მთელი საღამო საცეკვაო მოედანზე გაატარეს. **რაიან გიგზმა ელვის პრესლის** ერთ-ერთი სიმღერა შეასრულა. გამთენიისას, ხუთის ნახევარი იქნებოდა, როცა სასტუმროში პოლიცია გამოიძახეს. საზოგადოება ისე დაიშალა, რომ ცუდი ამბავი არავის სმენია. მეორე დილას გავრცელდა პირველი ცნობები გაუპატიურების შესახებ. მერე ჯონი ევანსიც დაიჭირეს.

ეს ბიჭი რაიმე უკანონო ქმედებაში შემჩნეული არ ყოფილა. ბევრი სხვა ფეხბურთელისაგან განსხვავებით, ჯონი სკოლაშიც სანაქებოდ სწავლობდა. ევანსმა გასული სეზონი იჯარით "სანდერდენდში" გაატარა (18 მატჩი). გასულ ზაფხულს ის "მანჩესტერ იუნაიტედში" დაბრუნდა და სექტემბერში სადებიუტო მატჩი ("ქოვენთრისთან" ლიგის თასზე) ჩაატარა. ევანსმა ჩემპიონთა ლიგაში კიევის "დინამოსა" და "რომასთან" თითოჯერ ითამაშა. ის ჩრდილო-ირლანდიის ნაკრებშიც თამაშობს.

მანჩესტერ იუნაიტედის ვარსკვლავები საშობაო წვეულების დღეს, ევანსის პოლ სქოულზის უკან მოაბიჯეებს

უოტფორდი

ბანგურა დახმარებას ითხოვს

ახალგაზრდა ფეხბურთელს სიერა ლეონეში დაბრუნება და ეშამაკის სამსახური არ სურს...

ბრიტანეთში საინტერესო კამპანია მიმდინარეობს. ფეხბურთის გულშემატკივრები, ცნობილი საზოგადო მოღვაწეები და პოლიტიკოსები მხარდაჭერას უცხადებენ "უოტფორდის" თავდამსხმელ **ალ ბანგურას**. ამ უკანასკნელს სამუშაო ვიზა ენურება. ბრიტანეთის შრომის სამინისტრო ვიზის გაგრძელებას არ აპირებს. ეს იმას ნიშნავს, რომ 19 წლის ფეხბურთელს სამშობლოში დეპორტაცია ემუქრება. ბანგურა სიერა ლეონიდანაა. სამოქალაქო ომში ჩაფლული მშობლიური ქვეყანა მან ოთხი წლის წინ დატოვა და ინგლისში გადაიხვეწა. უცნობი ადამიანი მას ინგლისურ კლუბში მოწყობას დაჰპირდა. ლონდონში ჩასვლისას ბანგურა მიხვდა, რომ მავანი "კეთილისმსურველი" ტრეფიკიორი იყო და თავს უშველა. ალი მეგაპოლისში მარტო დარჩა. ყმაწვილის ცხოვრება მაშინ შეიცვალა, როცა სრულიად შემთხვევით "პორტსმუთის" სკაუტმა მის თამაშს თვალი მოჰკრა და კლუბში მიიწვია. მან პრემიერლიგაში 17 თამაშის ჩატარება მოასწრო. მის ასაკში ეს უკვე დიდი მიღწევა გახლდათ.

ბანგურას საკითხი, განსაკუთრებით, ოჯახური დეტალებით იპყრობს ყურადღებას. როგორც ირკვევა, ალის მამა ერთ-ერთი სექტის ლიდერი იყო. ეს სექტა ჯადოქრებს, ეშმაკსა და შავ მაგიას სცემს თაყვანს (!). ოჯახის წევრებმა ალის განუცხადეს, რომ მამის გარდაცვალების შემდეგ, მორწმუნეთა (!) გაძღოლა მან უნდა ითაოს. ბანგურას კი ეშმაკთან საქმის დაჭერა არ სურს. მას ფეხბურთის თამაში უნდა. ალის მეგობარმა გოგონამ ეს-ესაა შვილი გააჩინა. ბანგურების ახალგაზრდა ოჯახი ბრიტანეთის ხელისუფლებასაგან არა მხოლოდ სამუშაო ვიზის გაგრძელებას, არამედ თავშესაფარს სთხოვს, რადგან სექტისათვის უარის თქმის შემთხვევაში, ახალგაზრდა კაცს ფიზიკური ანგარიშსწორებით ემუქრებიან.

ალიჰასან ბანგურა

ინგლისის ჩემპიონატის ბოლო ტურში "უოტფორდმა" "პლიმუთს" უმასპინძლა. ორივე გუნდის გულშემატკივრებმა ბანგურას სრული მხარდაჭერა გამოუცხადეს. ფეხბურთელმა აუდიტორიას სიტყვითაც კი მიმართა. "უოტფორდის" ხელმძღვანელობა მზადაა, მოთამაშეს მთავრობასთან უშუამდგომლოს. ბრიტანეთის პარლამენტის რამდენიმე წევრმა ამ კამპანიაში მონაწილეობის სურვილი გამოთქვა. მთავრობას საკითხის შესწავლისაკენ მოუწოდა სახელგანთქმულმა მომღერალმა **ელტონ ჯონმა**. დაგეგმილია ბანგურას წარმომადგენელთა შეხვედრა საემიგრაციო სამსახურის ხელმძღვანელთან. სამუშაო ვიზის საკითხს კი სააპელაციო სასამართლო განიხილავს.

რონალდო: ზღაპრული პირობები ფენერიდან

"ფენერბაჰჩემ" **რონალდოს** მეგაკონტრაქტი შესთავაზა. თურქული გრანდი მზადაა, "მილანს" 4 მილიონი დოლარი გადაუხადოს, ფეხბურთელს კი ექვსთვიანი კონტრაქტის სანაცვლოდ, 2.5 მილიონი დოლარი ჩაურიცხოს ანგარიშზე. თუ ინფორმაცია დადასტურდება, უნდა ვივარაუდოთ, რომ "მილანი" სიამოვნებით წავა გარიგებაზე. რონალდოს "როსონერისთან" ხელშეკრულება ზაფხულში უმთავრდება. იტალიელები მის გაგრძელებას არ აპირებენ. მიზეზი "ფენომენის" ქრონიკული ტრავმებია. სეზონის ბოლოს რონალდო "მილანს" უკომპენსაციო დატოვებს. თუ იქამდე ვინმე გადაიხდის 4 მილიონ დოლარს, მილანელები, ბუნებრივია, სიამოვნებით გამართავენ მოლაპარაკებას. სპეკულაციას რონალდოს მომავალთან დაკავშირებით, ოფიციალური კომენტარები არ მოჰყოლია. "ფენერის" მთავარი მწვრთნელია ბრაზილიელი **ზიკო**. ამავე კლუბის ღირსებას იცავს **რობერტო კარლოსი**. იმასაც შეგახსენებთ, რომ "ფენერმა" ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალში გააღწია.

რანიერიმ ალბელდას უხმო

გუშინდელ ნომერში "ვალენსიაში" დაგეგმილი ცვლილებების შესახებ მოგაწოდეთ ინფორმაცია. მთავარი მწვრთნელი **რონალდ კუმანი** ორი ლიდერის, **სანტიაგო კანისარესისა** და **დავიდ ალბელდას** გაშვებას გეგმავს. კანისარესისა რა მოგახსენოთ, მაგრამ ალბელდას ერთი მსურველი უკვე გამოუჩნდა. ესპანეთის ნაკრების 30 წლის ნახევარმცველით ტურინის "იუვენტუსი" დაინტერესდა. "ქალბატონის" ის **კლაუდიო რანიერი** ნვრთნის, რომელიც თავის დროზე ღამურების დამრიგებელი იყო და ალბელდა ახალგაზრდული გუნდიდან ძირითად შემადგენლობაში გადაიყვანა. ესპანელი მიმომხილველების ცნობით, "ვალენსია" და "იუვენტუსი" სეზონის ბოლომდე საიჯარო კონტრაქტს გააოფრმებენ. გაისად ზაფხულში ტურინელები ფეხბურთელის გამოსყიდვას შეეცდებიან.

ჩელსი. ტრანსფერები

ანელკა ლონდონში ბრუნდება

არისტოკრატები ფრანგ თავდამსხმელს 10 მილიონად ყიდულობენ...

ნიკოლა ანელკა

ნიკოლა ანელკა "ჩელსიში" გადადის. ეს ინფორმაცია "არისტოკრატების" მთავარმა მწვრთნელმა **ავრამ გრანტმა** გაავრცელა. ფრანგ თავდამსხმელს "მანჩესტერ იუნაიტედიც" ეპატიჟებოდა, მაგრამ მან ლონდონი აირჩია. ანელკა ბრიტანეთის დედაქალაქს ჩინებულად იცნობს. 1997-99 წლებში ის "არსენალში" ასპარეზობდა და 63 მატჩში 23 გოლი შეაგდო. ანელკას ტრანსფერზე, ექვსი თვეა, განუწყვეტლივ საუბრობენ. დაინტერესებული იყო მისი ერთ-ერთი ყოფილი კლუბი, "მანჩესტერ სიტიც". ნიკოლა "ბოლტონის" საკუთრებაა, მაგრამ არსებობს სიტყვიერი შეთანხმება: თუ ანელკა რომელიმე ინგლისური გრანდი მიიწვევს, მის ტრანსფერს ხელს არ შეუშლიან. "ჩელსის" ფეხბურთელის შეძენა 10 მილიონი გირვანქას დაუჯდება. "მირორის" ცნობით, ანელკას ახალ კლუბში იანვრის დასაწყისში წარადგენენ. ტრანსფერის სხვა დეტალები უცნობია. აქვე შეგახსენებთ, რომ ფეხბურთელმა "ბოლტონთან" ახალი ოთხწლიანი კონტრაქტი გასულ ზაფხულს, სემ ელერდაისის "ნიუკასლში" გადასვლის შემდეგ გააფორმა, თუმცა როგორც აღვნიშნეთ, შეთანხმება თავდამსხმელის გათავისუფლების პირობასაც ითვალისწინებს. ნიკოლა 28 წლისაა და სხვა და სხვა დროს "პარი სენ ჟერმენში", "რეალში", "ლივერპულში", "მანჩესტერ სიტისა" და "ფენერბაჰჩეში" უთამაშია. მისი ბოლტონური კარიერა (2006 წლის ზაფხულიდან დღემდე) 49 მატჩსა და 19 გოლს ითვლის.

"ჩელსიმ" კიდევ ერთი ფეხბურთელი დაიბევა: 18 წლის არგენტინელი ნახევარმცველი **ფრანკო დი სანტო**. დი სანტო ლონდონელთა გენერალური მენეჯერის, ფრანკ არნესენის აღმოჩენაა. ის ჩილეში თამაშობს. ფრანკოს სატრანსფერო უფლებებს "აუდაქს იტალიანო" ფლობს. "არისტოკრატები" 4 მილიონი გირვანქას გადაიხდიან. ფეხბურთელი ინგლისურ გრანდთან ხუთწლიან კონტრაქტს გააფორმებს და ევროპაში ახალი წლის შემდეგ ჩამოვა. "ჩელსის" მორიგი სამიზნეა ბრაზილიული ფეხბურთის ამომავალი ვარსკვლავი **ლულინია**. 17 წლის შემტევი ნახევარმცველი უმაღლესი დივიზიონიდან სენსაციურად გავარდნილი "კორინთიანსის" საკუთრებაა. მას ახალ სამსახურში გადასვლა სურს.

დიმიტარ ბერბატოვი

"მანჩესტერ იუნაიტედი" "ტოტენჰემთან" მოლაპარაკებებს განაახლებს. **სერ ალექს ფერგიუსონს დიმიტარ ბერბატოვის** შეძენა სურს. "მირორის" ცნობით, "ეშმაკებმა" საბოლოოდ გადაწყვიტეს ბულგარელი ვარსკვლავის ხელში ჩაგდება. ისინი "მამლებს" 6 მილიონ გირვანქას, პლუს **ვესლი ბრაუნსა** და **ლუის საას** შესთავაზებენ. შეთავაზება საკმაოდ სარფიანია. "ტოტენჰემი" მას აუცილებლად განიხილავს. ლონდონელები თავადაც აპირებენ შემადგენლობის გაძლიერებას. ბრაუნი და საა გუნდს დიახაც დიდ სამსახურს გაუწევდნენ. 6 მილიონით კი კიდევ ერთი მაღალი დონის ფეხბურთელის შეძენა შეიძლება. "ტოტენჰემი" დაუფიქრებლად წავიდოდა გარიგებაზე, თუკი

მოსალოდნელი ტრანსფერი

ბერბატოვი მანჩესტერში

ეშმაკებმა ტოტენჰემს ბრაუნი და საა შესთავაზეს...

ბერბატოვის სანაცვლოდ პორტუგალიელ **ნანის** შესთავაზებდნენ. ფერგი ნანისთან გამოთხოვებას არ აპირებს. ეს ბიჭი გასულ ზაფხულს 17 მილიონ გირვანქად შეიძინეს. 20 წლის ფეხბურთელს "მანჩესტერში" დიდ იმედებს უკავშირებენ.

რაც შეეხება ბრაუნსა და საას, ბრაუნი ახალი კონტრაქტის გაფორმებას არ ჩქარობს. მას კვირაში 50 ათას გირვანქას უხდიან. ფეხბურთელს კი უფრო მეტი ფულის მოხვეჭა სურს. საა "იუნაიტედში" მეოთხე სეზონს ატარებს, თუმცა ქრონიკული ტრავმების გამო მან დროის ნახევარზე მეტი ლაზარეთში გაატარა. ამჟამად საა ჯანმრთელადაა და რეგულარულად თამაშობს "მენიუს" ძირითადში. ბერბატოვს მანჩესტერში გადახვლას ჯერ კიდევ ზაფხულში სურდა. მას ტრანსფერის ნება არ დართეს. ფეხბურთელსა და კლუბის ხელმძღვანელობას შორის ურთიერთობა დაიძაბა. დღეისათვის კონფლიქტი ამოწურულია, თუმცა დიმიტარი "იუნაიტედში" თამაშის კიდევ ერთ შანსს ხელიდან არ გაუშვებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რონალდ კუმანი და ვალენსიელი დირექტორები ახალ გუნდს გააკეთებენ

ვალენსია

ბაუტისტა სოლერი ახალი გუნდის შენებას იწყებს

კუმანმა ალბელდა-კანისარესის დუეტი არ იკმარა და გუნდიდან ანგულოც გააგდო

"ვალენსიაში" მიმდინარე მოვლენებზე ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში მოგახსენებდით. როგორც იცით, რონალდ კუმანმა და ხუან ბაუტისტა სოლერმა დავიდ ალბელდა და სანტიაგო კანისარესი გუნდის კრიზისში ჩაგდებაში დაადანაშაულეს. დიახ, "ვალენსიის" მთავარ მწვრთნელსა და პრეზიდენტს მიაჩნიათ, რომ მთავარი დამნაშავეები სწორედ ისინი არიან. კუმანმა ფეხბურთელებს პირადად მოახსენა, რომ წელს მათ აღარ ათამაშებს და ურჩია რომელიმე გუნდს მიაშურონ.

ბუნებრივია, ასეთი ხმაურიანი თემა ერთ დღეში არ დაკარგავდა აქტუალობას. გუშინ საღამოს "ღამურების" ჰოლანდიელმა სპეციალისტმა საგანგებო პრესკონფერენცია გამართა და განაცხადა: *"მე ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვის გარეშე განვუცხადე ალბელდასა და კანისარესს, რომ ვეღარ ითამაშებენ. დამეთანხმებით, ეს უმძიმესი გადაწყვეტილებაა. ცხადია, ამ ნაბიჯს პრეზიდენტთან საუბრის გარეშე ვერ გადავდგამდი. სენიორ სოლერმა გულდასმით მომისმინა. მან სიტუაცია ჯეროვნად აწონ-დაწონა და დაასკვნა, რომ აბსოლუტურ სიმართლეს მოვახსენებდი. პრეზიდენტმა სრული მხარდაჭერა აღმითქვა და გაბედული მოქმედებისკენ მომიწოდა. მეც არ დავახანე და მართლაც რადიკალური გადაწყვეტილება მივიღე. მიმაჩნია, რომ "ვალენსიისთვის" უკეთესია, 2007 წელს ჩასატარებელ ორ შეხვედრაში კანისარესმა და ალბელდამ არ ითამაშონ."*

თამამად შეიძლება ითქვას, რომ საქმე მხოლოდ ორ თამაშს არ შეეხება. "დიარიო მარკასთვის" ცნობილია, რომ **ბაუტისტა სოლერმა** ათვალწუნებული მოთამაშეების მენეჯერებს კატეგორიულად დაუყენა საკითხი, რომ მათ სასწრაფოდ გამოუნახონ საკუთარ კლიენტებს სხვა კლუბები. მადრიდული გაზეთისვე ინფორმაციით ვიგებთ, რომ მენეჯერებმა სოლერს თავდაუზოგავი მუშაობის პირობა მისცეს.

კუმანის განრისხება **კანისარესს** მხოლოდ საკლუბო კარიერაში უშლის ხელს, აი, **ალბელდას** კი იოლი შესაძლებელია "სელექსიონის" კარი ჩაუკეტონ. მოგეხსენებათ, დავიდი **ლუის არაგონესის** პერმანენტული ნდობით სარგებლობდა. თუ მას ტრავმა არ ანუხებდა, ასაკოვანი სპეციალისტი მუდამ ნაკრებში უხმობდა. ახლა, როცა მას ფაქტობრივად, უკლუბოდ დარჩენის რეალური საფრთხე ემუქრება, ან უკეთეს შემთხვევაში რომელიმე პროვინციული გუნდში მოწყობის შესაძლებლობაღა თუ შერჩა სავარაუდოა, რომ არაგონესი ესპანეთის ნაკრებში ასე იოლად აღარ მიინვევს.

ესპანური გაზეთების ინფორმაციით ათვალწუნებულმა მოთამაშეებმა ფორმის შენარჩუნების მიზნით ინდივიდუალური ვარჯიშების მეთოდს მიმართეს. დაინერა, რომ მათ კეთროვანებივით ეპყრობოდნენ. საბრალოებს საყრმანვილო გუნდის მწვრთნელებიც კი არ გაეკარენ. როგორც ჩანს, მათთან ურთიერთობა ფიზმომზადების სპეციალისტებსაც აუკრძალეს. დავიდი და სანტი დიდი ხნის განმავლობაში სიტყვის ამოუღებლად დაძუნძულებდნენ. შემდეგ კი პენალტებში ვარჯიშობდნენ. ბუნებრივია, ალბელდა ურტყამდა, კანისარესი კი იგერიებდა. ძნელი წარმოსადგენია, რომ ამ ადამიანების დუმილმა უსასრულოდ გასტანოს მალე ალბათ, საგანგებო პრესკონფერენციას გამართავენ და საზოგადოებას მომხდართან დაკავშირებით საკუთარ მოსაზრებას გაუზიარებენ.

ამასობაში კი კიდევ ერთი ვალენსიელი ფეხბურთელის კარზე დააკაკუნეს. გუშინ გვიან ღამით ცნობილი გახდა, რომ რონალდ კუმანმა **მიგელ ანხელ ანგულოს** გაშვებაც მოითხოვა. გამოცდილ ნახევარმცველს პირადად **ხოსე მარია მარია ბაკერომ** გაუმხილა, რომ ჰოლანდიელმა სპეციალისტმა ისიც აითვალწუნა. მოგვიანებით ფეხბურთელის აგენტს, **ხოსე ლუის ტამარგოს** კლუბის გენერალურმა დირექტორმა **მიგელ ანხელ რუისმა** დაურეკა და ზუსტად ის უთხრა, რაც ბაუტისტა სოლერმა ანგულოსა და კანისარესის მენეჯერებს - "მესტალია" ანგულომაც უნდა დატოვოს. სენიორ ტამარგო ასეთი პირდაპირობითა და რადიკალურობით გაოგნებული დარჩა. თბილისის დროით ღამის 12 საათზე მისი პრესკონფერენციის რამდენიმე ფრაგმენტი გამოქვეყნდა. ბუნებრივია, მათ თქვენს სამსჯავროზე გამოვიტანთ: *"კიდევ ვერ ვაცნობიერებ. ჩემთვის დაუჯერებელია ის, რაც მოვისმინე. რომელიმე თავქარიან გულშემატკივარს რომ დაერეკა, ხმას არ ამოვიღებდი, მაგრამ მე ხომ გენერალური დირექტორი მესაუბრა. მან მითხრა, შენს კლიენტს სასწრაფოდ ახალი კლუბი უნდა მოუნახო, ეს ორივე მხარის ინტერესებში შედისო. ამ ყველაფერს მიგელ ანხელ ანგულოზე ამბობენ. კაცზე, რომელიც "ვალენსიას" საკუთარი ჯანმრთელობის ფასად ემსახურებოდა. ათობით შეხვედრა მოუშუშებელი ტრავმით ჩაუტარებია. იყო საშიშროება, რომ ხეიბარი გამხდარიყო, თუმცა კლუბის ინტერესებიდან გამომდინარე უკან არაფერზე იხევდა. ტიტულები ყველაფერზე ნათლად მეტყველებს. მიგელ ანხელმა პრიმერა დივიზიონში ორჯერ გაიმარჯვა, ერთხელ ევროპისა და ესპანეთის სუპერთასებს, ერთხელ კი უეფას თასს დაუფლა. ჰო, მართლა ესპანეთის სამეფო თასი გამომრჩა. ის "ვალენსიის" ცოცხალი მემატიანე და ლეგენდაა. ასეთი ადამიანს ისე ეპყრობიან, როგორც უკანასკნელ ვიგინდარას. მას ეუბნებიან, დროზე უნდა წაეთრიო აქედანო. მართლაც გაოგნებული ვარ. უმადურობისა და ზოგადად უმადური ადამიანების შესახებ ბევრი რამ მსმენია, მაგრამ "ვალენსიის" მესვეურებმა ყოველგვარ ზღვარს გადააჭარბეს. რა გაეწყობა, როცა გეუბნებიან ნადიო, თავმოყვარეობა საშუალებას არ მოგცემს ვინმეს მოწყალება სთხოვო. მართალია, მიგელ ანხელთან ჯერ არ მისაუბრია, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ჩემს მოსაზრებას გაიზიარებს. ანგულო არავის დაუწყებს ხვენნას. არადა, ზუსტად ვიცი, რომ "ვალენსიაზ" ჭკუას ჰკარგავს. ეს გუნდი ისე უყვარს, როგორც საკუთარი შვილი. ეჭვი არ მეპარება, განშორება უაღრესად მტკივნეული იქნება, მაგრამ სენიორებმა, კუმანმა, სოლერმა და რუსიმა სხვა არჩევანი არ დაუტოვეს."*

ისევ დავიდ ალბელდას დავუბრუნდებით. მას ესპანეთის ფეხბურთის სამეფო ფედერაციიდან შეეხმიანნენ და თანადგომა გამოუცხადეს, თუმცა იქვე მოახსენეს, იმისათვის, რომ ავსტრიისა. და შვეიცარიის სტადიონებზე იასპარეზო საკლუბო კარიერა უნდა მოიწყოო. მას თვით პეზიდენტმა **ანხელ მარია ვილიარმა** დაურეკა და ყველაფრის შესახებ გულწრფელად ესაუბრა. ზოგადად ძნელი მისახვედრი არ არის, რომ "ვალენსიაში" ფრიად რთული სიტუაციაა შექმნილი. ამაზე ის საღამოც მოწმობს, როცა "ღამურები" ესპანეთის სამეფო თასის შეხვედრის გასამართად სან სებასტიანში ჩაფრინდნენ. აეროპორტში სამხრეთელებს ჟურნალისტების მთელი არმია დახვდა. ყველასთვის თვალშისაცემი იყო, რომ გუნდში საპანაშვიდო განწყობა სუფევდა. წარმოიდგინეთ, ამხელა გუნდში არც ერთი კაცი არ ილიმოდა. თუმცა რომელ ღიმილზეა საუბარი, როცა მათგან ხმა მხოლოდ და მხოლოდ კუმანმა ამიოღო. ისიც იმიტომ, რომ ჟურნალისტების დაჟინებული მზერით შეწუხდა: *"რას მომჩერებიხართ, არც მკვლელი ვარ და არც მტაცებელი. არავინ მომიკლავს, მხოლოდ ორი ფეხბურთელი გაეუშვი. მორჩა და გათავდა. ძალიან გთხოვთ, თავი დამანებეთ და ისე ნუ მიყურებთ, როგორც მკვლელს."*

რა უნდა ეთქვათ?! ჩვენმა კოლეგებმა შეამჩნიეს, რომ ბატონ რონალდს სახუმარო განწყობა არ ჰქონდა და მისთვის არავის არაფერი უპასუხია. "ვალენსიამ" აბსოლუტურად უხმაუროდ, ულაპარაკოდ და ღიმილის გარეშე დატოვა აეროპორტი. ერთი საინტერესო გარემოება, "დიარიო ასის" საგანგებო კორესპონდენტმა **ხესუს სანჩომ ხოაკინს** სასტუმროს ნომერში დაურეკა. სურდა, უმოკლესი ინტერვიუ მაინც ჩაეწერა. ხოაკინმა მედიელი უმარტივესი, მაგრამ ამავდროულად უკმეხი მეთოდით მოიცილა თავიდან, ანდალუსიელმა ხმის ამოუღებლად ყურმილი დაკიდა. ასეთი შეურაცხყოფის მიუხედავად, ხესუს სანჩომ კიდევ არაერთხელ სცადა ხოაკინის გამოჭერა, მაგრამ ფეხბურთელი ჟურნალისტის დაძახებაზე არ რეაგირებდა. თითქოს ყრუ იყო. აბა რა გასაკვირია, რომ სენიორ სანჩოს ეს ყველაფერი ყელში ამოუვიდა. მადრიდელმა ჟურნალისტმა არც აცია, არც აცხელა და სასტუმროს შესასვლელთან კუმანთან მივარდა: *"თქვენ ვალდებული ხართ საზოგადოების ინტერესი გაითვალისწინოთ და საგანგებო პრესკონფერენცია გამართოთ."* ბატონი ხესუსის ინიციატივამ მისი კოლეგები აღაფრთოვანა. კუმანი უმალ კორესპონდენტების გარემოცვაში აღმოჩნდა. საგანგებო არა, მაგრამ ჰოლანდიელ სპეციალისტს სრულიად უნებურად სახელდახელო პრესკონფერენციის გამართა ნამდვილად მოუხდა: *"ჩემი სათქმელი უკვე ვთქვი. ყველამ მოისმინეთ რაც განვაცხადე. გუნდი კრიზისშია და ვალდებული გახლავართ გამოსავალი უმოკლეს დროში მოვნახო. კიდევ ერთხელ გთხოვთ, რომ თავი დამანებოთ. მე პატივს გცემთ, ვცდილობ საქმის კურსში გამყოფოთ, მაგრამ არის რაღაცები რის შესახებაც არ შემიძლია რომ საჯაროდ ვისაუბრო. ვიმეორებ, ჩემი, როგორც მთავარი მწვრთნელის ამოსავალი ნერტილი "ვალენსიის" ინტერესებია."*

"ვალენსიასთან" დაახლოებული პირების თქმით, ბაუტისტა სოლერი იანვრის სატრანსფერო ბაზრის გახსნისთანავე ახალი გუნდის მშენებლობას დაიწყებს. ეს არ იქნება იოლი და მოკლე პროცესი. პრეზიდენტი დროის დაკარგვას არ აპირებს და ახალი ფეხბურთელების შეძენას ახალი წლის პირველივე დღეებიდან შეეცდება...

არმინიელი ფეხბურთელი სიკვდილს გადაურჩა

ორშაბათს, გერმანიაში, ავტობან A33-ზე, პადერბორნსა და ბრილონს შორის საშინელი ავარია მოხდა. „მერსედეს M კლასი" ჰოლანდიურ სატვირთო მანქანას უკნიდან შეასკდა – მსუბუქ ავტომობილს კი, ბილეფელდის „არმინიის" 29 წლის თავდამსხმელი **აბდელაზიზ აჰანფუფი** მართავდა. თვითმხილველთაგან ერთ-ერთის თქმით, აზიზ აჰანფუფი საუბარს ახერხებდა, მაგრამ იმდენად მძიმედ იყო დაშავებული, რომ ვერავის ვერაფერს აგებინებდა. საავადმყოფოში მას ტვინის მძიმე შერყევა და თავის სხვადასხვა ტრავმები დაუდგინდა. მოგვიანებით „არმინიის" პრეს-სამსახურმა პრეს-კონფერენცია გამართა, სადაც ითქვა, რომ ფეხბურთელის სიცოცხლეს საფრთხე ემუქრებოდა. მაგრამ ღამით, აზიზის პირადმა ექიმმა განაცხადა, რომ აჰანფუფის სიცოცხლეს საფრთხე აღარ ემუქრებოდა და რომ ფეხბურთელი ხელოვნურ კომაშია. აბლეაზიზ აჰანფუფი „არმინიაში" გასულ ზაფხულს, „დუისბურგიდან" გადავიდა და მას მერე ტრავმირებულია. ბუნდესლიგაში 60 მატჩი აქვს ჩატარებული (12 გოლი). ავარიის დროს ის ფრანკფურტში მიდიოდა, რათა მაროკოში, მშობლების მოსანახულებლად გაფრენილიყო. „არმინია" კი აზიურ ტურნეზეა.

ვებომ სეზონი დაასრულა

პიერ ვებომ პრიმერა დივიზიონის წინა ტურში "ბილბაოსთან" მატჩში სერიოზული ტრავმა მიიღო. "მალიორკის" მესვეურები ფიქრობდნენ, რომ საშიში არაფერი იქნებოდა, თუმცა საგულდაგულო გამოკვლევამ ცხადყო, რომ კამერუნელი ფორვარდისთვის სეზონი ფაქტობრივად დასრულებულია. მას მარჯვენა მუხლის ჯვარედინი მყესები გაუწყდა. ბალეარელი ექიმების ვარაუდით მკურნალობას სულ მცირე ოთხი თვე დასჭირდება. ამის შემდეგ ვებოს მსუბუქად ვარჯიშის უფლებას დართავენ. მოგვიანებით კი დატვირთვებს უმნიშვნელოდ გაუზრდიან. ამასობაში, მაისიც გაილევა და პრიმერა დივიზიონის ნლევანდელი გათამაშება ისტორიის საკუთრება გახდება.

მოსალოდნელი ტრანსფერი

კერჟაკოვს კიევში 4 მილიონს დაპპირდნენ

კიევის "დინამოს" ახალმა თავკაცმა **იური სიომინმა** მუშაობა ენერგიულად დაიწყო. ის არაერთ მოთამაშეს გამოეთხოვება. რუსი მწვრთნელი სასურველი ფეხბურთელების სიაზეც მუშაობს. სიაში პირველი ადგილი მის თანამემამულეს, ალექსანდრ კერჟაკოვს უჭირავს. 25 წლის თავდამსხმელი "სევილიის" საკუთრებაა. ის ესპანური კლუბის ძირითადში ვერ ხვდება. კერჟაკოვით პრემიერლიგის რამდენიმე კლუბი დაინტერესდა. ყველაზე მეტად "ტოტენჰემი" აქტიურობს. "მამლების" დამრიგებელი ანდალუსიელთა ყოფილი თავკაცი **ხუანდე რამოსია**. სწორედ რამოსის სახელს უკავშირდება კერჟაკოვის "ზენიტიდან" "სევილიაში" გადაყვანა. რაც შეეხება "დინამოს", სპეკულაციების თანახმად, კიეველები კერჟაკოვს ყველაზე უკეთეს პირობებს შესთავაზებენ. რუსული საგენტოების ცნობით, კონტრაქტის გაფორმების შემთხვევაში, მას წელინადში 4 მილიონ ევროს გადაუხდიან.

ალექსანდრ კერჟაკოვი

ეროვნული ბიბლიოთეკა

წლის ლაურეატები. ინტერვიუ ლიონელ მესისთან

დიეგო ერთია და განუმეორებელი

მესი დარწმუნებულია, რომ 2010 წელს ბედი არგენტინას გაულიმებს

20 წლის ასაკში ის უკვე სრულყოფილი ფეხბურთელია. კაკას, რომელსაც ევროპაში გადმოსვლის შემდეგ ექვსი წელი დასჭირდა იმისთვის, რომ მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელი გამოხდარიყო, მესიმ უალაპარაკოდ დაიმსახურა ადგილი ტოპ-სამეულში, თუმც ბევრისთვის ის პირველობასაც იმსახურებდა. ბოლო ერთი წლის განმავლობაში ის უბრალოდ შეუდარებელი იყო. მინიატურულმა არგენტინელმა "ბარსელონის" არაერთი მატჩი პირადად მოიგო. მიუხედავად იმისა, რომ "ვერცხლის" ლაურეატობამდე ორი დღით ადრე მან ტრავმა მიიღო და "რეალთან" მატჩის გამოტოვება უწევს, ფიფას გალა-წარმოდგენაზე მაინც მხიარულად გამოიყურებოდა და შემდეგ, ჟურნალისტების კითხვებსაც ხალისით პასუხობდა...

- ლიონელ, რა გრძნობა შეიძლება ეუფლებოდეს ფეხბურთელს, რომელიც ფიფას დაჯილდოების ცერემონიალზე მოხვდა?

- დიდებული გრძნობაა, იყო ციურიხში, ამ ბრნყინვალე ზეიმზე, თანაც მსოფლიოს საუკეთესო მოთამაშეთა შორის. მოკლედ, ბედნიერი ვარ.

- რას ფიქრობთ თქვენს კონკურენტებზე, კაკასა და კრისტიანო რონალდოზე?

- რა უნდა ვთქვა ახალი? მათ არაერთხელ დაამტკიცეს, თუ რაოდენ მაღალი კლასის ოსტატები არიან. კრისტიანო რონალდომ "მანჩესტერთან" ერთად პრემიერლიგა მოიგო, კაკამ კი უდიდესი როლი შეასრულა იმაში, რომ "მილანს" ჩემპიონთა ლიგაში გაემარჯვა. რაკი დღეს ისინი აქ არიან, ცხადია, ამისთვის სერიოზული საფუძველი აქვთ.

- ვერ ვიტყვით, რომ 2007 წელი "ბარსელონისა" იყო, მაგრამ თქვენ მაქსიმალურად მოახდინეთ თქვენი პოტენციალის დემონსტრირება...

- ეს ჩემთვის მეტად მნიშვნელოვანი წელი იყო. ახლა უფრო გამოცდილი ვარ, ვგრძნობ, რომ აშკარა პროგრესი მაქვს... მაგრამ რაც შეეხება "ბარსელონას", იმედია მომავალ წელს სიტუაცია რადიკალურად შეიცვლება.

- მთლიანობაში, "ბარსა" მაინც სიმპათიურად გამოიყურება, მაგრამ რატომღაც ცოტა გოლი გააქვს ბოლო წლებთან შედარებით. ამას რით ახსნით? რა მოიშალა გუნდის მექანიზმში?

- არ ვიცი, რა ხდება, რაშია კონკრეტული მიზეზი, მაგრამ ფაქტია, რომ ყველანი გულდაწყვეტილები ვართ და გამოსავალს ვეძებთ. ის, რომ 2007 წელი ტიტულების გარეშე დავასრულეთ, დიდი წარუმატებლობაა იმ რანგის გუნდისთვის, როგორიც "ბარსელონაა". რა გაეწყობა, ვისწავლით საკუთარ შეცდომებზე და ვეცდებით, ეს შეცდომები აღარ გავიმეოროთ.

- 2008 წლისთვის რა გეგმები დაისახეთ?

- ნებისმიერ ტურნირში ჩვენ მხოლოდ გამარჯვებისთვის ვთამაშობთ. ვიცით, რომ თანამედროვე ფეხბურთში კონკრეტული მატჩის მოგება სულ უფრო ძნელი ხდება, ძნელი, მაგრამ არა შეუძლებელი. გუნდს საკმარისი კლასი აქვს საიმისოდ, რათა ყველა ფრონტზე ტიტულებისთვის ვიბრძოლოთ. მაგრამ ამავე დროს, რაც შეიძლება დროულად დავინახოთ ჩვენი შეცდომები და წინ გავიხედოთ. მე კი ვეცდები, რომ პროგრესირება არ შეწყვიტო.

- რა გრძნობა გეუფლებათ, როცა დიეგო მარადონას გადარებენ?

- ნორმალური, არაფერი განსაკუთრებული. არაერთხელ მითქვამს: ეს ჩემთვის უდიდესი პატივია. მაგრამ დიეგო ერთია და განუმეორებელი, სხვა დიეგო მე არ ვიცი.

- ცოტაც არგენტინის ნაკრებზე ვისაუბროთ. მუნდიალის შესარჩევი ციკლი უკვე დაწყებულია. მზად იქნება "ალბისელესტე" მსოფლიო ჩემპიონობის მოსაგებად?

- მე ვთვლი, რომ ახლაც მზადა ვართ, მაგრამ სტარტისთვის უფრო უკეთ ვიქნებით მზად. იქამდე ჯერ კიდევ არის დრო საიმისოდ, რათა ყველა მინუსი პლუსად ვაქციოთ. თამაშის ხარისხის გაუმჯობესება აუცილებელია. ჩვენ გვყავს მწვრთნელი, რომელსაც უყვარს ეფექტური ექსპერიმენტები, ეფექტური კომბინაციები... იმაშიც დარწმუნებული ვარ, რომ მსოფლიო ჩემპიონატამდე არგენტინის ნაკრებში ახალი და საინტერესო სახეებიც გამოჩნდებიან.

- გასულმა მუნდიალმა იმედგაცრუება მოგიტანათ. რა გაკვეთილები მიიღეთ აქედან? რა შეცდომები უნდა გამოასწოროთ?

- ჩემთვის ეს პირველი მსოფლიო ჩემპიონატი იყო, სულ რაღაც 19 წლის ვიყავი... პირადად მე უდიდესი გამოცდილება მივიღე და აქედან გამომდინარე, ვერ ვიტყვი, რომ მუნდიალმა უკვალოდ ჩაიარა. მაგრამ ჩვენი გუნდის ნარუმატებლობამ ყველას გული დაგვწყვიტა. მჯერა, რომ ჩვენ, ყველა, იმ მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ გავიზარდეთ. დარწმუნებული ვარ, სამხრეთ აფრიკაში სხვა არგენტინა იქნება.

- "ალბისელესტე" ორჯერ გახდა მსოფლიო ჩემპიონი, მაგრამ ეს იმ დროს მოხდა, როცა ლიონელ მესი დაბადებულიც არ იყო. 2010-ისთვის 23 წლის იქნებით. ფეხბურთელისთვის ეს სიმწიფის ასაკია. რამდენად მნიშვნელოვანი იქნება ეს ფაქტორი არგენტინის ნაკრებისთვის, მესამე ტიტულის მოსაპოვებლად?

- რა თქმა უნდა, მსოფლიო თასის მოგება ნებისმიერი ფეხბურთელის ოცნებაა და მათ შორის, ჩემიც. თითქმის ყოველთვის, არგენტინის ნაკრები ახლოსაა ხოლმე წარმატებასთან, მაგრამ რაღაც უშლის ხელს, რომ წარმატება ბოლომდე მიიყვანოს. წელანაც ვთქვი, რომ რატომღაც დარწმუნებული ვარ ჩვენს გამარჯვებაში. იმედია, 2010 წელს ბედი სწორედ ჩვენ გაგვიღიმებს.



ლიონელ მესი ცერემონიალისწინა პრესკონფერენციაზე)



კრისტიანო რონალდო ჟურნალისტების წინაშე

ინტერვიუ კრისტიანო რონალდოსთან

კაპიტანი ვარ თუ არა, მოედანზე ყოველთვის განსაკუთრებული მოტივაციით გავდივარ

კრისტიანო რონალდოს იმედი აქვს, ფიგუს წარმატებას აუცილებლად გაიმეორებს

ციურიხის გალა-წარმოდგენაზე ბრინჯაოს პრიზით დაჯილდოებული კრისტიანო რონალდო თითქოს უკმაყოფილო იყო. შთაბეჭდილება რეალობად იქცა, როცა მეტად ამბიციურმა პორტუგალიელმა გარემარბმა ირიბად ეს ინტერვიუშიც დაადასტურა, განაცხადა რა, ინდივიდუალურ წარმატებებს დიდ მნიშვნელობას ანიჭებს...

- კრისტიანო, რას ფიქრობთ ამ მომენტში?

- ამაყი ვარ, რომ ასეთ გრანდიოზულ ღონისძიებაზე მოვხვდი, თან ესოდენ დიდი ფეხბურთელების გვერდით. შეიძლება, ამ მომენტისთვის მსოფლიოში ყველაზე ბედნიერი კაცი ვარ. სიმართლე გითხრათ, მაინცდამაინც დიდ მნიშვნელობას არ ვანიჭებ, რომელ ადგილზე გავედი. მთავარია, მთელ მსოფლიოში მაფასებენ და ტაშს მიკრავენ. 2007 წელი პირადად ჩემთვის წარმატებული იყო. მაგრამ არაფერი ვიქნებოდი, რომ არა "მანჩესტერ იუნაიტედი", ჩემი თანაგუნდელები...

- რომელი იყო ამ წელს თქვენთვის ყველაზე ნათელი მომენტი?

- რა თქმა უნდა, "მენიუსთან" ერთად პრემიერლიგაში გამარჯვება. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ჩემთვის ეს პირველი ჩემპიონობა იყო. როცა საპატიო ტროფეი აღვმართე, ენით აუწერელი გრძნობა დამეუფლა.

- რას იტყოდით თქვენს კონკურენტებზე, კაკასა და მესიზე?

- საოცარი ფეხბურთელები არიან. მადლობა უნდა ვუთხრა ყველას, ვინც მათ გვერდით დამაყენა.

- რას ისურვებდით 2008 წელს?

- მინდა, ისეთივე წარმატებული იყოს, როგორც 2007 წელი, იქნებ, უკეთესიც. ვინ იცის... პირადად მე ძალიან ბევრს ვმუშაობ, კონცენტრირებას ვახდენ იმ ამოცანებზე, რასაც საკუთარ თავს ვუსახავ. მეორე მხრივ, ვთამაშობ უდიდეს კლუბში, რომელსაც თავისი მიზნები აქვს და მეც ამ ყველაფრის ნაწილი ვარ. ვფიქრობ, სწორ გზაზე ვარ. სეზონი კარგად დავიწყე, გავიტანე რამდენიმე საჭირო გოლი... "მანჩესტერ იუნაიტედი" ახლა კარგად თამაშობს პრემიერლიგასა და ჩემპიონთა ლიგაში. მოკლედ, არ მაქვს საფუძველი, რომ არ ვიყო ბედნიერი.

- იქნება 2008 წელი პორტუგალიური ფეხბურთის გამარჯვების წელი?

- ჩვენ ამისთვის ყველა წინაპირობა გვაქვს: პორტუგალიაში უამრავი მაღალი დონის ფეხბურთელია, გვყავს მეტად კვალიფიციური სამწვრთნელო შტაბი... ვფიქრობ, 2008 წელს წარმატების მიღწევა შესაძლებელია, თუმცა ამას სხვა ფაქტორებმაც უნდა შეუწყოს ხელი, ყველაფერი მარტო ჩვენზე არ არის დამოკიდებული. ჩვენს ჯგუფში შვეიცარია, ჩეხეთი და თურქეთი არიან. ვფიქრობ, პლეიოფში უნდა გავიდეთ. მერე ვნახოთ...

- ლუიშ ფიგუ ერთადერთი პორტუგალიელია, რომელსაც ფიფამ ეს ჯილდო მიაკუთვნა. ვინ არის ფიგუ თქვენთვის?

- პირველ რიგში, ის ჩემთვის მაგალითია. მქონდა ბედნიერება, მასთან ერთად პორტუგალიის ნაკრებში მეთამაშა და უნდა ვთქვა, რომ ის არამარტო დიდი ფეხბურთელი, არამედ დიდი ადამიანიცაა. მასთან ერთად მოედანზე ყოფნა ერთი სიამოვნებაა. ლუიშმა ფიფას ჯილდო 2001 წელს დაიმსახურა, მაგრამ ვფიქრობ, ეს ძალიან ცოტა ამ დონის ფეხბურთელისთვის. ვეცდები, გავიმეორო მისი ნარმატება და მინდა, ეს მომავალ წელს მოხდეს. ინდივიდუალური პრიზი ნებისმიერი ფეხბურთელის ცხოვრებაში განსაკუთრებული მოვლენაა და მათ შორის, ჩემთვისაც.

- ლუიშთან ერთად, გერმანიის მუნდიალზე თამაშობდით. მაინც რა ისწავლეთ მისგან?

- მე ვსწავლობდი არა მხოლოდ მისგან და არა მარტო 2006 წელს. იმ დროიდან, როცა ფეხბურთის თამაში დავიწყე, ყოველთვის ვცდილობდი, რომ ერთი დღითაც არ შემეწყვიტა პროგრესირება. იმის შემდეგ, ყოველ მომდევნო სეზონში, რაღაცით ვამდიდრებდი ჩემს თამაშს, ვხვენდი ტექნიკას, კარში დარტყმას და ასე შემდეგ... თანაც ძალიან გამიმართლა: ვთამაშობ ძლიერ კლუბში, რომელსაც მსოფლიო კლასის ფეხბურთელები ჰყავს. სწორედ ეს არის წარმატებების საწინდარი.

- ახლა პორტუგალიის ნაკრების კაპიტანი ხართ. უმკლავდებით ესოდენ დიდ პასუხისმგებლობას?

- მოედანზე ყოველთვის განსაკუთრებული გრძნობითა და მოტივაციით გავდივარ იმისდა მიუხედავად, კაპიტანი ვარ თუ არა. თუმცა ისიც უდიდესი სიამაყეა, როცა საკუთარ ქვეყნის ნაკრებს მიუძღვები, სიამაყეა და არნახული პასუხისმგებლობაც. დიახ, ახალგაზრდა ვარ, მაგრამ ეს ძალიან კარგად მესმის. ეს მავალებს, რომ დღეს უფრო კარგად ვითამაშო, ვიდრე გუშინ, ამას გარდა, უნდა გავიტანო გოლებიც, რათა პორტუგალიის ნაკრებსაც და "მანჩესტერ იუნაიტედსაც" წარმატებების მოპოვებაში დავეხმარო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალიარი

მიდიან და ბრუნდებიან

სარდინიელთა ახალი ძველი მწვრთნელი: ჯამპაოლო-სონეტი-ჯამპაოლო

ამ ბოლოხანს, იტალიაში ძალიან გახშირდა: გუნდებში ბრუნდებიან ის მწვრთნელები, რომლებიც ახლახან გაათავისუფლეს. რა თქმა უნდა, ანალოგიური რამ სხვა ქვეყნებშიც ხდება, მაგრამ არა ისეთი ინტენსივობითა და ენთუზიაზმით, როგორც აპენინებზე. მაგალითისთვის, "პალერმოში" **ფრანჩესკო გვიდოლინის** მეოთხედ მისვლა და "სიენაში" **მარიო ბერეტას** ერთი თვის წინანდელი დაბრუნებაც იკმარებდა. და აი, გუშინ "კალიარიშიც" გაიხედეს წარსულისკენ. **ნედო სონეტის** ნაცვლად, პოსტზე **მარკო ჯამპაოლო** დაბრუნდა. ვეტერანმა სონეტიმ სულ რაღაც ხუთ მატჩში უხელმძღვანელა გუნდს, მას შემდეგ, რაც პრეზიდენტმა **მასიმო ჩელინომ** იმავე ჯამპაოლოს კარისკენ მიუთითა. თუმცა გამოცდილმა სპეციალისტმა სარდინიელებს ხელი ვერ დაატყო და ჩელინოც იძულებული გახდა, ამ სეზონში მეორე რადიკალური გადაწყვეტილება მიეღო.



მარკო ჯამპაოლო

რატომ მაინცდამაინც ჯამპაოლო? ალბათ იმიტომ, მან კარგად იცის გუნდის ავან-ჩავანი და ესეც არ იყოს, მისი კონტრაქტი, რომელიც 2010 წლამდეა გაფორმებული, ჯერაც ძალაშია. სონეტიმ გუნდი ოთხშაბათ საღამოს დატოვა, მას მერე, რაც პრეზიდენტ ჩელინოსთან უსიამოვნო საუბარი ჰქონდა. მოგვიანებით, კლუბმა ოფიციალურ ვებგვერდზე პრესრელიზი გამოაქვეყნა: *"ნედო სონეტი თანამდებობიდან გადადგა. გადაწყდა, რომ პოსტზე დაბრუნდება მარკო ჯამპაოლო, მაგრამ ვიდრე ის ჩამოვა, ხუთშაბათის დილის ვარჯიშს ტექნიკური შტაბი გაუძღვება".*

შეგახსენებთ, რომ "კალიარი" 10 ქულით ბოლო ადგილზეა. ამდენივე აქვს მოგროვილი "რეჯინასაც", მაგრამ მეზობელს ბურთების უკეთესი სხვაობით უსწრებს. არადა, სარდინიელებმა სეზონი კარგად დაიწყეს და 3 ტურის შემდეგ ლიდერთა ჯგუფშიც იყვნენ. მერე მონასტერი აირია. მთავარი პრობლემა ისაა, რომ სეზონის დაწყების წინ "კალიარიმ" "ინტერში" გაყიდა საუკეთესო ბომბარდირი **დავიდ სუასო**, რომელსაც ღირსეული შემცვლელი ვერ მოუძებნეს. ჯერჯერობით, ახალგაზრდები არასტაბილურნი არიან და იმედებს ბოლომდე ვერ ამართლებენ.

ჯამპაოლომ სახელი ორი წლის წინ, "ასკოლიში" მუშაობით გაითქვა. საინტერესოა, რომ ახალგაზრდა სპეციალისტი "კალიარიდან" გასული სეზონის შუა პერიოდშიც გაუშვეს, მაგრამ მიმდინარე ჩემპიონატის დაწყებამდე კვლავ უხმეს საჭესთან. ასე რომ, ბოლო ერთ წელიწადში ის მესამედ ხდება კუნძულელთა დამრიგებელი. უკანასკნელ ტურში "კალიარიმ" შინ 2:0 წააგო "ინტერთან". მომდევნო მატჩიც არანაკლებ მძიმე იქნება. კვირას, "ფიორენტინასთან" გასვლით შეხვედრაში, გუნდს კვლავ ჯამპაოლო დამოძღვრავს.

რამონ კალდერონი

სუპერკლასიკოს წინ

მიხარია რომ მესი არ ითამაშებს

კალდერონს რონალდინიოსთან დაკავშირებული აჟიოტაჟიც არანაკლებ ახარებს

23 დეკემბერს ესპანეთში დიდი მატჩი გაიმართება. "კამპ ნოუზე" "ბარსელონა" დაუძინებელ მტერს, მადრიდის "რეალს" უმასპინძლებს. როგორც ყოველთვის სუპერკლასიკოს ამჯერადაც უდიდესი აჟიოტაჟი და ინტერესი ახლავს. ყოველ დღე ახალ-ახალი ინფორმაციები და ინტერვიუები ქვეყნდება. კატალონიური და მადრიდული გრანდების მესვეურები პრესკონფერენციებს ხან ერთმანეთის პარალელურად, ხან კი მონაცვლეობით მართავენ. ამჯერად საშუალება გვაქვს სამეფო კლუბის პრეზიდენტის **რამონ კალდერონის** პრესკონფერენციის ყველაზე საინტერესო ფრაგმენტები შემოგთავაზოთ.

საუბრის დასწყისში მას **ლიონელ მესის** ტრავმის შესახებ ჰკითხეს: *"არ დაგიმალავთ, ძალიან გამიხარდა, რომ მესი ჩვენს წინააღმდეგ ვერ ითამაშებს. შესაძლოა, ვინმემ კანიბალიც კი მიწოდოს და განაცხადოს, როგორ შეიძლება ნორმალურ ადამიანს ვინმეს ტრავმა და უბედურება გაუხარდესო. მერწმუნეთ, მე არა ლეოს ტრავმა, არამედ მისი უთამაშებლობა მახარებს. როგორც გენებოთ ისე გიგეთ. ფაქტია, მესის გარეშე დარჩენილ "ბარსელონასთან" ჩვენ უკეთესი შანსები გვექნება. მეორე მხრივ ისიც უნდა ითქვას, რომ "ბარსა" არ არის ის გუნდი, რომელიც მხოლოდ ერთ კაცზეა დამოკიდებული. თუნდაც ის ყველაზე ძლიერი და ტექნიკური იყოს. დარწმუნებული გახლავართ, მესის შემცვლელი მაქსიმალურად დაიხარჯება და კატალონიელები მხოლოდ სამი ქულისთვის იბრძოლებენ. დაახლოებით ისეთივე სიტუაციაა, ჩვენ რომ რული არ გვყავდეს. რა თქმა უნდა, უდიდესი დანაკლისი იქნებოდა, მაგრამ ამის გამო გლოვას არ გამოვაცხადებდით და თამაშის მოგებაზე არ განვაცხადებდით უარს."*

კალდერონს **რონალდინიოსთან** დაკავშირებითაც მოუხდა საუბარი. სამეფო კლუბის პრეზიდენტი შეეცადა, ამ თემაზეც გულწრფელად ესაუბრა: *"წარმოდგენა არ მაქვს, რას ფიქრობს რაიკაარდი რონალდინიოზე. დამეთანხმებით, ეს ჩემი საქმე არ არის, მაგრამ არ შემიძლია არ ვთქვა, რომ ბრაზილიელთან დაკავშირებული აჟიოტაჟი ძალიან მახარებს. შეუძლებელია, ამ გარემოებამ გუნდში სიტუაცია არ არიოს. გამორიცხულია, გაუჩო თავს შვიდდად გრძნობდეს. ასევე გამორიცხულია, მისი მღელვარება ფეხბურთელებსა და მწვრთნელებს არ გადაედოთ. კიდევ ერთხელ ვითხოვ, ნუ მიწყენენ. მე მონსტრი არ ვარ, უბრალოდ, ჩემი სათაყვანებელი "რეალის" ინტერესები მალაპარაკებს. სუპერკლასიკო განსაკუთრებული მოვლენაა. "ბარსა" რაც არ უნდა დასუსტებული იყოს, ამ ერთი შეხვედრისთვის თავს გაწირავს და გამარჯვებას შეეცდება. წინააღმდეგი არ ვიქნები, თუ ამ შემართების დაკნინებაში რონალდინიოს ცხოვრება სერიოზულ წვლილს შეიტანს. წარმომიდგენია, რამხელა მღელვარებასთან იქნება დაკავშირებული ის მომენტი, როცა კითხულობ, რომ რონალდინიოს "მილანი" ზღაპრულ კონტრაქტსა და ძირითად შემადგენლობაში თამაშის გარანტიას თავაზობს. ამ დროს კი შენ მას სისტემატურად სათადარიგოთა სკამზე ტოვებ. დარწმუნებული ვარ, "რეალს" ანალოგიური პრობლემა რომ ჰქონდეს, ჩემი კოლეგა, ჟოან ლაპორტაც იგივეს იტყოდა. თუ არ იტყოდა, აუცილებლად ასე იფიქრებდა."*

ჟურნალისტებმა რონალდინიოსა და **გუტის** ისტორიებს შორის პარალელის გავლება მოინდომეს, მაგრამ კალდერონი მათ კატეგორიულად არ დაეთანხმა. პრეზიდენტი ხოსე მარიასა და რონალდინიოს მდგომარეობის შედარებას გაუმართლებლად მიიჩნევს: *"დიახ, ბოლო მატჩებში გუტი ძირითადში ვერ ხვდებოდა, მაგრამ ეს მაინც სულ სხვა შემთხვევაა. ჩვენ სულ გვესმის, რონალდინიომ მეტი უნდა ივარჯიშოს, რონალდინიო შორსაა სასურველი კონდიციისგან... ხოსე მარიათი კი ჩვენ აბსოლუტურად კმაყოფილები ვართ. ის შესანიშნავად ვარჯიშობს და ფანტასტიკურ ფორმაშია. უბრალოდ, ნებისმიერ გუნდში არსებობს ეგრეთ წოდებული როტაციის პროცესი. ბერნდ შუსტერმა გადაწყვიტა, გუტი მცირე ხნით დაესვენებინა. მით უმეტეს, ჟულიო ბაპტიშტამ იმდენად მოუმატა, რომ მისთვის შესაძლებლობების გამომჟღავნების შანსი უნდა მიეცათ. აი, რონალდინიოს კი მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ არ ათამაშებენ, რომ ცუდ ფორმაშია."*

ბუნებრივია, სუპერკლასიკოსთვის ორივე გუნდი დიდი შემართებით ემზადება. კალდერონი იაფფასიანი ინტრიგებით ცდილობს მტრის ბანაკში დისონანსი შეიტანოს. კატალონიელები ჯერ-ჯერობით მას არ პასუხობენ. ისე საზოგადოებას **ჟოან ლაპორტას** არანაკლებ უკმეხი განცხადებებიც ახსოვს. "ბარსელონის" მესვეურები ამ ეტაპზე წმინდა პროფესიულ საკითხებზე საუბარს ამჯობინებენ. ასე მაგალითად, გუნდის პრესსამსახურმა ინფორმაცია გაავრცელა, რომ **ტიერი ანრიმ** ტრავმა ფაქტობრივად მოიშუშა და მომდევნო დღეებში მთელი დატვირთვით ივარჯიშებს. ახლა ყველაფერი მასზეა დამოკიდებული. თუ ფრანგი ფორვარდი მატჩს მაქსიმალურად მომზადებული შეხვდება, რაიკაარდი მას აუცილებლად ათამაშებს. ძნელი სათქმელია, ძირითადში თუ არა, მაგრამ მთავარია, რომ ანრის მსოფლიო საკლუბო ფეხბურთის ერთ-ერთ უდიდეს შეხვედრაში, ესპანურ სუპერკლასიკოში მონაწილეობის შესაძლებლობა ექნება.

მოსალოდნელი ტრანსფერი

ლუკარელი რომაში?

შახტარი არენდაში მილიონ ევროს ითხოვს

როგორც ჩანს, **კრისტიანო ლუკარელი** იანვარში დონეცკის "შახტარს" დატოვებს. უკრაინული კლუბი ჩემპიონთა ლიგიდან გავარდა, შინაურ პირველობაზე კი ზამთრის პაუზაა, შესაბამისად, ლუკარელის მაღალ დონეზე თამაში სწადია. მარტოოდენ უკრაინის ჩემპიონატი მის ამბიციებს ვერ აკმაყოფილებს. ერთი თვის წინ, ლუკარელით დაინტერესება "ტორინომ" გამოთქვა, მაგრამ დღესდღეობით ამ ტრანსფერის ალბათობა თითქმის ნულის ტოლია. სამაგიეროდ, ავანსცენაზე გამოჩნდა "რომა", რომელსაც თავდასხმის გაძლიერება ნამდვილად არ აწყენდა. იტალიურ პრესაში ლუკარელის აგენტ **კარლო პალავიჩინოს** კომენტარი ქვეყნდება:

"კრისტიანოს არანაირი პრობლემა არ აქვს, რომ "რომაში" გადავიდეს, მით უფრო, რომ "შახტარი" მზადაა, ის არენდის წესით გაათავისუფლოს. არა მგონია, მისი ხელფასი რომელიმე კლუბისთვის პრობლემა იყოს. ასე რომ, იანვარში დონეცკიდან წასვლა ლუკარელისთვისაც კარგი იქნება და "შახტარისთვისაც". მიუხედავად იმისა, რომ "ჯალოროსის" აქტიურობა არასაკმარისია, ამ ტრანსფერის განხორციელების შანსი მაინც დიდია. "რომასკენ" გული კრისტიანოსაც მიუწევს".

აქ ერთი უხერხულობა ის შეიძლება იყოს, რომ ლუკარელის ევროტურნირებზე თამაშის უფლება არ ექნება, რაკი მას წელს ლიგაში "შახტართან" ერთად აქვს ნათამაშები. გავრცელდა ინფორმაცია, რომ დონბასური კლუბი იტალიელი ფორვარდის არენდით გაშვებას მხოლოდ 1 მილიონი ევროს საფასურად დათანხმდება. ესეც ერთ-ერთი ხელისშემშლელი პირობა შეიძლება იყოს. დათანხმდება კი "რომა" ამ თანხის გადახდას? არადა, **ლუჩანო სპალეტის** წინა ხაზზე საქმე მთლად ანყობილი რომ ვერ აქვს, ფაქტია. **ფრანჩესკო ტოტის** ტრავმები აწუხებს, **მირკო ვუჩინიჩი** მეტად არასტაბილურია, სხვა ცენტრალური ფორვარდი კი "ჯალოროსის" ელემენტარულად არ ჰყავს. ამავე დროს, ლუკარელისთვის იტალიაში დასაბრუნებელი მოტივაცია ისიც შეიძლება იყოს, რომ **რობერტო დონადონიმ**, იქნებ, საევროპო სიაში გაამწესოს.

კრისტიანო ლუკარელი იტალიაში ბრუნდება?

დისკვალიფიკაცია

რომარიო 120 დღე დაისვენებს

რომარიოს 120-დღიანი დისკვალიფიკაცია მიუსაჯეს. 28 ოქტომბერს ვეტერანი ბრაზილიელის კლუბი "ვასკო და გამა" "პალმეირასს" შეხვდა. თამაში ფრედ, 2:2 დასრულდა. ნამატჩევს 41 წლის მოთამაშე მწვრთნელს დოპინგ-ტესტზე უხმეს. შედეგი ერთი კვირის წინ გამოქვეყნდა. რომარიოს სხულში აკრძალულ პრეპარატ ფინასტერიდს მიაკვლიეს. აღმოჩნდა, რომ ფინასტერიდი თმის ცვენის შემაჩერებელი პრეპარატის, "პროპეციის" ინგრედიენტია. ვარსკვლავის ადვოკატებმა სასამართლოს წარუდგინეს ვიდეოფირი, რომელზეც რომარიოს კარიერის ამსახველი კადრები იყო აღბეჭდილი, მათ შორის, ფეხბურთელის მე-1000 გოლი (ფიფას ვერსიით, მისი კარიერა 929 გოლს მოიცავს, თუმცა რომარიო სამოყვარულო დონეზე და არაოფიციალურ მატჩებში გატანილ გოლებსაც მიაწერს აქტივს). მათ სასამართლოს სთხოვეს, სანამ გადაწყვეტილებას გამოიტანდნენ, გაეხსენებინათ რომარიოს განსაკუთრებული ღვაწლი ბრაზილიური ფეხბურთის წინაშე,. 120-დღიანი სასჯელი უმკაცრეს სასჯელად ვერ ჩაითვლება. როგორც ჩანს, მსაჯულებმა სწორედ ფეხბურთელის დამსახურებებს მიაგეს პატივი, მაგრამ "ვასკო და გამის" პრეზიდენტი **ეურიკო მირანდა** მაინც უკმაყოფილო გახლდათ. არცაა გასაკვირი: რომარიოს ასაკში სამთვიანი უთამაშებლობა იმას ნიშნავს, რომ მან ფაქტობრივად კარიერა უნდა დაასრულოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ მიროსლავ კლოზესთან

შკოდა თუ მერსედესი? ჩემთვის სულერთია

მიროს ყოველი თამაშის შემდეგ დაძინება უჭირს...

„ბაიერნისა“ და გერმანიის ნაკრების 29 წლის თავდამსხმელი მიროსლავ კლოზე მიუნხენში ისევ ბედნიერია. „ვერდერში“ ბოლო დროს თავს ძალიან ცუდად გრძნობდა – გეხსომებათ, 2007 წლის დასაწყისში ისიც კი დაიწერა, კლოზეს დეპრესიები აქვს იმის გამო, რომ პატრიკ ოვომოიელამ ცოლი გაუბახა და ახლა სილვია მისგან არის ფეხმძიმედ, რის გამოც მირო ფეხბურთზე კონცენტრირებას ვერ ახერხებსო. კლოზე ამბობს, ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი, რის გამოც „ვერდერი“ დავტოვე, სწორედ ეს ამაზრზენი ჭორი იყოო. მიროს „შპიგელის“ კორესპონდენტი ესაუბრა.

- ჰერ კლოზე, 2007 წელი თქვენთვის ძალიან მნიშვნელოვანი და ასე ვთქვათ, გარდამტეხი გამოდგა. ზაფხულამდე „ვერდერში“ თამაშობდით და უნდა ითქვას, რომ გოლები ვეღარ გაგქონდათ, კრიზისში იყავით. ზაფხულში კი „ბაიერნში“ გადახვედით, სადაც ისევ ძველი მირო კლოზე გახდით – ბუნდესლიგის ბომბარდირთა სიაში კვლავ ზემოთ ხართ. ამ ყველაფერს როგორ ახსნით?

- „ბაიერნში“ გადასვლა აბსოლუტურად სწორი გადაწყვეტილება იყო, არა მარტო სპორტული თვალსაზრისით. ოჯახის კაცი ვარ და ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ის არის, რომ ჩემი მეუღლე და ჩემი შვილები თავს კარგად გრძნობდნენ. „ბაიერნმა“ ჩემზე და ჩემს ოჯახზე ძალიან იზრუნა. ძალიან ლამაზ, მშვიდ სახლში ვცხოვრობთ, მეგობრებიც ვიპოვეთ და ცხოვრებით ვტკბებით.

- იმის თქმა გსურთ, რომ ბრემენში ბედნიერი აღარ იყავით?

- შეიძლება ასეც ითქვას.

- რატომ მოხდა ასე?

- იმიტომ, რომ მოხდა რაღაც, რამაც ძალიან დამამწუხრა. მაგრამ ეს ყველაფერი უკვე ჩავლილია...

- წლის დასაწყისში გავრცელდა ჭორები იმის შესახებ, რომ თქვენი მეუღლე თანაგუნდელ პატრიკ ოვომოიელასგან იყო ფეხმძმიმედ...

- და მაშინვე დაიწყო ჯოჯოხეთი! პრესაში ერთი ამბავი ატყდა. წარმოიდგინეთ, როგორ ვგრძნობდით თავს. ყველაზე სასაცილო კი ის არის, რომ ჩემი მეუღლე საერთოდ არ იყო ფეხმძმიმედ. ამაზე ახლა მეცინება, თორემ მაშინ ეს ყველაფერი ჩემთვის ნამდვილი ჯოჯოხეთი იყო.

- მაგრამ თქვენ შეგეძლოთ, თავი დაგეცვათ...

- ეს არაფერს ცვლის ხოლმე და არც იმ შემთხვევაში შეცვლიდა რამეს. ადამიანებმა არ იციან, რა არის პატივისცემა. ეს იყო ყველაზე საშინელი რამ, რაც კი ოდესმე ჩემი და ჩემი ოჯახის ცოხვრებაში მომხდარა.

- „ბაიერნში“ გადასვლის შემდეგ პერსონალურ ინტერვიუებს აღარ იძლევით, თუ არ ჩავთვლით ოფიციალურ პრესკონფერენციებზე გამოჩენას და მატჩისშემდგომ ან მატჩისწინა კომენტარებს. ახლა პირველად დაგვთანხმდით ვრცელ ინტერვიუზე. მედიას პროტესტი გამოუცხადეთ?

- ვფიქრობ, მეც უნდა გამიგოს ვინმემ! როცა ოჯახს უმიზეზოდ ასე შეუტევენ და შეურაცხყოფენ, რა გასაკვირია, რომ ადამიანს ინტერვიუების ჩამორიგება აღარ მოუდნება. მე ვთქვი, რომ აღარასოდეს მივცემ ინტერვიუს იმ გაზეთებს, სადაც ეს ყველაფერი იწერებოდა. მნიშვნელობა არა აქვს, რა სახის საუბარი სურთ – არაფერი აღარ მაინტერესებს.

- მაინც რა მოხდა ასეთი 2007 წლის პირველ ნახევარში?

- იმისათვის, რომ ამაზე დეტალურად ვისაუბრო, გული უნდა ვატკინო ადამიანებს, რომელთათვისაც წყენინება და გულის ტკენა არ მინდა. წარსულში მომხდარს ვეღარასოდეს გამოასნორებ! ვიცი, რომ ბანალურად ჟღერს, მაგრამ იმისათვის, რომ კარგად ვითამაშო, მშვიდად უნდა ვიყო და არაფერზე არ ვიფიქრო, გარდა ფეხბურთისა. ხომ გესმით? მე მხოლოდ წინ ვიყურები.

- „ვერდერს“ უეფას თასის ნახევარფინალში ძალიან მნიშვნელოვანი მატჩი ელოდა და ამ შეხვედრამდე ორი დღით ადრე თქვენ „ბაიერნის“ მენეჯერ ული ჰიონესს და მწვრთნელ ოტმარ ჰიტცფელდს შეხვდით. ამის გამო თქვენ ბრემენში დრესაც არ ჩაგესვლებათ...

- ეს ჩემი შეცდომა იყო – „ვერდერის“ ხელმძღვანელებისთვის ამ შეხვედრის შესახებ აუცილებლად უნდა მეცნობებინა. მაგრამ მე უკვე მოვიხადე ბოდიში.

- ივნისში განაცხადეთ, მე უკვე ვიცი, ვისი ბრალიც იყო ეს ყველაფერი და მოვა დრო, როცა შურს ვიძიები...

- დიახ, ეს გადაწყვეტილი მქონდა, მაგრამ არანაირი სურვილი აღარ მაქვს, რომ ძველ თემას მივუბრუნდე. იმისათვის, რომ კარგად ვითამაშო, თავი ყველანაირი უსიამოვნო ფიქრებისგან თავისუფალი უნდა მქონდეს. ნებისმიერი ფსიქოლოგი გეტყვით, რომ ადამიანი მხოლოდ მაშინ იქნება ბედნიერი და მაშინ მოიწყობს ცხოვრებას და ბედნიერ მომავალს, როცა წარსულს ერთხელ და სამუდამოდ გამოეთხოვება. მეც სწორედ ასე მოვიქეცი.

- წარსულის დავიწყება განა ასე იოლია?

- ადამიანის ხასიათს გააჩნია. ეს ისეთივე სიტუაციაა, როგორც მაგალითად შეყვარებულთან დაშორებისას. როცა რაღაც მთავრდება, მთავრდება და მორჩა! მე თავით ვცხოვრობ და ფეხბურთსაც თავით ვთამაშობ – ანუ, აზროვნებით! მაგალითად, თუკი ერთ მომენტში ცარიელ კარს ორი მეტრიდან ავაცელ, მომდევნო დარტყმის დროს ამაზე აღარ უნდა ვიფიქრო. ფეხბურთელმა არასდროს უნდა წაიღოს სახლში ყველაფერი ის, რაც მოედანზე მოხდა, არამედ ყველა გრძნობა და განცდა, ყველა კითხვის ნიშანი მოედანზე უნდა დატოვოს. არასდროს არ უნდა იფიქროს იმაზე, თუ რას დაწერს პრესა მეორე დღეს.

- თქვენს კარიერაში საკმაოდ ხშირია ფაზები, როცა გოლის გატანა ძალიან გიჭირდათ...

- სამი წლის წინათ, როცა ჩემი შვილები (ტყუპები) დაიბადნენ, ფეხბურთზე ფიქრს საერთოდ ვეღარ ვახერხებდი. ვარჯიშზე რომ მივდიოდი, მხოლოდ ბავშვებზე და მეუღლეზე ვფიქრობდი, მერე კი, მოედანზე ყოფნისას საკუთარ თავს ვეღარ ვცნობდი.

- რატომ კარგავენ ფეხბურთელები ფორმას?

- სამ დღეში ერთხელ მატჩის ჩატარება – ამას მხოლოდ ის მოახერხებს, ვინც ფეხბურთით და ფეხბურთისთვის ცოცხლობს. როცა ერთ სეზონს მაღალ დონეზე ჩააატრებ, ფიქრობ, რომ მომდევნო სეზონში ყველაფერი თავის-თავად მოხდება. ის, რომ ასეთ ტენდენციას ცუდი დასასრული აქვს, 2002 წლის მუნდიალის შემდეგ საკუთარ თავზე გამოვცადე. კინაღამ მსოფლიოს ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი ვგახდი და მეგონა, რომ ბუნდესლიგაში უამრავ გოლს გავიტანდი. მაგრამ მერე კრიზისი დამეწყო. მაშინ კარგი გაკვეთილი მივიღე და მივხვდი, რომ ერთი წამითაც არ უნდა მოდუნდე.

- თომას შაოფი ამბობს, კლოზე ზედმეტად თვითკრიტიკულიაო...

- ასეა, მე ყოველთვის ვიცი, კარგად ვითამაშე თუ ცუდად. მაშინაც კი, როცა ვიგებთ, მეუფლება განცდა, რომ უკეთ თამაშიც შემეძლო. და მერე ზუსტად ისე მემართება, როგორც ძალიან ბევრს – ღამით დიდხანს ვერ ვიძინებ.

- და რას აკეთებთ ხოლმე ამ დროს?

- რა უნდა გავაკეთო? ვწევარ და თვალწინ მიდგას სცენები, სადაც შეძელო, უკეთ მეთამაშა. მხატვარი რომ ვიყო, ყველა სცენას დავხატავდი. ფეხბურთში ყველაფერი წამის მეათედებში ხდება და თუ არასწორი გადაწყვეტილება მიიღე, მერე ბრაზობ. როცა ღამის თამაშები გვაქვს, ღამის 3 ან 4 საათამდე ვერ ვიძინებ ხოლმე.

- ისე გამოდის, თითქოს მატჩის შემდეგ საკუთარი თავით კმაყოფილი არასდროს ხართ ხოლმე...

- ასე არ არის, უბრალოდ, ყოველი თამაშის შემდეგ მიჭირს იმ სცენების დავიწყება, როცა შემეძლო, უკეთესად მემოქმედა და ეს ვერ შევძელი.

- ოქტომბერში იოახიმ ლიოვმა გერმანიის ნაკრების ყველა ფეხბურთელს პირადი ბროშურები გადასცა, სადაც თითოეული თქვენგანის ნაკლოვანებებზეა მითითებული. თქვენ რა მხრივ უნდა გამოსწორდეთ?

- ასეთი ბროშურები ჩვენ მსოფლიოს ჩემპიონატის წინაც მივიღეთ და საერთოდ, ნებისმიერ ივენთის წინ ასეა ხოლმე. ისე, მე საკუთარ თავზე ყოველთვის ვმუშაობ და თანაც, ყველა ასპექტში.

- ოლივერ ბირჰოფმა თქვა, გერმანულ კლუბებს, ბუნდესგუნდისგან განსხვავებით კონცეფციები არა აქვთო. თქვენც ასე ფიქრობთ?

- არა – „ბაიერნს“ აქვს თავისი კონცეფცია და აქ საქმეს ყველა პროფესიონალურად უდგება. გერმანიის ნაკრებში ყოველთვის რაღაც სიახლეზე ვმუშაობთ და ყველაზე მნიშვნელოვანი ის არის, რომ ფეხბურთელმა იცოდეს, რა მეძლო, უკეთ მეთამაშა. მხატვარი რომ ვიყო, ყველა სცენას დავხატავდი. ფეხბურთში ყველაფერი წამის მეათედებში ხდება და თუ არასწორი გადაწყვეტილება მიიღე, მერე ბრაზობ. როცა ღამის თამაშები გვაქვს, ღამის 3 ან 4 საათამდე ვერ ვიძინებ ხოლმე.

- ისე გამოდის, თითქოს მატჩის შემდეგ საკუთარი თავით კმაყოფილი არასდროს ხართ ხოლმე...

- ასე არ არის, უბრალოდ, ყოველი თამაშის შემდეგ მიჭირს იმ სცენების დავიწყება, როცა შემეძლო, უკეთესად მემოქმედა და ეს ვერ შევძელი.

- ოქტომბერში იოახიმ ლიოვმა გერმანიის ნაკრების ყველა ფეხბურთელს პირადი ბროშურები გადასცა, სადაც თითოეული თქვენგანის ნაკლოვანებებზეა მითითებული. თქვენ რა მხრივ უნდა გამოსწორდეთ?

- ასეთი ბროშურები ჩვენ მსოფლიოს ჩემპიონატის წინაც მივიღეთ და საერთოდ, ნებისმიერ ივენთის წინ ასეა ხოლმე. ისე, მე საკუთარ თავზე ყოველთვის ვმუშაობ და თანაც, ყველა ასპექტში.

- ოლივერ ბირჰოფმა თქვა, გერმანულ კლუბებს, ბუნდესგუნდისგან განსხვავებით კონცეფციები არა აქვთო. თქვენც ასე ფიქრობთ?

- არა – „ბაიერნს“ აქვს თავისი კონცეფცია და აქ საქმეს ყველა პროფესიონალურად უდგება. გერმანიის ნაკრებში ყოველთვის რაღაც სიახლეზე ვმუშაობთ და ყველაზე მნიშვნელოვანი ის არის, რომ ფეხბურთელმა იცოდეს, რა

მიროსლავ კლოზე

- არსებობენ თუ არა ისეთი სპორსმენები, რომლებსაც სულით ნათესავად მიიჩნევთ?

- ეს ჩემი დაკვირვების შედეგია, მაგრამ ვფიქრობ, რომ მიხაელ შუმახერს ძალიან ვგავარ. მასაც თავისი ოჯახი აქვს, შვილები ჰყავს და მეუღლე და მისთვის სწორედ ესაა ყველაზე მნიშვნელოვანი. სხვა დანარჩენზე კი სულ სხვა ადამიანები ფიქრობენ და ზრუნავენ.

- ცხადია, სხვანაირი ადამიანებიც არსებობენ...

- ჰო და ეს ადამიანები ძალიან ბევრს ფიქრობენ იმაზე, თუ რას იტყვიან მათზე. მათთვის სულერთი არ არის, რომელი მანქანით მივლენ ვარჯიშზე – „შკოდით“ თუ „მერსედესით“. „ღმერთო ჩემო, ეს პროფესიონალი ფეხბურთელია და „ოპელ კორსათი“ დადის? – ამბობენ ხოლმე. წარმოგიდგენიათ? ასეთი ბიჭები 22 წლის ასაკში უკვე „პორშეთი“ დადიან და რას გააკეთებენ, როცა 24 წლისანი იქნებიან? ერთხელაც დგება მომენტი, როცა ლიმიტი ქრება და იმის იქით აღარაფერია და მეც უკვე სიტყვები აღარ მყოფნის.

- თქვენს ახალგაზრდა კოლეგებს ამის გამო ჰიონესიც ხშირად აკრიტიკებს ხოლმე. მან ერთხელ შვაინშტაიგერზეც თქვა, ამ ბიჭს უკანალში ძალიან ბევრი შაქარი შეაყარეს, რაც მე უნდა გამოვყაროო...

- და ჰიონესი აბსოლუტურად მართალია. მასზე უკეთ არავინ იცის, როგორ უნდა მოექცე ფეხბურთელს. არის ისეთი მომენტებიც, როცა ული ყველას ძალიან გვაქებს ხოლმე. ის არაჩვეულებრივი ადამიანია. „ბაიერნში“ ყველა ბედნიერი უნდა იყოს იმის გამო, რომ ამ გუნდის მენეჯერ ული ჰიონესია და არა ვინმე სხვა.

- ახალი სეზონის პირველი მესამედი რეკორდმაისტერისთვის ძალიან წარმატებულიმ გამოდგა, მაგრამ წლის ბოლოს არანაირი ეიფორია აღარ იგრძნობა – პირიქით, გუნდს თითქოს კრიზისული მომენტი დაუდგა. ბოლო თვენახევრის მანძილზე არაერთ სკანდალს ჰქონდა ადგილი. რა ხდება – „ბაიერნი“ ხომ არ იხლიჩება?

- ჩემი აზრით ეს აბსოლუტურად ნორმალური პროცესია. ეიფორიის შემდეგ ძლიერი გუნდის ცხოვრებაში ყოველთვის დგება მომენტი. როცა კოლექტივმა უნდა დაამტკიცოს, რომ წარმატება შემთხვევითი არ იყო. ეჭვიც არ მეპარება, რომ ჩვენ ამას მეორე წრეში შევძლებთ.

- თქვენი ხელფასი წელიწადში 10 მილიონ ევროს შეადგენს. ჯერ კიდევ ფიქრობთ ხოლმე იმაზე, თუ რამდენს ხარჯავთ?

- ეს რიცხვი თქვენ დაასახელეთ! ცხადია, ვფიქრობ იმაზე, რომ ძალიან ბევრი ფული მაქვს – რატომ უნდა ვიცრუო? ფულს იმაში მიხდიან, რასაც ვაკეთებ. მინდა, იმდენი ფული მქონდეს, რომ ჩემმა შვილებმა თავი კარგად იგრძნონ და არა მარტო ჩემმა შვლებმა, არამედ მათმა შვილებმა და შვილიშვილებმაც. შესაბამისად, ფულს უაზროდ არასდროს ვხარჯავ.

- თქვენი ოჯახი გერმანიაში 1987 წელს გადმოსახლდა და თავიდან ბანაკში ცხოვრობდით...

- კარგად მახსოვს, როგორ ველოდით მომენტს, როცა გერმანიისკენ ავიღებდით გეზს. ვიცოდით, რომ ახალ ქვეყანაში მივდიოდით, მაგრამ არ ვიცოდით, რა გველოდა მომავალში. მაგრამ ახლა ვერ ვიტყვი, რომ უკანალს იმის გამო ვიხეე, რომ მუდმივად ძველ დროზე ვფიქრობ, როცა გაჭირვებული ადამიანი ვიყავი. არა, ასე არ არის. გახსოვთ ციმერმანის სიტყვები? ფეხბურთში შეიძლება ყველაფერი მოხდეს!

- სახლში რომელ ენაზე საუბრობთ ხოლმე?

- პოლონურად და ბავშვებიც პოლონურად საუბრობენ. ახლა საბავშვო ბაღში დადიან და გერმანულს სწავლობენ.

- ინტერვიუ მთავრდება და უნდა ვაღიაროთ, რომ უდიდესი გამოცდილების მქონე ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებთ. არადა, ჟურნალისტებმა ჯერ „ბემბი“ შეგარქვეს, მერე კი „წეროს მიერ მოყვანილი ბიჭი“...

- ხომ ვამბობ, ჩემთვის არანაირი მნიშვნელობა არა აქვს, რას იტყვიან სხვები ჩემზე. ჟურნალისტებს ჩემთან მხოლოდ რამდენიმე წითით აქვთ ხოლმე ურთუერთობა და არ იციან, როგორი ვარ სინამდვილეში. როცა რაღაც არ მომწონს, ყოველთვის გულახდილად ვამბობ და ასე რომ, მიროსლავ კლოზე ხანდახან ძალიან ბრაზიანი ბემბია.

გოტფრიდ ლენცი

რაგბი



ინტერვიუ რატი ურუშაძესთან

ნაკრებიდან წასვლას ჯერ არ ვგეგმავ

საქართველოს ნაკრების ფლანკერი რატი ურუშაძე მსოფლიო თასის გათამაშების დასრულებისთანავე საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის ფედერალ 1 დივიზიონში მოასპარეზე „ლონსში“ ჩაირიცხა. ეს უდავოდ წინგადადგმულ ნაბიჯად შეიძლება მივიჩნიოთ, ვინაიდან რატომ წინა სეზონი რანგით უფრო დაბალ, ფედერალ 2-ის „ნიცაში“ გაატარა. რა მიზნები აქვს „ლონსს“ და შეძლებს თუ არა ხარისხობრივად კიდევ უფრო წინსვლას ამ გუნდთან ერთად, რატომ თავად გვიამბო.

- „ლონსი“ ფედერალ 1-ში ქვედა დივიზიონიდან წელს ამოვიდა. შესაბამისად გუნდისთვის მთავარია წლეულს ამ დივიზიონში მოიკიდოს ფეხი. გადმოსვლისთანავე, კიდევ უფრო მაღალ, ელიტარულ დივიზიონში გადასვლაზე ოცნებაც კი შეუძლებელია, ფაქტობრივად უტოპიაა. მთავარია ახლა, პირველ ოთხეულში, ანუ ფლეი ოფში გავიდეთ, რადგან ამ შემთხვევაში გუნდი გარანტირებულად ინარჩუნებს ადგილს.

- რეგულარული გათამაშების დასრულებამდე ხუთი ტური დარჩა. რამდენად შესწევს „ლონსს“ ძალა, დასახულ მიზანს მიაღწიოს?

- რამდენად შესწევს, ძალა ეს ცოტა რთული სათქმელია, თუმცა შანსი ფლეი ოფში მოხვედრისა, რეალური გვაქვს. ერთადერთი გუნდი, რომელსაც თითქმის გარანტირებული აქვს ოთხეული, გათამაშების ლიდერი „ბურგ ან ბრესია“. რამდენიმე გუნდს 4-4 მოგება დაგვიგროვდა. „დომონი“ 1 ქულით გვისწრებს. ასე რომ, ბოლო მერვე ადგილზე მყოფსაც კი აქვს თეორიული შანსი, ფლეი ოფში მოხვდეს.

- როგორ გაგაჩნია, ცოტა პესიმისტურად ხართ განწყობილი.

- აბა, რა გითხრათ. „ლონსი“ ვერაა ძლიერი გუნდი. არასათანადოდაა დაბალანსებული და არასტაბილურია. უკანა ხაზი შერკინებაზე ბევრად ძლიერია. ყველა გასვლითი შეხვედრა ნავაგეთ, შინ კი ყველა მოვიგეთ ერთის გარდა, ისიც გათამაშების ლიდერ „ბურგ ან ბრესთან“. თუმცა ესეც არ უნდა წაგვეგო, ბურგელებმა სულ რაღაც 3 ქულით გვაჯობეს.

- ბოლო ორი თამაშია გუნდის შემადგენლობაში არ ჩანხართ. რა არის მიზეზი?

- სამი კვირის წინ ნეკნი ვიტკინე. გატეხილი არ იყო, მაგრამ ტკივილი იმდენად მაწუხებდა, თამაშის საშუალებას არ მაძლევდა. ახლა ყველაფერი რიგზეა. ვარჯიში დიდი ხანია დავიწყე. თანაც 6 იანვრამდე ჩვენთან, ფედერალურ დივიზიონებში შესვენებაა და მანამდე კიდევ უფრო მოვმჯობინდები. იმედი მაქვს, სეზონის განახლებას სრულ მზადყოფნაში დავხვდები.

- თქვენს გარდა „ლონსში“ ბევრი უცხოელია?

- უცხოელები მგონი უფრო მეტნი ვართ, ვიდრე ფრანგები. „ლონსში“ ჩემს გარდა, სამი ფიჯელი, ორი რუმინელი, ორი ტონგელი და ხუთი სამხრეთაფრიკელი ირიცხება.

- თითქმის ყველა საკმაოდ სერიოზული სარაგბო ქვეყნებიდან არიან. საკვირველია, რატომ უჭირს გუნდს. მით უფრო, თუ ერთბაშად ხუთი აფრიკელი ჰყავს?

- საქმე იმაშია, რომ ამ ხუთიდან მხოლოდ ორი თამაშობს. ერთ-ერთ მათგანს, რომელიც ჩემთან ერთად ცხოვრობს, ყვრიმალი ჰქონდა გატეხილი, მეორემ კოჭი დაიზიანა, მესამეც ტრავმირებული იყო. იმ ორიდან ვინც თამაშობს, ერთი 10 ნომერია. ძალიან არასტაბილურია. ერთ თამაშს ისე გაირჯება, ლამის მარტომ მოიგოს, შემდეგი შეხვედრისას კი იმდენად უნიათოა, გაგიკვირდება, ნუთუ ეს ისაა წინა მატჩში რომ დაფრინავდაო. ერთი სიტყვით, ბევრი პრობლემები გვაქვს და შედეგსაც ეტყობა.

- ერთადერთი ქართველი რომ ხართ, რაიმე პრობლემა ხომ არ გექმნებათ?

- არანაირი პრობლემა. ყველასთან ძალიან კარგი, მეგობრული ურთიერთობა მაქვს. მეტიც, აფრიკელები უჩემოდ ნაბიჯს ვერ დგამენ. მაგათი თარჯიმანი მე ვარ. ფრანგული ხომ არ იციან და არ იციან, ინგლისურად მხოლოდ ლაპარაკობენ, წერა არ შეუძლიათ და თუ რამის დაწერა უნდათ, მე ვუწერ. ვეუბნები, ცხადია ხუმრობით, რაგბის თამაშის ჩათვლით ყველაფერი მე როგორ უნდა გასწავლოთ-მეთქი.

- ზემოთ თქვით, აფრიკელთან ერთად ვცხოვრობო, რატომ?

- სანამ ოჯახს ჩამოვიყვან, კლუბმა ერთად მიგვიჩინა ბინა. საბედნიეროდ ვიზის საკითხი დადებითად გადაწყდა. ოჯახი მალე შემომიერთდება და იმედი მაქვს, კლუბი ცალკე ბინას მოგვცემს. თუმცა, შესაძლოა ეს პრობლემატური იყოს, „ლონსი“ არაა მაინცდამაინც მდიდარი კლუბი.

- ბოლოს ეროვნულ ნაკრებზეც მინდა გკითხოთ. რამდენიმე ბორჯღალოსანმა სანაკრებო კარიერა დაასრულა. თქვენ რას აპირებთ?

- ნაკრებიდან წასვლას ჯერ არ ვგეგმავ. თუ საჭირო ვიქნები და გამომიძახებენ, მინიმუმ ერთი წელი კიდევ ვითამაშებ. მერე ვნახოთ, ძნელია ახლა იმაზე ილაპარაკო, რა იქნება ერთი წლის შემდეგ.

ბესიკ ჯანგავაძე

სროლა

სეზონის მიწურულს

ფედერაცია, ნინო და...

საქართველოს სროლის სახეობათა ფედერაცია რაღაცით ერთი სპორტსმენის ფედერაციას მაგონებს... მოწინავეთა შორის იგი მხოლოდ ოლიმპიურ ჩემპიონ ნინო სალუქვაძის გამო ინარჩუნებს ადგილს. სამწუხაროდ, სალუქვაძეს ღირსეული მემკვიდრე აქამდე ვერ გამოუჩნდა, შემცვლელზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. შესაბამისად, შედეგებსაც მხოლოდ სალუქვაძისგან მოველით - თუ მან სეზონი ჩააგდო, არც ფედერაციას ექნება რამე დასათვლელი. სწორედ ასეთი მდგომარეობაა წლეულს - სალუქვაძემ ევროპირველობებზეც უმედლოდ დარჩა და მსოფლიო თასებზეც. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ უსახსრობის გამო ერთი მსოფლიო თასი გამოტოვა კიდეც.

თუმცა თავად რაკი სალუქვაძემ პეკინის ოლიმპიადის საგზური ადრევე მოიპოვა, წლევანდელ სეზონში მედლებზე ნაკლებად ფიქრობდა - ამას უფრო იარაღის გამოსაცდელად, ოლიმპიადისთვის მოსამზადებლად იყენებდა და შედეგზე აქცენტს ნამდვილად არ აკეთებდა. ბუნებრივია, მწვრთნელსა და სპორტსმენს საკუთარი გეგმა გააჩნიათ, რომელში ჩარევა არც ვინმეს საქმეა და არც ვაპირებთ თუნდაც იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ყველაფერი პეკინში გამოჩნდება.

წარუმატებელი სეზონის მიუხედავად, სალუქვაძე კვლავაც არა მარტო საქართველოს, არამედ თანამედროვეობის ერთ-ერთ უდიდესი სპორსტმენია. გაისად იგი მეექვსედ იასპარეზებს ოლიმპიადაზე. ამ მაჩვენებლით იგი საქართველოში აქამდეც საუკეთესო გახლდათ - სიდნეიში გამოსვლით სამგზის ოლიმპიურ ჩემპიონს, სახელოვან ვიქტორ სანეევსა და კობა წაქაძეს გაუტოლდა, ათენის მერე კი ერთპიროვნული ლიდერობა დაისაკუთრა. პეკინში ამ რეკორდის ხანგრძლივობას კიდევ უფრო გაამყარებს, მაგრამ ეს მაჩვენებელი მსოფლიო მასშტაბითაც თვალსაჩინოა - მაქსიმალური რაოდენობა 10 ოლიმპიადაა . ცხადია, ნინო უდიდესი გამოცდილების სპორტსმენია და სწორედ ამის გათვალისწინებით, ბოლო წლებში ერთი სტრატეგია შეიმუშავა - ცდილობს, თამაშების წინა პერიოდში შედეგებით არ გამოირჩეს, კონკურენტებს იმდენად არ მოხვდეს თვალში. ათენში ამან წარმატება ვერ მოუტანა, მაგრამ ვნახოთ, იქნებ პეკინში აღმოჩნდეს შედეგიანი.

ამ პირობებში, როცა მთელი ფედერაცია ერთი სპორტსმენის იმედადაა დარჩენილი, უმთავრესი საზრუნავი ახალი თაობის აღზრდაა და ამ მხრივ ზრუნავენ კიდეც, რამდენადაც ამის საშუალებას ფინანსური შესაძლებლობები აძლევთ. სასიხარულოა, რომ ამ პირობებშიც მოიძებნა საშუალება წინა წლებში დაწყებული ტრადიციის გასაგრძელებლად და ახალგაზრდები რამდენიმე მნიშვნელოვან ტურნირზე გააგზავნეს. აღსაბიშნავია, რომ ამაში ძალზე დიდი წვლილი თავად სალუქვაძეს მიუძღვის, რომელიც დაჟინებით ითხოვს ახლების გამოცდას. შარშან მან ულტიმატუმიც კი წამოაყენა, რომ თუ ახალგაზრდების გასაგზავნ ფულს არ გამოძებნიდნენ, მაშინ არც ის წავიდოდა ტურნირზე.

საერთო საქმეს გვარიანად ეხიდება თავად სალუქვაძის ტირიც, თუმცა იქ ძირითადად პნევმატურში ვარჯიშობენ. და აქ ძალზე სერიოზულ - ბაზებისა და ინვენტარის პრობლემას მივადექით, რასაც ფედერაცია დამოუკიდებლად ვერ გადაჭრის. სხვა ქვეყნების მსგავსად, ეს ჩვენთანაც სახელმწიფოებრივი ზრუნვის საგნად უნდა იქცეს, რადგან სროლა სპორტზე მეტია - მას ქვეყნისთვის ბრძოლისუნარიანი კადრების მომზადება შეუძლია. სწორედ ამიტომ აქცევენ მას სხვები დიდ ყურადღებას, ჩვენნაირი, გამუდმებით ომის საშიშროების წინაშე მდგარი ქვეყნისთვის კი ეს ორმაგად მისასალმებელია. ღმერთმა დაგვიფაროს, მაგრამ საომარ ვითარებაში რად გვიღირს სნაიპერები...

ძალზე სერიოზული პრობლემაა ღია სასროლეთი. განსაკუთრებით - სპორტული იარაღით სროლაში და ტყვიებიც, რომელთა საზღვარზე გადმოტანა ძალიან დიდი სირთულედ იქცა.

არსებითად, ბაზების არქონაა სასტენდო სროლის ჩავარდნის მიზეზი. ტყვიის სროლისგან განსხვავებით, ესენი წელიწადში სულ რამდენიმე ტურნირზე თუ გამოვლენ, თუმცა **მაია გუბიევას** ლიმპიადის ლიცენზიის მოპოვებამდე ორად ორი ქულა დააკლდა. საწყენია, სავარჯიშო პირობები რომ ჰქონოდა, ეგებ, მასაც გაერტყა მიზნისთვის.

რაც შეეხება საგაისო სეზონს, იგი ოლიმპიური წელიწადია და სალუქვაძეს ყველა პირობა უნდა შეუქმნან თამაშებისთვის ნორმალურად მოსამზადებლად. ცოტა გასაკვირია, მაგრამ ზემდგომ ინსტანციებს ფედერაციების ბიუჯეტები ჯერ არ დაუმტკიცებიათ. შესაბამისად, სპორსტმენებმა გარანტირებულად არ იციან საგაისო გეგმებზე. სალუქვაძეც მათ რიცხვშია, მაგრამ ვიმედოვნებთ, ხელისუფლება მათი ინტერესებისთვის მაქსიმუმს გააკეთებს.

დასასრულ, გეტყვით, რომ გაისად ფედერაცია ტყვიის სროლაში კიდევ ერთი ლიცენზიის მოპოვებას გეგმავს. იგი ევროპის ჩემპიონატზე გაიცემა, მხოლოდ მოწინავე ხუთეულისთვის, მაგრამ აქ ადგილმონაცვლეობის პრინციპი იმოქმედებს, ანუ ეს ხუთეული ულიცენზიოდ დარჩენილებში დაითვლება.

ირაკლი თავაძე

ნინო სალუქვაძე მეექვსე ოლიმპიადაზე იასპარეზებს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბატუტზე ხტომა



ლუბა გოლოვინა

ინტერვიუ ზაურ სულაშვილთან

კანადური ფინალიდან პეკინის ფინალამდე

წლევანდელი სეზონი ქართველი ბატუტისტებისთვის იღბლიანად დაიწყო და იღბლიანადვე დასრულდა. წლის დასაწყისში, კანადურ მსოფლიო თასზე, ახალგაზრდა ლუბა გოლოვინამ ფურორი მოხდინა, ფინალში გავიდა და მეხუთე ადგილზე დაასრულა შეჯიბრება. იქვე, წარმატებით გამოვიდა თენგიზ კოშკაძეც. სეზონის ბოლოს კი, მსოფლიო ჩემპიონატზე, ისევ კანადაში და ისევ კვებეკში, გოლოვინამ ოლიმპიური ლიცენზიის მოპოვებით დააგვირგვინა სეზონი.

წინ კი ახალი სეზონი და პეკინის ოლიმპიური თამაშებია. ვინძლო, პეკინში ათენი აღარ განმეორდეს და გერმანიის სახელით მოასპარეზე ანა დოღონაძის ნაცვლად, გოლოვინას მედლით გავიხაროთ...

წლევანდელი სეზონის შეფასება და სამომავლო გეგმების გამხელა ეროვნული ნაკრების თავკაც ზაურ სულაშვილს ვთხოვეთ.

- სეზონს უდავოდ დადებითად შევაფასებდი, რადგან მთავარ ამოცანას მივაღწიეთ და პეკინის ოლიმპიადის საგზური მოვიპოვეთ. ჩვენს სახეობაში ოლიმპიური ლიცენზია მხოლოდ ერთ შეჯიბრებაზე თამაშდება და თუკი იქ ხელი მოგეცარა, ყველაფერი დამთავრებულია. ორმაგად სასიამოვნოა, რომ ოლიმპიური ლიცენზია მოიპოვა ახალგაზრდებში ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონმა ლუბა გოლოვინამ, რომელსაც წლეულს დებიუტი ჰქონდა უფროსებში და მიუხედავად ამისა, ტოლი არაფერში დაუდო თავისზე გაცილებით გამოცდილ მეტოქეებს.

ისე, ცოტა რომ გაგვმართლებოდა, ლიცენზიის მოპოვება რეალურად შეეძლო თენგიზ კოშკაძესაც. მან სავალდებულო პროგრამა კარგად შეასრულა, მაგრამ თავისუფალში შეცდომა დაუშვა და მესამე ელემენტიდან ქულები აღარ ჩაეთვალა. ასევე არ გაუმართლა სოფო გულიაშვილს, თორემ მისგანაც მოსალოდნელი იყო პეკინის საგზური. აღსანიშნავია, რომ კოშკაძე ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატების ფინალისტია, ხოლო უფროსებში ორჯერ გავიდა მსოფლიო თასის ფინალში. პეკინის ოლიმპიადის მიღმა დარჩენით არაფერი დამთავრებულა და ლონდონის ოლიმპიური თამაშებისთვის თენგიზის დიდი იმედი გვაქვს. იგივეს ვიტყოდი გულიაშვილზე, რომელიც ახალგაზრდებში მსოფლიო ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორია და უფროსებშიც სტაბილურად გამოდის.

- გოლოვინამ ისე დაიწყო სეზონი, რომ გვეგონა უფროსებშიც ყველა შეჯიბრებაზე ფინალში გავიდოდა...

- მსოფლიო თასის ფინალში გასვლითა და მეხუთე ადგილით ლუბამ მართლაც სენსაცია მოახდინა, ეს შეჯიბრება მსოფლიო ჩემპიონატისგან საგრძნობლად განსხვავდება. მსოფლიო თასზე თითოეულ ქვეყანას ორი ბატუტისტი გამოჰყავს, ხოლო მსოფლიო ჩემპიონატზე 4-4. ეს იმას ნიშნავს, რომ მსოფლიო ჩემპიონატზე ორჯერ მეტი უძლიერესი ბატუტისტი გამოდის. აქვე ისიც აღსანიშნავია, რომ გოლოვინამ წლეულს პირველი სეზონი ჩაატარა უფროსებში და ახალგაზრდების მსგავსად, აქაც სწრაფად პროგრესირებს.

- სეზონს დადებითად კი აფასებთ მაგრამ პრობლემებიც ხომ არ გაქვთ?

- რაკიღა წინასაოლიმპიადო წელია, ამ სეზონში აქცენტს ეროვნულ ნაკრებზე ვაკეთებდით. სპორტის დეპარტამენტისა და ოლიმპიური კომიტეტის დახმარებით, ფინანსური პრობლემები არ შეგვქმნია. ყველაზე მეტად კი იმან დაგვწყვიტა გული, რომ ახალგაზრდებს ვერ მივაქციეთ სათანადო ყურადღება. არადა, უმცროს ასაკებში მუდამ გვყავს ნიჭიერი ბატუტისტები. შარშან ლუბა გოლოვინამ, თამარ კაკაშვილმა და ნანა ღუჭაშვილმა ევროპის ჩემპიონატზე გუნდური მესამე ადგილი დაიკავეს, თვით რუსეთიც კი ჩამოვიტოვეთ უკან და უცხოელი სპეციალისტები არაფრთოვანეს ჩვენმა გოგონებმა. ამ ფაქტს საერთაშორისო ფედერაციაც კი გამოეხმაურა და ერთი ბატუტი გადმოგვცა. წლევანდელი მსოფლიო ჩემპიონატის დასრულებისთანავე მსოფლიოს ახალგაზრდული პირველობა იწყებოდა, სადაც სამწუხაროდ, ვერ წავიყვანეთ კაკაშვილი და ღუჭაშვილი. ვიმედოვნებ, მომავალში ახალგაზრდებს უფრო მეტ ყურადღებას მივაქცევთ. მათ ყველა მნიშვნელოვან შეჯიბრებაზე უნდა მივცეთ თავის გამოჩენისა და ოსტატობის ამარლების საშუალება.

რუსუდან ხოფერიასა და ანა დოღონაძის თაობა წავიდა, მოდის ახალი, საოცრად ნიჭიერი თაობა. ჩვენი ვალია, რომ მათ მაქსიმალურად შევუწყოთ ხელი.

- პეკინის ოლიმპიადისთვის სად და როგორ მოემზადება გოლოვინა?

- ესოდენ მნიშვნელოვან შეჯიბრებას დიდი სამზადისი სჭირდება და თითქმის ყველაფერი დაგეგმილი გვაქვს. ოლიმპიადამდე ლუბას ელის მსოფლიო თასის ეტაპები და ევროპის ჩემპიონატი. სეზონს 5-9 მარტს გავხსნით, პოლონეთის მსოფლიო თასზე. აღნიშნული შეჯიბრებისთვის მოსამზადებლად ორი ვარიანტი გვაქვს - შეკრება პოლონეთშივე ან ბულგარეთში. სხვათა შორის, პოლონეთის ნაკრებს ავარჯიშებს ქართველი სპეციალისტი, საერთაშორისო კატეგორიის არბიტრი ვალერი ჩხაბერიძე და შეკრების მოწყობაში დახმარებაზე მისი იმედი გვაქვს.

- დაბოლოს, პეკინის ოლიმპიადაზე რა მიზანს ისახავთ, შეძლებს ლუბა ფინალში გასვლას?

- თუკი მის პოტენციალს და სწრაფ პროგრესს გავითვალისწინებთ, რვა ფინალისტს შორის მოხვედრა რეალურია. ფინალში კი ასეთი დონის შეჯიბრებებზე ყველაფერი ხდება. შორს რომ არ წავიდეთ, მაგალითისთვის თუნდაც წინა მსოფლიო ჩემპიონატი ავიღოთ, სადაც ფინალში დიდი სენსაციები მოხდა, რვიდან მხოლოდ სამმა გაიარა ბოლომდე თავისი პროგრამა და ისეთი ბატუტისტები გახდნენ პრიზიორები, თავიდან რომ ვერაფრით წარმოვიდგენდით...

კობა ხატისაშვილი

ჟურნალისტი

კანდელაკი იანვარში გადაწყდება

ქართველებმა ბაქოში წააგეს, მოიგეს და იჩხუბეს

ნუგზარ კანდელაკის მეორედ მისვლა აზერბაიჯანში ჯერჯერობით არ შედგა. როგორც ქვეყნის ჩემპიონ „ნტდ-სერვის დევონის“ პრეზიდენტმა, **ბაჰრამ აბდინოვმა** იქაურ პრესას განუცხადა, ნუგზარ კანდელაკმა მოსაფიქრებლად დრო ითხოვა, რადგან მას ქართული კლუბიდანაც აქვს შეთავაზება. აბდინოვის ქართული კლუბის სახელი არ დაუკონკრეტებია, მაგრამ თქვა, რომ კანდელაკის საკითხი იანვარში გადაწყდება.

ნუგზარ კანდელაკი აზერბაიჯანის დედაქალაქში „ნტდ-სერვის დევონის“ ხელმძღვანელობის მიწვევით იმყოფებოდა. მან თან იახლა საქართველოს 18-წლამდელთა ნაკრებიც, რომელსაც თავად წვრთნის. ამასობაში აზერბაიჯანში ჩემპიონატიც დაიწყო, „დევონმა“ უკანდელაკოდაც იოლად სძლია აზერბაიჯანის 18-წლამდელთა ნაკრებს - 125:21. ხოლო „გალამ“ 112:24 მოუგო „ხაზარ უნივერსიტეტის“. „დასავლეთის უნივერსიტეტმა“ 42:51 წააგო „აზტოპთან“. ალბათ, ანგარიშები გარკვეულ წარმოდგენას შეგიქმნით აზერბაიჯანული კალათბურთის დონეზე.

საქართველოს 18-წლამდელთა ნაკრებმა კი ორი მატჩი გამართა, „დევონთან“ 64:87 წააგო, შემდეგ კი „გალა“ დაამარცხა. თუმცა ამ მატჩში უსიამოვნო ინციდენტი მოხდა, საქართველოს ნაკრები 69:68 იგებდა მატჩის დასრულებამდე 40 წამით ადრე, როცა ორ გუნდს შორის ჩხუბი ატყდა და მატჩიც აღარ დასრულდა. საბედნიეროდ, ბოლოს აზერბაიჯანელი და ქართველი კალათბურთელები მოედანზევე შერიგდნენ.

სხვათა შორის, აზერბაიჯანში კანდელაკის შესაძლო დაბრუნებას ყველა სიხარულით არ შეხვედრია, „გალას“ და აზერბაიჯანის ნაკრების თავკაცი **ელხან ალიევი** ამტკიცებს, რომ ამით აზერბაიჯანელ სპეციალისტებს პროფესიული ზრდის შანსი ერთმევათ.

სხვათა შორის, „დევონის“ ცენტრმა და ლიდერმა **დავით მუშკუდიანმა** (კლუბის გაჩემპიონებაში დიდი წვლილი მიუძღვის) ზაფხულში ცოლად აზერბაიჯანის ხელბურთელ ქალთა ნაკრების ყოფილი ლიდერი **ნინო წივწივაძე** მოიყვანა.

ნიკოლოზ ნეფარიძე



„ლელოს“ რედაქცია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ 75 წლისა გარდაიცვალა ჩვენი გაზეთის უფროსი თაობის ღირსეული წარმომადგენელი, ღვაწლმოსილი სპორტული ჟურნალისტი

ოთარ გელაშვილი

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

პანაშვიდი: 20, 21 XII,16 სთ; გამოსვენება 22 XII, 14 სთ; მისამართი: ქეთევან წამებულის ქ. №88

საქართველოს ფარიკაობის ფედერაცია სამძიმარს უცხადებს ქუთაისის ფარიკაობის სკოლის დირექტორს ვახტანგ ჭოლაძეს **დედის** გარდაცვალების გამო.

ჭადრაკი

აზმაიფარაშვილი კვლავ პირველია



ქართველმა დიდოსტატმა **ზურაბ აზმაიფარაშვილმა** სინგაპურის მასტერსის რიგით მეოთხე ტურნირში პირველი ნახევარი ქულა დათმო, თუმცა მაინც შეინარჩუნა ერთპიროვნული ლიდერობა. აზმაიფარაშვილმა მეხუთე ტურში ვიეტნამელ დიდოსტატ **დაო ტიენ ჰაის** მოუგო თეთრი ფიგურებით, მეექვსე ტურში კი, მოულოდნელად, ფილიპინელ საერთაშორისო ოსტატ **კატალინო სადორასთან** ყაიმს დასჯერდა. ექვსი ტურის შემდეგ აზმაიაფარაშვილი 5,5 ქულით სინგაპურის მასტერსის ერთპიროვნული ლიდერია. 5-5 ქულით ქართველ დიდოსტატს კვალში სადორა და ინდოელი **ჩანდა სანდიპანი** უდგანან. 4,5-4,5 ქულით მეოთხე-მეხუთე ადგილზე ჩინელი **ჭანკ ჭონკი** ინდონეზიელი **სუსანტო მეგარანტო** არიან. მეშვიდე ტურში აზმაიფარაშვილი შავი ფიგურებით ინდოელ დიდოსტატ ჩანდა სანდიპანს შეხვდება.

ნიკოლოზ ნეფარიძე

საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის წევრთა საყურადღებოდ!

21 დეკემბერს სასტუმრო „თორში“ (გია ჭანტურიას ქუჩა 10) გაიმართება საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის კონფერენცია.

დასაწყისი 14 საათზე.

სსჟა-ს აღმასკომი

ᲪᲘᲜᲪᲐᲫᲔᲛ ᲡᲐᲛᲐᲠᲐ ᲓᲐᲐᲡᲐᲛᲐᲠᲐ

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲪᲘᲜᲪᲐᲫᲘᲡ „ტარტუ როკი“ ევროთასზე წარმატებულ სვლას განაგრძობს. ესტონელებმა ჯგუფური ტურნირის მეორე ტურში რუსული „სამარა“ დაასამარეს - 77:57. შეგახსენებთ, რომ „როკერთა“ ანგარიშზე საბერძნეთში პაოკთან გამარჯვებაცაა და ისინი ერთპიროვნულად ლიდერობენ A ჯგუფის სატურნირო ცხრილს.

როცა ევროთასზე გუნდები ჯგუფებად განაწილდნენ, დავწერეთ - **გიორგი ცინცაძეს** შურისძიების კარგი შანსი აქვს-თქო. იგი ორი წლის წინ „სამარაში“ ირიცხებოდა, მაგრამ მწვრთნელის უნდობლობის გამო მოედანზე იშვიათად უწევდა გასვლა.

ტარტუულ მატჩში ცინცაძემ ჯავრი სრულად ამოიყარა და რუსებს დაუმტკიცა, რომ მაღალი დონის კალათბურთის თამაში შეუძლია: 32 წუთში 10 ქულა, 9 შედეგიანი გადაცემა, 6 მოხსნა და 4 ჩაჭრა გაიფორმა. შეიძლება იფიქროთ, რომ მარგი ქმედების კოეფიციენტის მიხედვით ბუ ესტონელთა შორის საუკეთესო იყო, მაგრამ კიდევ ორმა როკერმა გამოიჩინა თავი: ამერიკელმა **ბრაიან კუსვორსმა** 16 ქულა და 11 მოხსნა მიითვალა, ხოლო **გერტ კუულმიაემ** 12-დან 8 სამქულიანი გამოიყენა და 24 ქულა მოუგროვდა.

გიორგი ცინცაძემ მატჩის შემდეგ გვითხრა - მთელი შეხვედრა მაღალ დონეზე ჩავატარეთო, მაგრამ სტატისტიკის მიხედვით „როკმა“ პირველი და მესამე პერიოდები ჩაატარა ეფექტურად. საწყის ათწუთეულში მასპინძლებმა 25:13 იმარჯვეს. მეორე პერიოდში რუსებმა სიტუაცია ოდნავ გამოასწორეს და დიდ შესვენებაზე 10-ქულიანი ჩამორჩენით გავიდნენ (32:42). გამარჯვებულის ბედი მესამე მეოთხედში გიორგი ცინცაძემ გადაწყვიტა: პერიოდი ზუსტი სამქულიანით გახსნა და 12:0 სპურტს ჩაუყარა საფუძველი - 54:32. საყურადღებოა, რომ მესამე ათწუთეულში გიორგის ანგარიშზე 6 ქულა, 4 პასი, 3 მოხსნა და 2 ჩაჭრა იყო.

ვიდრე „ტარტუს“ მწვრთნელის **ულარ კერდეს** კომენტარს შემოგთავაზებდეთ, „სამარის“ ოფიციალურ ვებ-გვერდზე ამ მატჩის მიმოხილვის სათაურს გაგაცნობთ: „როკმა“ „სამარაზე“ შური იძია. შეიძლება გახსოვთ, რომ შარშან ფიბას თასზე „სამარამ“ ესტონელები შინაც დაამარცხა, სტუმრადაც და საბოლოოდ თასიც არავის დაუთმო.

ულარ კერდე: *„ამ გამარჯვებას გუნდური თამაშით მივაღწიეთ. ჩემმა კალათბურთელებმა დაამტკიცეს, რომ მაღალი დონეზე თამაშიც შეუძლიათ და ერთმანეთის დახმარებაც. არ მეგონა დაცვაში ასე კარგად თუ გავისარჯებოდით.“*

ᲚᲐᲞᲔᲜᲠᲐᲜᲢᲐ (ᲤᲘᲜᲔᲗᲘ)– ᲞᲐᲝᲙ (ᲡᲐᲑᲔᲠᲫᲜᲔᲗᲘ) 83:74

ᲢᲐᲠᲢᲣ (ᲔᲡᲢᲝᲜᲔᲗᲘ)– ᲡᲐᲛᲐᲠᲐ (ᲠᲣᲡᲔᲗᲘ) 77:57

A ᲯᲒᲣᲤᲘ	Თ	Მ	Ნ	Ქ
1. ᲢᲐᲠᲢᲣ	2	2	0	4
2. ᲚᲐᲞᲔᲜᲠᲐᲜᲢᲐ	2	1	1	3
3. ᲡᲐᲛᲐᲠᲐ	2	1	1	3
4. ᲞᲐᲝᲙ	2	0	2	2

ᲓᲐᲕᲘᲗ ᲣᲒᲠᲔᲮᲔᲚᲘᲫᲔ

ᲚᲔᲒᲘᲝᲜᲔᲠᲘ

ᲑᲝᲠᲐᲩᲛᲐ ᲛᲝᲒᲔᲑᲐ ᲒᲐᲘᲮᲡᲔᲜᲐ

ᲑᲝᲡᲜᲘᲘᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲨᲘ მეცხრე ტურის მატჩში **დავით უგრეხელიძის** „ბორაჩ ნექტარმა“ „პოსუშიე“ 98:73 დაამარცხა.

ქართველმა ცენტრმა, რომელიც „ბორაჩში“ მე-17 ნომრით თამაშობს, მატჩი სათადარიგოთა სკამიდან დაიწყო და მოედანზე 12 წუთი გაატარა. დროის ამ მცირე მონაკვეთში უგრეხელიძეს ურიგოდ არ უთამაშია: 3 ორქულიანი ასპროცენტიანი სიზუსტით სტყორცნა, ასევე სამი საჯარიმოდან 2 გამოიყენა და 8 ქულა ჩაიწერა, რასაც 1 მოხსნა მიამატა.

თუკი სტატისტიკას მოვიშველიებთ, თამამად უნდა ვთქვათ, რომ „ბორაჩ ნექტარი“ გუნდური თამაშით გამოირჩევა: 10-ზე მეტი ქულა ხუთმა კალათბურთელმა მოაგროვა, რომელთაგან საუკეთესო ივან გემალიევიჩი იყო (15 ქულა).

შეგახსენებთ, რომ მუხლის ტრავმის გამო დავით უგრეხელიძეს სეზონის საწყისი სამი მატჩი გაუცდა. „ბორაჩ ნექტარმა“ სწორედ ის შეხვედრები მოიგო, რის შემდეგაც ზედიზედ 5 მატჩი დათმო და გამარჯვების გემო „პოსუშიესთანღა“ გაიზსენა.

ასე და ამგვარად, ბოსნიის ჩემპიონატში, 9 ტურის შემდეგ „ბორაჩს“ 4 მოგება აქვს და მე-9 ადგილზეა. მისი ბოლო მეტოქე „პოსუშიე“ მეექვსეა, ხოლო სატურნირო ცხრილს სათავეში „ბოსნა“ უდგას (9 მოგება).

ვინაიდან უგრეხელიძის შესახებ იშვიათად გვიწევს წერა, მკითხველს შევახსენებთ, რომ დათო ამ ბოსნიურ კლუბში სეზონის დასაწყისში გადავიდა. მანამდე იგი სლოვენიურ „სლოვანსა“ და „პივოვარნაში“ ცდიდა ძალებს, ხოლო 2006-07 წლების სეზონი საქართველოში, რუსთავის „აზოტში“ გაატარა.

ᲕᲐᲮᲢᲐᲜᲒ ᲢᲧᲔᲨᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ᲗᲐᲕᲘ ᲨᲔᲕᲐᲮᲡᲔᲜᲔ!

„ტარტუ“-“სამარის“ მატჩის მიმოხილვაში გიორგი ცინცაძის მოკლე კომენტარი შემოგთავაზეთ, ახლა მისი ინტერვიუს წაკითხვის საშუალება გაქვთ. ცინცაძეს შეხვედრის დასრულებიდან საათნახევარში ტარტუში შევეხმიანეთ.

- რის ხარჯზე მოახერხეთ ძლიერი რუსული კლუბის ასე დაბრიყვება?

- მთელმა გუნდმა კარგად ითამაშა. შეცდომები თითქმის არ დაგვიშვია. განსაკუთრებით ეფექტურად დაცვაში გამოვიყურებოდით და დამსახურებულად გავიმარჯვეთ. ამ მატჩის მოგება ერთი-ორად ჩემთვის ფასობდა, რადგან მსურდა სამარელებისთვის მეჩვენებინა, რომ ორი წლის წინ არასწორად მომექცნენ.

- რას გულისხმობ?

- ცსკა-დან „სამარაში“ იმედიანად გადავედი, მაგრამ მწვრთნელმა უნდობლობა გამომიცხადა და არ მათამაშებდა. ცხადია, ეს არავის სიამოვნებს და მეც სამარიდან დროზე ადრე, უკმაყოფილო წამოვედი.

- მიმდინარე სეზონი „როკთან“ ერთად კარგად დაიწყე, ყოველ მატჩში 30 წუთზე მეტს თამაშობ...

- გუნდში ჯანსაღი ატმოსფეროა, ეს თამაშისას ურთიერთქმედებასაც აიოლებს. ამასთან, მწვრთნელი ბოლომდე მენდობა, მეც თავისუფლად ვირჯები და ჯერჯერობით მის იმედებს ვამართლებ.

- შარშან „სამარასთან“ ორივე მატჩი წააგეთ. წელს 20-ქულიანი სხვაობით მოიგეთ. ამის მიხედვით შეიძლება თუ არა ვთქვათ, რომ „ტარტუ როკი“ წელს უკეთესი გუნდია?

- რთული სათქმელია. სეზონი შარშანაც დამაჯერებლად დავიწყეთ, მაგრამ გვქონდა გარკვეული ჩავარდნები. წელს არც თუ კარგად დავიწყეთ, მაგრამ ნელ-ნელა თამაშს მოვუმატეთ შევთამაშდით და ყველა მეტოქისთვის ანგარიშგასაწევ ძალას წარმოვადგენთ.

- ახლახან ბალტიის ლიგის ვარსკვლავთა მატჩის კანდიდატად დასახელდი, „ოლ სტარში“ მოხვედრის იმედი გაქვს?

- შარშან უფრო კარგი შანსი მქონდა, მაგრამ მაშინ ვერ მოვხვდი. ახლა, ლეგიონერთა ნაკრების უკანა ხაზში სერიოზული კონკურენციაა და ვარსკვლავთა მატჩში თამაშის შანსიც ნაკლებია, მაგრამ ქართველი და ესტონელი ქომაგების იმედი მაქვს. მათი მხარდაჭერით გამოკითხვაში უკანა-ხაზელთა ორეულში თუ შევედი...

ᲕᲐᲟᲐ ᲡᲘᲛᲝᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ᲪᲘᲜᲪᲐᲫᲔ ᲡᲐᲛᲐᲠᲐᲡᲗᲐᲜ ᲛᲐᲢᲩᲨᲘ

ნადალმა ყველაზე მეტი მატჩი მოიგო

2007 წლის სეზონი

ATP-ის შემეცნებითი ანბანი

სანამ საჩოგბურთო სამყაროში არდადეგები გრძელდება, პროფესიონალ ჩოგბურთელთა ასოციაციამ (ATP) გასული სეზონის მნიშვნელოვანი მომენტები გამოარჩია და ამისთვის ლათინური ანბანის ყველა ასო გამოიყენა.

A - Andreev: რუსმა ჩოგბურთელმა **იგორ ანდრეევმა** მუხლის ტრავმა მოირჩინა და რეიტინგში 90-დან 33-ე ადგილამდე აღზევდა. გარდა ამისა, მან კარიერაში პირველად გააღწია "დიდი სლემის" ტურნირის მეოთხედფინალში (როლან გაროსი).

B - Bryans: ტყუპმა ძმებმა **ბობ** და **მაიკ ბრაიანებმა** პირადი კარიერის რეკორდი დაამყარეს: სეზონში 11 ტურნირი მოიგეს და ამერიკის ნაკრებს დევისის თასის მოპოვებაში დაეხმარნენ.

C - Canas: არგენტინელი **გილერმო კანიასი** ბოლო სამი წლის მანძილზე პირველად მოხვდა საუკეთესო ოცეულში. გარდა ამისა, მან სეზონის მსვლელობისას ორჯერ მოუგო მსოფლიოს პირველ ჩოგანს, **როჯერ ფედერერს**.

D - Djokovic: სერბმა ჩოგბურთელმა **ნოვაკ ჯოკოვიჩმა** სეზონში 68 მატჩი მოიგო და კლასიფიკაციაში 68-ე ადგილიდან მესამე პოზიციაზე გადაინაცვლა.

E - Eschauer: 33 წლის ავსტრიელმა **ვერნერ ეშაუერმა** კარიერაში პირველად დაასრულა სეზონი საუკეთესო ასეულში. ის ასევე პირველად გავიდა ATP-ის ტურნირის ფინალში.

F - Federer: შვეიცარიელმა სუპერვარსკვლავმა როჯერ ფედერერმა ზედიზედ მეოთხე სეზონი დაასრულა პირველი ჩოგანის რანგში. მას კარიერაში 42 ტურნირი აქვს მოგებული, "მოგება/წაგების" შეფარდება კი, 315-24 გახლავთ.

G - Gasquet: ფრანგმა **რიშარ გასკემ** პირველად მოახერხა სეზონის საუკეთესო ათეულში დასრულება. მის ანგარიშზეა 49 გამარჯვება და "დიდი სლემის" პირველი ნახევარფინალი (უიმბლდონი).

H - Hanescu: რუმინელმა ჩოგბურთელმა **ვიქტორ ჰანესკუმ** რეიტინგში დაუჯერებელი ნახტომი შეასრულა. მან წელი 643-ე ნომრის რანგში დაიწყო, 566 საფეხურით წაიწია წინ და 77-ე ადგილზე დამკვიდრდა. ჰანესკუმ კარიერაში პირველად ითამაშა ATP-ის ტურნირის ფინალში.

I - Isner: უძლიერესი მონოდების მქონე ამერიკელმა **ჯონ ისნერმა,** ერთ ტურნირზე მონოდებული ეისების რაოდენობით (144) ახალი რეკორდი დაამყარა (აქ არ იგულისხმება "დიდი სლემის" სერიის ტურნირები). კარიერაში პირველად გავიდა ATP-ის ტურნირის ფინალში და აგრეთვე აშშ-ის ღია პირველობის მესამე წრეშიც გააღწია.

J - Johansson: შვედმა **ტომას იოჰანსონმა** ბოლო 12 სეზონიდან მეთერთმეტედ, წელი საუკეთესო ასეულში დაასრულა. უკანასკნელ 10 სეზონში, ის მინიმუმ ერთხელ მაინც გადის ATP-ის ტურნირის ფინალში.

K - Karlovic: ხორვატმა **ივო კარლოვიჩმა** კარიერაში პირველად მოიგო სამი ტურნირი სხვადასხვა საფარზე და აგრეთვე ლიდერი გახდა ოთხი სტატისტიკური მონაცემის მიხედვით: 1318 ეისი, საკუთარ მოწოდებაზე მოგებული გეიმების 94 პროცენტი, პირველი მოწოდების შემდეგ მოგებული ქულების 84 პროცენტი, მოგერიებული ბრეიკ-პოინტების 75 პროცენტი.

L - Lee: კორეელმა **ჰიუნ-ტაიკ ლიმ** კარიერაში საუკეთესო შედეგი აჩვენა, როცა სეზონში 25 მატჩი მოიგო. ის ზედიზედ მეორე წელია არავის უთმობს აზიის საუკეთესო ჩოგბურთელის წოდებას. ლიმ წელი 51-ე ჩოგანის რანგში დაასრულა.

M - Moya: ესპანელმა **კარლოს მოიამ** კარიერაში თავისი მე-20 ტურნირი მოიგო. ორჯერ გავიდა "დიდი სლემის" ტურნირების მეოთხედფინალში (როლან გაროსი, აშშ-ის ღია) და გახდა ყველაზე ასაკოვანი ჩოგბურთელი (31 წლის), ვინც სეზონი საუკეთესო ოცეულში დაასრულა (მე-17 ადგილი).

N - Nadal: ესპანელმა **რაფაელ ნადალმა** სეზონში ყველაზე მეტი მატჩი მოიგო - 70. 1973 წლიდან მოყოლებული, ის ერთადერთი ჩოგბურთელია, რომელიც სამი წელი ზედიზედ იმყოფება რეიტინგის მეორე საფეხურზე.

O - Olivier: ბელგიელი **ოლივი როხუსი** ATP-ის ტურის ყველაზე ტანმორჩილი ჩოგბურთელი აღმოჩნდა - მისი სიმაღლეა 167 სანტიმეტრი. როხუსმა ზედიზედ მესამე სეზონი დაასრულა TOP50-ს შორის.

P - Pavel: 33 წლის რუმინელი **ანდრეი პაველი** ერთეულთა თანრიგში ყველაზე "ასაკოვანი" ფინალის მონაწილე აღმოჩნდა. გადამწყვეტ მატჩში მისი მეტოქე იყო 30 წლის კარლოს მოია.

Q - Querrey: ამერიკელმა **სემ კერიმ** რეიტინგში თავისი მდგომარეობა 64-პოზიციით გააუმჯობესა (127-დან 63-ე ადგილამდე). პირველად ითამაშა ATP-ის ტურნირის ფინალში, ხოლო ერთ-ერთი ტურნირის მეოთხედფინალში, თანამემამულე **ჯეიმს ბლეიკთან** მან ზედიზედ 10 ეისი ჩააწოდა.

R - Roddick: სეზონში ყველაზე საუკეთესო ამერიკელმა **ენდი როდიკმა** აშშ-ის ნაკრებს 1995 წლის შემდეგ პირველად მოაპოვებინა დევისის თასი. ATP-ის ტურში ენდიმ 54 მატჩი მოიგო და 16 წააგო.

S - Starace: საუკეთესო იტალიელი ჩოგბურთელი **პოტიტო სტარაჩე** პირველად კარიერაში პირველ 50 მოთამაშეს შორის შევიდა. მან წელი 31-ე ნომრად დაასრულა და ორი ტურნირის ფინალში ითამაშა (ვალენსია, კიტცბუელი).

T - Tsonga: ორი სეზონის განმავლობაში ტრავმებით გაწამებულმა ფრანგმა **ჯო-ვილფრიდ ცონგამ** რეიტინგში 43-ე პოზიციის დაკავება შეძლო. შავკანიანმა ჩოგბურთელმა ლიონში ნახევარფინალამდე მიაღწია, უიმბლდონზე კი, მეოთხე რაუნდში გავიდა.

U - Udomchoke: ტაილანდელი **დანაი უდომჩოკე** ქვეყნის საუკეთესო ჩოგბურთელი გახდა (159-ე ადგილი). ეს მას შემდეგ მოხდა, რაც პირველი ათეულის ყოფილმა მოთამაშემ **პარადორნ შრიჩაფანმა** სეზონის დიდი ნაწილი ტრავმის გამო გამოტოვა.

V - Verdasco: ესპანელმა **ფერნანდო ვერდასკომ** პირველად სეზონი საუკეთესო 30 ჩოგბურთელს შორის დაასრულა (26-ე ადგილი). მან ზედიზედ მეოთხე სეზონში მოიგო 30-ზე მეტი მატჩი (34).

W - Wawrinka: შვეიცარიის მეორე ჩოგბურთელმა **სტანისლას ვავრინკამ** ტრავმის გამო სამი თვე გამოტოვა და მიუხედავად ამისა, წელი 36-ე ნომრად ჩაამთავრა. შვეიცარიელმა ორი ტურნირის ფინალში (შტუტგარტი, ვენა) ითამაშა.

X - Xavier: ბელგიელმა **ქსავიე მალისემ** ორჯერ დუბლი შეასრულა. მან ექვსი კვირის განმავლობაში ჩენაისა და დელრეი-ბიჩის ტურნირებზე ერთეულთა და წყვილთა ფინალები მოიგო.

Y - Young: ამერიკელი **დონალდ იანგი** წლის ბოლოს, მსოფლიო რეიტინგის ასეულის ყველაზე ახალგაზრდა (18 წლის და 5 თვის) წევრი აღმოჩნდა. მან "ჩელენჯერის" სერიის ტურნირების ოთხ ფინალში ითამაშა.

Z - Zimonjic: სერბმა **ნენად ჟიმონჟიჩმა** პირველად კარიერაში 5 წყვილთა ფინალი მოიგო. დუეტების რეიტინგში ის მეხუთე ადგილზეა. გარდა ამისა, ჟიმუნჟიჩი სერბეთის ნაკრებს დევისის თასის მსოფლიო ჯგუფში მოხვედრაში დაეხმარა.

კრიმინალი

თავდასხმა ჩაკვეტაძეებზე

რუსი ჩოგბურთელის **ანა ჩაკვეტაძის** ოჯახზე განხორციელებული თავხედური თავდასხმა და ძარცვა კვლავაც მსოფლიო სპორტული პრესის ყურადღების ცენტრში რჩება. რუსულმა მასმედიამ ამ დანშაულის დეტალები გამოაქვეყნა.

გასული უიქენდი ჩაკვეტაძემ ბელგიის ქალაქ შარლერუაში გაატარა, სადაც საჩვენებელ ტურნირში მიიღო მონაწილეობა. Women's Tennis Trophy-ის ფინალში, ანამ მსოფლიოს პირველ ჩოგანთან, ბელგიელ **ჟუსტინ ანენთან** ნააგო. როგორც წესი, ასეთი ტურნირები მოთამაშეებს საჩოგბურთო არდადეგების დროს გვარიანი ჰონორარების გამომუშავების საშუალებას აძლევს.

17 დეკემბერს, ანა და **ჯემალ** ჩაკვეტაძეები რუსეთში დაბრუნდნენ. აეროპორტიდან ისინი მოსკოვის გარეუბანში, სოფელ ვლასოვოში მდებარე საკუთარი სახლში გაემართნენ. იქ მათ ანას დედა **ნატალია** და 4 წლის ძმა, **რომანი** ელოდათ. ოჯახი დასაძინებლად წავიდა, მაგრამ ღამის სამ საათზე, სახლში უცნაური ხმაური გაისმა. ანას მშობლების ოთახში ოთხი ნიღბიანი მამაკაცი შევარდა. ჩოგბურთელის დედა თავდამსხმელებმა (ისინი ხელკეტებით, დანითა და პისტოლეტით იყვნენ შეიარაღებულნი) მუქარით გააჩუმეს, მამა კი გაკოჭეს და ოთახში ფულისა და ძვირფასი ნივთების ძებნა დაიწყეს. ნატალია ჩაკვეტაძე იძულებული გახდა სეიფი გაეღო. მილიციისთვის მიცემულ ჩვენებაში მან ასეთი რამ განაცხადა: *"ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ მათ იცოდნენ იმ ნივთების შესახებ, რაც სახლში გვქონდა, თან თავდამსხმელებს სახლში ორიენტირება არ გასჭირვებიათ"*. სეიფის გამოცარიელების შემდეგ, ბანდიტებმა ანა დედაც გაკოჭეს და ოთახი დატოვეს.

"მაშინვე ცემა დამიწყეს. წინააღმდეგობას ვუწევდი, ბოლოს თავში რაღაც ბლაგვი საგანი ჩამარტყეს, ალბათ, პისტოლეტის ტარი. შემახსენეს, რომ სახლში პატარა ბავშვი მყავდა და მითხრეს ჩემი ნებით გადმომელაგებინა ფული. მეც ყველაფერი მივეცი", - ეს უკვე ჯემალ ჩაკვეტაძის კომენტარია. თავდამსხმელებმა 60 ათასი ევრო, 20 ათასი დოლარი და 5 მილიონი მანეთის ძვირფასეულობა გაიტანეს.

პარალელურად, თავდამსხმელთა მეორე ჯგუფი (ისინი სულ ექვსნი იყვნენ) ჩოგბურთელის ოთახში მოქმედებდა. ანას მამის ყვირილზე გაეღვიძა, მაგრამ საწოლიდან წამოდგომა ვერ მოასწრო - მას ერთ-ერთმა ბანდიტმა ორჯერ უთავაზა სახეში, შემდეგ კი, გოგონას ხელ-ფეხი შეუკრა. შემდეგ ჩოგბურთელისგან გაიგეს, თუ სად ინახავდნენ დარჩენილ ძვირფასეულობას და მოპარული ნივთები ჩანთებში ჩაალაგეს. ანა საშველად არავის ეძახდა და ბანდიტებს სთხოვდა, მისი ოჯახის წევრებისთვის ფიზიკური შეურაცხყოფა არ მიეყენებინათ.

საბოლოოდ, ფულისა და ძვირფასეულობის მოკრეფის შემდეგ, ბანდიტებმა სახლი დატოვეს და მიიმალნენ. ჩაკვეტაძეებმა მაშინვე მილიციას დაურეკეს. გამომძიებლები ოჯახის ნაცნობებს, მეზობლებს და სახლის მოსამსახურეს კითხავენ. დაზარალებულებს და მილიციას ეჭვი არ ეპარებათ, რომ ვიღაცამ ბანდიტებს "ნაკოლი" მისცა.



ანა ჩაკვეტაძე

ფედერაციის თასი

ამერიკის ახალი კაპიტანი

მომავალი სეზონიდან, ფედერაციის თასზე ამერიკის ქალთა ნაკრების კაპიტანს, **ზინა ჰარისონს** ახალი თანაშემწე ეყოლება. ეს გახლავთ წყვილებში ჰარისონის ყოფილი პარტნიორი **მერი-ჯო ფერნანდესი**. ხოლო 2009 წლიდან მოყოლებული, ეს უკანასკნელი ჰარისონისგან კაპიტნობას გადაიბარებს - ასეთ ინფორმაციას ავრცელებს ამერიკის საჩოგბურთო ასოციაცია. შეგახსენებთ, რომ 2008 წლის ფედერაციის თასის მეოთხედფინალში, ამერიკის ნაკრები საკუთარ მოედანზე გერმანიას უმასპინძლებს. ეს შეხვედრა 2-3 თებერვალს გაიმართება.

"ფედერაციის თასი ყოველთვის ერთ-ერთი განსაკუთრებული ტურნირი იყო ჩემთვის", - ამბობს 36 წლის მერი-ჯო ფერნანდესი, რომელმაც 1996 წელს, აშშ-ის ნაკრებთან ერთად ქალთა შორის არაოფიციალური მსოფლიო ჩემპიონატი მოიგო. ნაკრებში ექვსწლიანი მოლვაწეობის მანძილზე, ფერნანდესი ოთხჯერ იყო Fed Cup-ის ფინალში, სულ 16 მატჩი ჩაატარა და 10 მოიგო (შესაბამისად 12 და 8 ერთეულთა თანრიგში). ფერნანდესის აქტივშია აგრეთვე WTA-ს ტურის 7 ტიტული ერთეულებში და 19 - წყვილებში (მათ შორის, გამარჯვება 1991 წელს ავსტრალიის ღიაზე და 1996 წელს - როლან გაროსზე). დღემდე, მერი-ჯო ტელეარხ CBS-ზე ტელეკომენტატორად მუშაობდა.

უნდა აღინიშნოს, რომ ამერიკის ნაკრები ფედერაციის თასზე გამარჯვებების რაოდენობით რეკორდსმენი გახლავთ - 17 ტიტული. მაგრამ, ამ გუნდის უკანასკნელი გამარჯვება 2000 წლით თარიღდება. *"მომავალი წელი ბოლო იქნება ჩემთვის კაპიტნის რანგში, ამიტომაც მერი-ჯოსთან ერთად შევეცდები უძლიერესი გუნდი შევკრიბო და ამერიკას ფედერაციის თასი დავუბრუნო"*, - ამბობს ზინა ჰარისონი.

2007 წელს, ამერიკამ ნახევარფინალში გააღწია, სადაც შინ მომავალ გამარჯვებულთან, რუსეთის ნაკრებთან 2:3 დამარცხდა.

■ ■ ■

უკვე ცნობილია საგაისოდ ჰარისონის გუნდის ერთი წევრის ვინაობა. ქვეყნის ჩოგბურთის ასოციაციამ გამოაცხადა, რომ ფედერაციის თასზე თამაშის სურვილი ვეტერანმა **ლინდსი დავენპორტმა** გამოთქვა.

როგორც იცით, შვილის გაჩენის გამო, დავენპორტმა კარიერა შეწყვიტა, მაგრამ ამ სეზონის ბოლოს კვლავ დაბრუნდა კორტზე და ორი შედარებით დაბალი რანგის ტურნირში გაიმარჯვა კიდეც. გაისად, დავენპორტს სრულფასოვანი სეზონის ჩატარება აქვს განზრახული - აქ შედის WTA-ს ტურნირები, ფედერაციის თასი და პეკინის ოლიმპიური თამაშები.

სენსაცია

მონიკა ბრუნდება?

მსოფლიოს ყოფილმა პირველმა ჩოგანმა, 34 წლის **მონიკა სელეშმა** პროფესიულ ტურში დაბრუნების სურვილი გამოთქვა - ასეთ მოულოდნელ ინფორმაციას ავრცელებს სააგენტო AP. ამერიკელი ჩოგბურთელი 2003 წლის "როლან გაროსის" შემდეგ არ გასულა კორტზე, ამის მიზეზი კი, ზურგისა და ფეხის ქრონიკული ტრავმები გახდა. მონიკა დღემდე ატარებს მატჩებს **ჯენიფერ კაპრიატისა** და **მარტინა ნავრატილოვას** წინააღმდეგ და ფორმალურად, მას ოფიციალურად არასოდეს გამოუცხადებია კარიერის დასრულების შესახებ. ამ დღეებში კი, სელეშმა შემდეგი განაცხადა: *"ჩოგბურთის თამაში ძველებურად მიყვარს. ის, რაც წელს ბავშვის დაბადების შემდეგ დავენპორტმა გააკეთა, ნამდვილი გმირობა იყო. მან ყველა ჩვენთაგანს მაგალითი მოგვცა"*.



მონიკა სელეში

ამ განცხადების შემდეგ, სელეშმა ინტერვიუზე დაახლოებით 4000 ათასი განაცხადი მიიღო. "დიდი სლემის" ტურნირების ცხრაგზის გამარჯვებულმა მხოლოდ ორ ინტერვიუზე განაცხადა თანხმობა - მან **დევიდ ლეტერმანის** შოუში და **დეივ კოზლოვსკის** გადაცემაში მონაწილეობის მიღება გადაწყვიტა. ეს ინტერვიუები უახლოეს დღეებში გავრცელდება და ჩვენ უფრო დაწვრილებით შევიტყობთ ამერიკელი ჩოგბურთელის გეგმების შესახებ. სხვათა შორის, კოზლოვსკიმ სელეშთან უფრო ახლოს გაცნობის შესაძლებლობას თავისი ცხოვრების მთავარი მოვლენა უნოდა.

ᲘᲜᲢᲔᲠᲕᲘᲣ ᲮᲝᲡᲔ ᲙᲐᲚᲓᲔᲠᲝᲜᲗᲐᲜ

ᲩᲔᲛᲗᲕᲘᲡ ᲔᲢᲐᲚᲝᲜᲘ ᲯᲔᲘᲡᲝᲜ ᲙᲘᲓᲘᲐ



ᲨᲐᲠᲨᲐᲜᲓᲔᲚᲘ რეგულარულის უმთავრესი აღმოჩენა - "ტორონტო რეპტორზი" წელსაც კარგად გამოიყურება და არც ამჯერად უნდა გაუჭირდეს მომძლავრებული, მაგრამ მაინც დასავლეთზე სუსტი აღმოსავლეთის რვა საუკეთესო გუნდში მოხვედრა. "ბოსტონის", "დეტროიტის", "კლივლენდისა" და "ორლანდოს" შემდეგ, ფლეი ოფში გასვლის საუკეთესო შანსი სწორედ კანადელებს აქვთ და თუ კრის ბოში დროულად აღიდგენს ოპტიმალურ კონდიციებს, "რეპტორზმა" იქნებ საფლეიოფო პირველ წრეში საკუთარი მოედნის უპირატესობაც მოიპოვოს.

არანაკლებ მნიშვნელოვანია "რეპტორზისთვის" ესპანელი გამთამაშებლის, ხუან კალდერონის პროგრესიც, რომელიც ტი. ჯეი. ფორდის ტრავმამ ძირითადში დააყენა და პირენეელმაც ბრწყინვალედ გამოიყენა ბოძებული შანსი. კალდერონი ბოლო 7 მატჩში საშუალოდ 10 შედეგიან გადაცემასა და თითქმის 15 ქულას აგროვებს. ფორდი დაბრუნდა, მერე ისევ დაშავდა და კანადელთა ძირითადი ფლეიმეიქერი ამჯერადაც კალდერონია. გთავაზობთ მასთან ინტერვიუს.

- რამდენად მნიშვნელოვანია თქვენთვის "რეპტორზის" სასტარტო ხუთეულში ყოფნა?

- მნიშვნელოვანია, მაგრამ არა იმდენად, რომ თუ კვლავ სასტარტოს მიღმა დავრჩი, ამის გამო ხასიათი გამოფუჭდეს. სათადარიგოებში ჩემზე გაცილებით ძლიერი და გამოცდილი მოთამაშეებიც ყოფილან. მთავარია, გუნდს სარგებელი მოუტანო და ამას ძირითადი ხუთეულის ნევრისა თუ რეზერვისტის სტატუსით გააკეთებ, გადამწყვეტი მნიშვნელობა არ აქვს.

- რატომღაც გვგონია, რომ "ტორონტოში" ძირითადი და სათადარიგო ფლეიმეიქერის სტატუსს დიდი მნიშვნელობა არ აქვს. სათამაშო დრო ისედაც ბევრი გეძლევათ და ფორდის ტრავმამდეც ყველამ იცოდა, რომ კალდერონი ნიჭიერი კალათბურთელია. ასე რომ, კრის ბოშისთვის არ უნდა ჰქონდეს დიდი მნიშვნელობა, თუ რომელი ნომრით მოთამაშე მიანდვის მას პასს...

- ეს კრისს ჰკითხეთ და დარწმუნებული ვარ, მაინც იტყვის, რომ ტი. ჯეი. ფორდი უფრო გამოცდილი მოთამაშეა და რომ კალდერონს გარკვეულ ნიუანსებში ჯერ კიდევ დიდი სამუშაო აქვს გასაწევი. ამის საწინააღმდეგო მეც არაფერი მაქვს, რადგან ფორდი ჩემზე გაცილებით მაღალანაზღაურებადი მოთამაშეა და ამერიკაში ჩემზე დიდი ნდობითა და ავტორიტეტით სარგებლობს. უბრალოდ, სხვის ჩრდილში ყოფნით არ ვკმაყოფილდები და ამასთან ერთად, ვიცი, რომ გუნდისთვის დიდი სარგებლის მოტანა შემიძლია. ხოლო რაც უფრო მეტს გენდობიან და რაც უფრო მეტ დროს მოგცემენ, გუნდს მეტად გამოადგები.

- სამი სეზონის განმავლობაში სტაბილურად ზრდით თქვენს საშუალო სტატისტიკურ მონაგარს. წელს, პირველად გახვედით 10-ქულიან გრაფიკზეც. როგორ გგონიათ, შეძლებთ თუ არა ამ მაჩვენებლის კიდევ უფრო გაუმჯობესებას?

- ეს ჩემი თვითმიზანი არ არის, თუმცა ცხადია, სასიამოვნოა, როდესაც შეხვედრას სტატისტიკურ ლიდერებში ამთავრებ. "ტორონტოში" ყველა მოთამამეს ენდობიან და ადრე თუ გვიან, თავის გამოჩენის შანსი ყველას ეძლევა. თანაც, მწვრთნელები ამ შანსს არაერთგზის გაძლევენ და თუ მართლაც გაქვს იმისი ამბიცია, რომ სხვაზე მეტი გადაგიხადონ, სხვაზე მეტხანს გაგაჩერონ მოედანზე, მაშინ ეს შანსი მაქსიმალურად უნდა გამოიყენო. არ ვმალავ, რომ ჩემი წლევანდელი სტატისტიკა კარგია, მაგრამ გულის სიღრმეში მაინც ვხვდები, რომ ფორდის ტრავმამ ამას ხელი დიდად შეუწყო. ტი. ჯეი ჩემზე აგრესიული შემტევია, მე კი მისგან განსხვავებით, თვითრწმენა მაკლია, თუმცა ესეც მოგვარებადია.

- ფენომენალურია თქვენი ზუსტი პასებისა და შეცდომების შეფარდება, 7.6/1.4.

- მაქსიმალურად ვცდილობ, რომ თანაგუნდელს ბურთი მხოლოდ იმ დროს გადავაწოდო, როდესაც ის იდეალურ სასროლ პოზიციაში იმყოფება. ვხედავ, რომ ლიგაში ჩემზე ბევრად ძლიერი გამთამაშებლებიც არიან და დამიჯერეთ, ნამდვილად არ მეთაკილება თუნდაც ჩემზე ახალგაზრდა თანაგუნდელის თამაშიდან რაიმე ახლის გადაღება, ამა თუ იმ ელემენტის ათვისება. არ მრცხვენია იმის აღიარებაც, რომ კალდერონი არ არის ამერიკაში ვარსკვლავი. ვცდილობ, "ტორონტოს" დიდი სარგებელი მოვუტანო და გუნდს ფლეი ოფის საგზური მოვაპოვებინო.

- ეთანხმებით თუ არა იმას, რომ თქვენი გუნდი "არაამერიკულ", უფრო კომბინაციურ კალათბურთს თამაშობს?

- "რეპტორზი" სწორ კალათბურთს თამაშობს და თქვენ თუ გსურთ, ამას "არაამერიკული" დაარქვით.

- კრის ბოში ჯერაც ტრავმირებული თამაშობს. რამდენად სწრაფად შედი გუნდის ლიდერი ოპტიმალურ ფორმაში?

- კრისი "რეპტორზის" საუკეთესო მოთამაშეა და მიუხედავად იმისა, რომ ბოლომდე ჯანმრთელი არ არის, მთელი გუნდი ეხმარება იმაში, რომ რაც შეიძლება სწრაფად დაიბრუნოს თვითდაჯერება და რწმენა იმისა, რომ მას ნებისმიერი მატჩის ბედის გადაწყვეტა შეუძლია.

- გაცილებით კარგი სეზონი ჰქონდა შარშან ენტონი პარკერს. რამ გამოიწვია მისი მცირედი რეგრესი?

- ისევ და ისევ ტრავმიანობამ. ზაფხულში მას მარჯვენა მუხლზე ქირურგიული ჩარევა დასჭირდა და ენტონის ხშირად დასვენება სჭირდება. არა მგონია, საბოლოო რეაბილიტაციას დიდი დრო დასჭირდეს.

- მოდით, წლევანდელი სეზონის საუკეთესო გამთამაშებლებს შევეხოთ. დიდი დავაა იმის შესახებ, თუ ვინ არის "მომავლის" ფლეიმეიქერი - დერონ უილიამსი თუ კრის პოლი?

- ორივე ძალიან ძლიერი მოთამაშეა. დერონი ფიზიკურად კრისზე ძლიერია და უფრო კონტაქტური, რბილი პიროვნება ჩანს, ხოლო კრისი კი მოწოდებით ლიდერია, თავისზე გაცილებით გამოცდილ მოთამაშესაც კი მომთხოვნი ტონით ესაუბრება და "ნიუ ორლეანის" ისტორიაში გამორჩეულ ფიგურად უნდა იქცეს. ორივე ბევრს მიაღწევს და მჯერა, რომ მათი ორგანიზაციები ყველაფერს გააკეთებენ, რათა ამ ორ მოთამამეს რაც შეიძლება ხანგრძლივი ხელშეკრულებები გაუფორმონ.

- რომ არსებობდეს, საუკეთესო გამთამაშებლის პრიზს ვის გადასცემდით?

- ჯეისონ კიდს, რომელიც ჩემთვის სრულყოფილი ფლეიმეიქერის ეტალონია. ჯეისონი დაცვაშიც ძალიან ძლიერია და ფარზეც ძლიერად მუშაობს.

- ნეში?

- სტივის ყველაზე დიდი ფანტაზია აქვს. მას არაფრიდან ყველაფრის შექმნა შეუძლია, მაგრამ მე მაინც კიდი მირჩევნია.

- ტონი პარკერი?

- დედამიწაზე ყველაზე სწრაფი მოთამაშე, ვისაც ცოტათი გაუმართლა, რომ ასეთ ძლიერ გუნდში მოხვდა.

- რამდენად წარმატებული კარიერა აქვს ნავაროს?

- მას ბევრად უკეთ მოქმედება შეუძლია. ნავაროს ამერიკაში ამაზე ადრე უნდა დაეწყო თამაში, მაგრამ "ბარსელონაში" იმდენად წარმატებული კარიერა ჰქონდა, რომ ესპანეთში დარჩენა ამჯობინა.

- თავისთავად, ალბათ გააგრძელებთ ესპანეთის ნაკრებში თამაშს, არა?

- რაც არ უნდა მოხდეს, ესპანეთის ნაკრები ჩემთვის ყოველთვის ყველაზე მნიშვნელოვანი იქნება. ჩემი ოცნება ოლიმპიადის მოგებაა.

ᲖᲣᲠᲐᲑ ᲗᲐᲚᲐᲙᲕᲐᲫᲔ

ᲠᲔᲒᲣᲚᲐᲠᲣᲚᲘ ᲩᲔᲛ�პᲘᲝᲜᲐᲢᲘ

ᲙᲚᲘᲠᲘᲡᲘ-ᲢᲝᲠᲝᲜᲢᲝ 77:80

23:19, 26:22, 11:24, 17:15

ᲙᲚᲘᲠᲘᲡᲘ: კ. მაგეტი (22 ქ. 4 მ), ფრემი (13 ქ. 5 მ), კამანი (12 ქ. 16 მ. 3 ს. 3 დ), ტომ ტომასი (10 ქ. 6 ს. 5 მ).
ᲢᲝᲠᲝᲜᲢᲝ: ბოში (24 ქ. 9 მ. 2 დ), მუნი (16 ქ. 5 მ. 3 დ), კალდერონი (12 ქ. 9 ს. 6 მ), დელფინო (8 ქ. 8 მ).

ᲜᲘᲣ ᲯᲔᲠᲡᲘ-ᲡᲐᲙᲐᲛᲔᲜᲢᲝ 101:106

25:28, 25:24, 28:25, 23:29

ᲜᲘᲣ ᲯᲔᲠᲡᲘ: რ. ჯეფერსონი (36 ქ. 9 მ. 3 ს), ვ. კარტერი (15 ქ. 7 ს. 6 მ), ა. რაიტი (13 ქ), კიდი (11 ქ. 10 მ. 9 ს. 2 რ), ს. უილიამსი (11 ქ. 8 დ. 7 მ), მ. ალენი (10 ქ. 4 მ).
ᲡᲐᲙᲐᲛᲔᲜᲢᲝ: სალმონსი (31 ქ. 7 ს. 4 მ. 3 რ), გარსია (24 ქ), ბ. მილერი (23 ქ. 10 მ), არტესტი (20 ქ. 4 მ. 3 ს. 2 დ).

ᲩᲘᲙᲐ�გᲝ-ᲚᲘᲒᲘᲙᲔᲠᲘᲡᲘ 91:103

15:21, 30:28, 23:24, 23:30

ᲩᲘᲙᲐᲗᲝ: დენგი (26 ქ. 7 მ. 2 ს), ჰაინრიხი (17 ქ. 8 ს. 5 მ), ნორეინი (14 ქ. 7 მ), ტაირუს ტომასი (10 ქ. 6 მ. 4 ს. 3 დ).
ᲚᲘᲒᲘᲙᲔᲠᲘᲡᲘ: ვეიაჩიჩი (19 ქ. 3 ს), ბრაიანტი (18 ქ. 6 მ. 3 რ), ოდომი (17 ქ. 16 მ), ბინუმი (12 ქ. 10 მ. 4 დ. 3 ს), უოლტონი (12 ქ. 5 ს), ფიშერი (10 ქ. 5 ს).

20 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲘ. ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲘ

I ᲐᲠᲮᲘ

22:45 არენა - სპორტული ტოქ-შოუ.

HTB-ᲞᲚᲣᲡᲘ (ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ)

13:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
13:20 გასული კვირის ჰიტ-აღლუმი.
15:10 გასული კვირის ჰიტ-აღლუმი.
17:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
17:15 გასული კვირის ჰიტ-აღლუმი.
19:05 გასული კვირის ჰიტ-აღლუმი.
20:55 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
21:15 უიქ ენდის მატჩების ანონსი.
21:25 ტოქ-შოუ - 2:1.
22:10 ინგლისის ჩემპიონატი. არსენალი-ჩელსი.
23:55 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
00:10 საფრანგეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
01:10 გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.

SPORT 1 (ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲐ)

08:10 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ბოსტონი-ოტავა.
10:00 სპორტინფორმი - საინფორმაციო პროგრამა.
10:15 ავტოსპორტი. A1 გრან-პრი. ჩინეთი. მიმოხილვა.
11:15 კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. ჯგუფური ეტაპი. IX ტური. მონტე-პასკი-ცსკა.
12:46 ფეხბურთი. Barca TV.
12:55 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ვესტ ჰემი-ევერტონი.
14:42 ფეხბურთი. Barca TV.
14:50 სპორტდოსიე. სკეიტინგი.
15:20 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. კალიარი-ინტერი.
17:07 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
18:00 ფეხბურთი. უეფას თასი. ჯგუფური ეტაპი. V ტური. ჰაპოელი-ოლბორგი.
19:47 სპორტული ისტორიები.
20:00 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ჩიკაგო-ნეშვილი.
21:50 სპორტინფორმი - საინფორმაციო პროგრამა.
22:05 კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. მიმოხილვა.
22:35 სპორტინფორმი - საინფორმაციო პროგრამა.
22:50 კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. ჯგუფური ეტაპი. IX ტური. მაკაბი-ლეტუვოს რიტასი (LIVE).
00:38 ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
01:08 სპორტინფორმი - საინფორმაციო პროგრამა.
01:23 სპორტული ისტორიები.
01:35 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ლივერპული-მანჩესტერ იუნ.
03:25 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. კალიარი-ინტერი.
05:12 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ვალენსია-ბარსელონა.
06:58 სპორტდოსიე. სკეიტინგი.
07:28 ოლიმპიზმი. პეკინი 2008.

EUROSPORT

12:30 ციგაობა. მსოფლიო თასი. იგლსი. ავსტრია.
13:00 ავტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. სეზონის მიმოხილვა.
13:00 ავტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი ტურიზმის კლასში. სეზონის მიმოხილვა.
14:00 ავტოსპორტი. ერთა თასი. ლონდონი. ბრიტანეთი.
14:45 ავტოსპორტი. ჩემპიონთა რბოლა. ლონდონი. ბრიტანეთი.
15:30 სნუკერი. ბრიტანეთის ჩემპიონატი. ფინალი. ტელფორდი.
17:15 ფეხბურთი. უეფას თასი. ჯგუფური ეტაპი. V ტური. ციურიხი-ლევერკუზენი.
18:00 ფეხბურთი. აფრიკის ერთა თასი. ლეგენდები. საუკეთესო ფინალები 1994-2000.
19:00 ფეხბურთი. აფრიკის ერთა თასი. ლეგენდები. საუკეთესო ფინალები 2000-2006.
20:00 ფეხბურთი. ევრო 2008.
20:30 გოლი - საფეხბურთო პროგრამა.
21:00 ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
21:15 მულტისპორტი.
21:45 სუმო.
22:45 ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
23:00 პროფესიული კრივი. აშშ.
01:00 ცხენოსნობა. კონკურის შოუ. ლონდონი. ინგლისი (LIVE).
02:30 ფეხბურთი. უეფას თასი. ჯგუფური ეტაპი. V ტურის მიმოხილვა.
03:30 სუმო.

EUROSPORT-2

10:30 ახალი ამბები.
13:00 ფრენბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ქალები. ჯგუფური ეტაპი. IV ტური. ოლიმპიაკოსი (საბერძნეთი)-ალმერია (ესპანეთი).
14:00 ფრენბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ქალები. ჯგუფური ეტაპი. IV ტური. ფრიდრიხშაფენი (გერმანია)-ყაზანი (რუსეთი).
15:00 ახალი ამბები.
17:00 ფრენბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ქალები. ჯგუფური ეტაპი. IV ტური. ოლიმპიაკოსი (საბერძნეთი)-ალმერია (ესპანეთი).
18:00 ფრენბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ქალები. ჯგუფური ეტაპი. IV ტური. ფრიდრიხშაფენი (გერმანია)-ყაზანი (რუსეთი).
19:00 სუპერკროსი. მიუნხენი. გერმანია.
21:00 ფრენბურთი. ჩემპიონთა ლიგა. მამაკაცები. ჯგუფური ეტაპი. IV ტური. დინამო (რუსეთი)-ტენერიფე (ესპანეთი) (LIVE).
22:00 სნოუბორდი. მსოფლიო თასი. იტალია.
22:30 ახალი ამბები.
23:00 მოტოკროსი. მსოფლიო ჩემპიონატი. სეზონის მიმოხილვა.
00:00 სუპერსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. სეზონის მიმოხილვა.
01:00 ტრიალი. მსოფლიო ჩემპიონატი. ესპანეთი.
02:00 ახალი ამბები.
02:15 ფრენბურთი. ჩემპიონთა ლიგა. მამაკაცები. ჯგუფური ეტაპი. IV ტური. დინამო (რუსეთი)-ტენერიფე (ესპანეთი).
03:15 ახალი ამბები.

ᲪᲮᲔᲚᲘ ᲮᲐᲤᲮᲘ

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ

ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘ

ᲚᲘᲒᲘᲡ ᲗᲐᲡᲘ

ჩელსი-ლივერპული	2:0

ᲘᲢᲐᲚᲘᲘᲡ ᲗᲐᲡᲘ

უდინეზე-პალერმო	0:0
ტორინო-რომა	3:1
ლაციო-ნაპოლი	2:1
რეჯინა-ინტერი	1:4

ᲔᲡ�პᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲗᲐᲡᲘ

ალიკანტე-რეალი	1:1
ესპანიოლი-დეპორტივო	1:1
რეალ უნიონი-ვალენსია	1:2

ᲙᲐᲚᲐᲗᲑᲣᲠᲗᲘ

ᲔᲕᲠᲝᲚᲘ�გᲐ

ოლიმპიაკოსი-ოლიმპია	113:80
პროკომი-ფალგირისი	80:85
მილანი-ეფესი	73:76
მონტეპასკი-ცსკა	66:69
ბამბერგი-პანათინაიკოსი	58:72
პარტიზანი-რეალი	82:76

ULEB-ᲘᲡ ᲗᲐᲡᲘ

ასკ რიგა-კიევი	72:81

ᲰᲝᲙᲔᲘ

ᲠᲣᲡᲔᲗᲘ

ამური-სპეერსტალი	1:3
მეტალურგი (ნ)-მედ	2:0
ავანგარდი-ცსკა	1:3
სიბირი-დინამო	0:2
ტრაქტორი-ნეფტეხიმიკი	1:2
მეტალურგი (მ)-აკ ბარსი	1:2
ს. იულიაევი-ხიმიკი	3:1
ლადა-სკა	3:1
ვიტიაზი-ლოკომოტივი	1:2
სპარტაკი-ტორპედო	2:1

ᲤᲘᲜᲔᲗᲘ

ლუკო-იოკერიტი	7:1

ᲩᲔᲮᲗᲘ

ტრშინეცი-პარდუბიცე	2:6
ზნოიმო-ვიტკოვიცე	3:0
კლადნო-ლიბერეცი	1:1
სლოვანი-პლზენი	2:5
კარლოვი ვარი-ლიბეინოვი	3:5
სპარტა-სლავია	3:6
ბუდეიოვიცე-ჟლინი	4:2

ᲨᲕᲔᲪᲐᲠᲘᲐ

დავოსი-ბაზელი	2:2
კლოტენი-ამბრი	3:3
ლუგანო-რაპერსვილი	0:1
ფრიბურგი-სერეტი	0:5
ცუგი-ლანგნაუ	6:2
ციურიხი-ბერნი	1:2

ᲠᲝᲚᲘᲜᲒᲘ

NHL. ᲠᲔᲒᲣᲚᲐᲠᲣᲚᲘ ᲩᲔᲛ�პᲘᲝᲜᲐᲢᲘ

ᲑᲝᲡᲢᲝᲜᲘ-ᲝᲢᲐᲕᲐ 2:3

1:1, 0:1, 1:1

ᲒᲝᲚᲘ: 0:1 სპეცა-9 (პიტლი-22, რობიტაილი-5), 1:1 კობესიუ-13 (მეტროპოლიტი-6), 1:2 რიჩარდსონი-1 (ვერმეტი-13, კ. კელი-9), 1:3 სპეცა-10 (ალფრედსონი-25, ჯორვო-14), 2:3 ლუჩჩი-3 (ვიდემანი-10, შეფერი-10).

ᲠᲔᲘᲜᲯᲔᲠᲡᲘ-ᲞᲘᲢᲡᲑᲣᲠᲒᲘ 4:0

1:0, 2:0, 1:0

ᲒᲝᲚᲘ: 1:0 გომესი-7 (სტრაკა-5, იაგრი-16), 2:0 სტრაკა-5 (მ. სტაალი-4, როფსიეალი-11), 3:0 გომესი-8 (დერეი-15, როფსიეალი-12), 4:0 დრური-8 (როფსიეალი-13, შენეპანი-13).

ᲤᲘᲚᲐᲓᲔᲚᲤᲘᲐ-ᲤᲘᲜᲘᲥᲡᲘ 2:3

1:0, 1:2, 0:1

ᲒᲝᲚᲘ: 1:0 ჰარტნელი-5 (უმბერგერი-16), 2:0 მ. რიჩარდსონი-16, 2:1 იენდი-1 (ნ. კაპანენი-10, ტაირნკვისტი-3), 2:2 სიოსტრიომი-9 (დოუნი-17), 2:3 მიულერი-9 (ზ. მიხალეკი-5, რაინპრეხტი-12).

ᲙᲐᲠᲝᲚᲘᲜᲐ-ᲢᲝᲠᲝᲜᲢᲝ 3:2 (Ო)

0:1, 0:1, 2:0, 1:0

ᲒᲝᲚᲘ: 0:1 დეეერო-6 (ტ. კაბერლე-17, კილგერი-5), 0:2 ტ. კაბერლე-6, 1:2 სტილმანი-17 (ფ. კაბერლე-7, ჯასტინ უილიამსი-21), 2:2 რეი უიტნი-15 (ე. კოული-16, სტილმანი-19), 3:2 ს. უოკერი-4 (ე. სტაალი-13, ე. კოული-16).

ᲐᲢᲚᲐᲜᲢᲐ-ᲤᲐᲛᲞᲐ ᲑᲔᲘ 6:2

3:0, 1:1, 2:1

ᲒᲝᲚᲘ: 1:0 ექსელინი-2 (ჰოლიკი-8, მაკარტი-2), 2:0 რეკი-5 (კოვალჩუკი-18, ლეჰტონენი-1), 3:0 ვიაჩ. კოზლოვი-9 (მარიან ჰოსა-19, პერენი-12), 4:0 ტორბურნი-2 (მაკარტი-3, ბულტონი-2), 4:1 ჯ. უორდი-4, 5:1 კოვალჩუკი-27, 5:2 პროსპალი-15 (რეინჯერი-14, ბ. რიჩარდსი-21), 6:2 დუპუი-5 (პერენი-13).

ᲙᲘᲚᲝᲐᲛᲑᲣᲡᲘ-ᲙᲐᲚᲒᲐᲠᲘ 1:3

0:1, 1:2, 0:0

ᲒᲝᲚᲘ: 0:1 ა. ოკუანი-6 (ჰუსელიუსი-20, ფანფი-19), 0:2 ტანგეი-8 (ა. ერიქსონი-6, კონროი-10), 1:2 გლენკროსი-6 (რასელი-5, კლესლა-6), 1:3 იგინლა-24 (ჰუსელიუსი-21, ლომბარდი-11).

ᲛᲝᲜᲠᲔᲐᲚᲘ-ᲤᲚᲝᲠᲘᲓᲐ 2:3

0:2, 0:0, 2:1

ᲒᲝᲚᲘ: 0:1 შტუმპელი-5 (ო. იოკინენი-17), 0:2 მაკლინი-2, 0:3 უეისი-6 (გ. კემპბელი-4), 1:3 ა. მარკოვი-7 (ჩიპჩურა-6, კომისარეკი-5), 2:3 ა. მარკოვი-8 (ს. კოიეუ-18).

ᲛᲘᲜᲔᲡᲝᲢᲐ-ᲜᲔᲨᲕᲘᲚᲘ 3:2

0:1, 0:1, 3:0

ᲒᲝᲚᲘ: 0:1 არნოტი-9 (სატერი-9), 0:2 დუმონი-8 (ერატი-17, არნოტი-14), 1:2 გაბორიკი-13 (დემიტრა-10, ბუშარი-18), 2:2 ბელანჟე-8 (ბუშარი-19, ბ. ბარნსი-9), 3:2 როლსტონი-12 (ბელანჟე-13, ბ. ბარნსი-10).

ᲔᲓᲛᲝᲜᲢᲝᲜᲘ-ᲓᲐᲚᲐᲡᲘ 1:2 (Გ)

1:1, 0:0, 0:0, 0:0

ᲒᲝᲚᲘ: 0:1 ჰაპერენი-7 (მოდანო-12, ოტი-5), 1:1 პენერი-9 (ვილბერტი-6, სტოლი-11).
ᲑᲣᲚᲢᲘᲠᲔᲑᲘ ᲒᲐᲘᲢᲐᲜᲔᲗ: ზუბოვი (დალასი).

ᲕᲐᲜᲙᲣᲕᲔᲠᲘ-ᲜᲘᲣ ᲯᲔᲠᲡᲘ 5:0

1:0, 3:0, 1:0

ᲒᲝᲚᲘ: 1:0 ა. მილერი-1 (ჯ. სედინი-25), 2:0 კესლერი-9, 3:0 ლინდენი-3 (რიტჩი-2, კრაიჩეკი-8), 4:0 ნესლუნდი-12 (დ. სედინი-18, ჯ. სედინი-26), 5:0 ნესლუნდი-13 (დ. სედინი-19, ჯ. სედინი-27).

ᲡᲐᲜ ᲮᲣᲡᲔ-ᲐᲜᲐᲰᲔᲘᲛი 0:2

0:0, 0:2, 0:0

ᲒᲝᲚᲘ: 0:1 პერი-18 (კუნიტცი-12, ო'დონელი-3), 0:2 რაიანი-3 (მარჩანტი-3, ს. ნიდერმაიერი-1).

ციურიხი-ლევერკუზენი. წამიც და ბარნეტა მესამედ დაამწუხრებს მასპინძელთა მეკარეს

უეფას თასი. ჯგუფური ეტაპი. ბოლო ტური

E ჯგუფი

ციურიხი–ლევერკუზენი 0:5

ციურიხი: ლეონი, ბარმეტერი, როშა, მ. შნაიდერი, შტაჰელი, აბდი, აგერტერი (63. ოკონკვო), შიხაუი, კონდე, ალფონსი (63. ეუდისი), რაფაელი (85. შონბახლერი).

ლევერკუზენი: ფერნანდესი, ფრიდრიხი (29. კალსენ-ბრაკერი), გრეშკო, ჰაგი, შარპეი, ბარბარესი, ბარნეტა, როლფესი, ზინკევიჩი (61. ფატი), ბულიკინი (78. გეკასი), კისლინგი.

გოლები: 0:1 გრეშკო (19), 0:2 ბულიკინი (23), 0:3 ბარნეტა (50), 0:4 ბულიკინი (58), 0:5 კისლინგი (80)

მაყურებელი: 20 100

ტულუზა–სპარტაკი 2:1

ტულუზა: რიუ, არიბაჟი, ფოფანა, მ'ბენკე, ბატლე (90. სისოკო), დიეზი, ილუნგა, ემანა, სირიე (46. კაპუე), ბერგუნიო, სანტოსი (81. დუპუი).

სპარტაკი: ხომიჩი, გედერი, კუდრიაშოვი, შიშკინი, შტრანცლი, კოვალჩუკი, პარშივლიუკი, სოავა, ძიუბა, პრუდნიკოვი, ველიტონი (75. ბაკენოვი).

გოლები: 1:0 სანტოსი (41), 2:0 სანტოსი (52), 2:1 ძიუბა (61-პენ)

მაყურებელი: 14 608

	თ	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1. ლევერკუზენი	4	3	0	1	8-2	9
2. სპარტაკი	4	2	1	1	4-3	7
3. ციურიხი	4	2	0	2	4-7	6
4. სპარტა	4	1	1	2	4-5	4
5. ტულუზა	4	1	0	3	4-7	3

F ჯგუფი

ბრაგა–ცრვენა ზვეზდა 2:0

ბრაგა: ჟორჟუ სანტოსი, როდრიგესი, ფერნანდესი, ჟოაო პერეირა, პაულო ჟორჟუ, ჟორჟინიო (73. ჟაილსონი), ბრუმი (89. მადრიდი), ვანდინიო, ლინცი, ვენდერი (71. პეიშოტუ).

ცრვენა ზვეზდა: ბანოვიჩი, ანჯელკოვიჩი, ბაიალიცა, ბასტა (18. ჟოაო ლუკაში), ვ. ჯორჯევიჩი, კასტილიო, კორომანი, მილიაში, მილოვანნოვიჩი, ბარკოსი (89. ფ. ჯორჯევიჩი), სალასი (60. მოლინა).

გოლები: 1:0 ლინცი (11), 2:0 ვენდერი (66)

მაყურებელი: 10 000

ბაიერნი–არისი 6:0

ბაიერნი: კანი, დემიკელისი, ლამი, ლელი (79. სანიოლი), ლუსიო, რიბერი, შვაინშტაიგერი, ვან ბომელი (62. ოტლი), ზე რობერტო, კლოზე (62. ჰოდოლსკი), ტონი.

არისი: ხალკიასი, ბარბიერი, პაპადოპულოსი, გუიარო, ვანგელი, გარსია (86. კარაბელასი), ნებეგლერასი, პრიტასი, ფელიპი, ივიჩი (46. ხავიტო), კოკე (71. სისტონი).

გოლები: 1:0 ტონი (25), 2:0 ტონი (38), 3:0 ტონი (64), 4:0 ტონი (65), 5:0 ლელი (78), 6:0 ლამი (81)

მაყურებელი: 64 000

	თ	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1. ბაიერნი	4	2	2	0	12-5	8
2. ბრაგა	4	1	3	0	5-3	6
3. ბოლტონი	4	1	3	0	5-4	6
4. არისი	4	1	2	1	5-8	5
5. ცრვენა ზვეზდა	4	0	0	4	2-9	0

G ჯგუფი

ხეტაფე–ანდერლეხტი 2:1

ხეტაფე: აბონდანსიერი, ბელენგერი, ჩელესტინი (70. კასკერო), კონტრა, დიასი, დელა რედი, გრანერო, ლიხტი, პაბლო (60. კოტელო), ბრაულიო (77. კეპა), მანუ.

ანდერლეხტი: ფიტკა, ბილია, დეშატი, პოლაკი, ვან დამი, გოორი, ჰასანი, იუჰაში, ტერო, ვასილევსკი (53. მ. მპენზა), ლეგერი (75. დე მანი).

გოლები: 1:0 პაბლო (6), 2:0 ჩელესტინი (49), 2:1 ტერო (90)

მაყურებელი: 7 000

პაპოელი–ოლბორგი 1:3

ჰაპოელი: ენეიამა, ანტები, ბონდარი, დოანი, მაზოვა, აბუტბული, დაგო (70. ბური), ნაჩო, ოვედი, ასულინი (76. საბაგი), ფაბიო ჟუნიორი (87. ლუსკი).

ოლბორგი: ქარიმ ზაზა, კალიფი, იაკობსენი, ოლესენი, ოლფერსი (78. ოლსენი), ლუკას კაკა (59. ლინდსტრიომი), ენევოლდსენი, იოჰანსონი (90. ვილაკაზი), რისგაარდი, კურტი.

გოლები: 0:1 რისგაარდი (27), 1:1 ფაბიო ჟუნიორი (45), 1:2 იაკობსენი (49-პენ), 1:3 ენევოლდსენი (66)

მაყურებელი: 2 000

	თ	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1. ხეტაფე	4	3	0	1	7-5	9
2. ტოტენჰემი	4	2	1	1	7-5	7
3. ანდერლეხტი	4	1	2	1	5-4	5
4. ოლბორგი	4	1	1	2	7-7	4
5. პაპოელი	4	1	0	3	3-8	3

H ჯგუფი

პანიონიოსი–ბორდო 2:3

პანიონიოსი: კიონიგი, ბერტე, მანიატისი (78. არავიდისი), პლეტჩი, სპიროპულოსი, გუნდულაკისი, კუმორძი (90. გასპარი), მაისტროვიჩი, მაკოსი, სკუფალისი (55. ფერნანდესი), ჯებური.

ბორდო: ვალვერდე, ბრეგერიე, მანგა, ჟემალი (19. ტრაორე), მარანჟი, თემულინასი (81. მუამბე), დუკასი, ლავიე, კავენაგი, ჟუსი (57. პერეა), ობერტანი.

გოლები: 1:0 ჯებური (5-პენ), 2:0 მარკოსი (19), 2:1 კავენაგი (38), 2:2 კავენაგი (75), 2:3 მუამბე (86)

მაყურებელი: 7 840

გალათასარაი–აუსტრია 0:0

გალათასარაი: ორქუნი, სერვეთი, სონგი, უგურ უჩარი, ვოლქანი, ბარიში (61. უმით ქარანი), საბრი (82. სერქანი), მეჰმეთი, არდა, ნონდა, ჰაქან შუქური (62. ჰასან შაში).

აუსტრია: ფორნეცი, ერტლი, მაისტროვიჩი, სარიარი, ტროიანსკი (86. შრაიმერი), აჩიმოვიჩი, ბლანშარი, ლასნიკი, მაირი (75. აიგნერი), მეტცი, ლაფატა (79. ოკოტი).

მაყურებელი: 7 320

	თ	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1. ბორდო	4	4	0	0	9-5	12
2. ჰელსინგბორგი	4	2	1	1	8-5	7
3. გალათასარაი	4	1	1	2	6-5	4
4. პანიონიოსი	4	1	1	2	4-7	4
5. აუსტრია	4	0	1	3	1-6	1

ბაიერნი-არისი. ლუკა ტონის გააქვს მესამე გოლი მეტოქის კარში

მოსკოვი 1980

დაგვიანებული მედლები ამერიკელი ოლიმპიელებისთვის

ამერიკელი ოლიმპიელები, რომლებსაც მოსკოვის 1980 წლის ოლიმპიადაზე გამოსვლის საშუალება ოლიმპიადის ბოიკოტის გამო არ მიეცათ, ბოლოსდაბოლოს, მიიღებენ ოქროს მედლებს და სპეციალურ სიგელებს, რომლებიც მათ აშშ-ის კონგრესის გადაწყვეტილებით მიენიჭათ.

ოღონდ, ეს არ იქნება ოლიმპიური ოქროს მედლები. 461 ოლიმპიელი, რომლებიც მოსკოვში საასპარეზოდ დიდი მონდომებით ემზადებოდნენ, მაგრამ თავის გამოჩენის საშუალება არ მიეცათ, კონგრესის ოქროს მედლებს მიიღებენ. მათ ეს მედლები ჯერ კიდევ პრეზიდენტ **ჯიმი კარტერის** დროს მიენიჭათ, მაგრამ გარკვეულ მიზეზთა გამო, ისინი არ მიულიათ, რისი მიზეზიც ის გარემოება გახდა, რომ ოქროს ამდენი მედლის დამზადება ძალიან ძვირი ჯდებოდა.

"ამ სპორტსმენებს ოლიმპიადაზე გამოსვლის საშუალება მათგან დამოუკიდებელ მიზეზთა გამო არ მიეცათ. ბევრისთვის ეს ოლიმპიადაზე გამოსვლის ერთადერთი შანსი იყო. ამიტომ, ჩვენ ვალდებულნი ვართ, ეს უსამართლობა გამოვასწოროთ", - ნათქვამია აშშ-ის ოლიმპიური კომიტეტის პრესმდივან **დერილ შაიბელის** განცხადებაში.

შეგახსენებთ, რომ ამერიკელების და ნატო-ში გაერთიანებული ქვეყნების მხრიდან მოსკოვის 1980 წლის ოლიმპიადის ბოიკოტი საბჭოთა კავშირის ავღანეთში შეჭრას მოჰყვა. ბოიკოტის მიუხედავად, სპორტსმენები ოლიმპიადის დაწყებამდე აგრძელებდნენ ვარჯიშს, რადგან იყო მოლოდინი იმისა, რომ საბჭოთა კავშირი, საერთაშორისო ზენოლის შედეგად, ავღანეთის ოკუპაციას შეწყვეტდა. მაშინ კონგრესმა ის სპორტსმენები, რომლებიც ოლიმპიადისთვის ემზადებოდნენ, მაგრამ ბოიკოტის გამო მოსკოვში არ გამგზავრებულან, კონგრესის მედლებით დააჯილდოვა.

აშშ-ის ზარაფხანამ მედლები დაამზადა, მაგრამ იმის გამო, რომ ოქრო მეტისმეტად ძვირი ღირდა, მედლების ძირითადი ტანი ბრინჯაოსგან ჩამოასხეს და ისინი გარედან ოქროს თხელი ფენით დაფარეს. ყოველივეს გამო, სპორტსმენებს არასოდეს მიულიათ მედლის მიმღების ოფიციალური მონმობა (კონრგესმა ბრინჯაოს მედლების ოქროდ აღიარებისგან თავი შეიკავა). ამ ლაფსუსის გამოსწორება ითავა საინიციატივო ჯგუფმა, რომელშიც ყოფილი სპორტსმენების და სპორტული რეპორტიორების გარდა, აშშ-ის ოლიმპიური კომიტეტის მთავარი აღმასრულებელი **ჯიმ შერიც** შევიდა.

კომისიამ არქივში მოიძია კონგრესის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების ჩანაწერები, რომელთა საფუძველზეც, ქვეყნის ოლიმპიურმა კომიტეტმა სიგელები შეადგინა და ახალი მედლები ჩამოასხმევინა. ამგვარად, 461-ვე სპორტსმენი ოფიციალურად მიიღებს კონგრესის ოქროს მედლებსაც და შესაბამის სიგელებსაც.

ცნობისათვის, კონგრესის ოქროს მედალი ყველაზე საპატიო ჯილდოა, რომელსაც აშშ-ის კონგრესი გასცემს. მისი ერთ-ერთი პირველი მიმღები კი 1776 წლის 25 მარტს ჯორჯ ვაშინგტონი გახდა.

პეკინი 2008

პეკინის ოლიმპიადა ტელეჩვენების უფლებებს არიგებს

ტელეკომპანია CCTV-ს ახალი, მშენებარე შტაბ-ბინა პეკინში

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის (სოკ-ის) გადაწყვეტილებით, ჩინეთის ტერიტორიაზე, პეკინის ოლიმპიადის შესახებ ინფორმაციის ინტერნეტით და მობილური ტელეფონით გავრცელების ექსკლუზიური უფლება, ჩინეთის სახელმწიფო ტელეკორპორაცია CCTV-ს შტოს, CCTV.com-ს გადაეცა. უფრო ადრე, სოკ-მა ჩინეთის ტერიტორიაზე ოლიმპიადის ტელეჩვენების ექსკლუზიური უფლებაც ტელეკომპანია CCTV-ს გადასცა.

"ვიმედოვნებთ, რომ კომპანია CCTV.com-ისთვის ოლიმპიადის ციფრული არხებით გაშუქების უფლების მინიჭებით, ჩვენ ამ კომპანიის თანამშრომლებს კარგი მუშაობით თავის გამოჩენის საშუალება მივეცით. მიგვაჩნია, რომ სპორტის ჩინელი მოყვარულები ჩვენი პარტნიორებისგან სრულყოფილ და ყოვლის მომცველ ინფორმაციას მიიღებენ", - ნათქვამია სოკ-ის ტელეჩვენებათა უფლებების განმკარგველი მედია კომისიის წევრ **რიჩარდ ქერიონის** განცხადებაში.

სოკ-ის პრეზიდენტი **ჟაკ როგე** იმედოვნებს, რომ ოლიმპიადის ჩინეთში გაშუქების უფლების CCTV-ს და მისი შტოსთვის გადაცემით, ყველაზე მეტ სარგებელს სპორტის ჩინელი მოყვარულები ნახავენ, რომლებსაც ცინცხალი ინფორმაციის უახლესი გზებით მიღების საშუალება ექნებათ.

აღსანიშნავია, რომ ინფორმაციის ინტერნეტით და ფიჭური ქსელით გავრცელების უფლების გაყიდვებით, ოლიმპიადის ორგანიზატორები სოლიდურ შემოსავლებს ღებულობენ. სოკ-ის ინფორმაციით, ახლავე შეიძლება იმის თქმა, რომ ვანკუვერისა (2010) და ლონდონის (2012) ოლიმპიადების ტელეეთერით და მედიის ახალი საშუალებებით (ინტერნეტი და ფიჭური ქსელი) გავრცელების უფლების გაყიდვა, წინა ორ ოლიმპიადასთან (პეკინის და ტურინის) შედარებით, თითქმის 40 პროცენტით მეტ შემოსავალს მოიტანს და ის 3 მილიარდ დოლარზე მეტი იქნება. ამ თანხის დაახლოებით 15 პროცენტი კი ინტერნეტსა და ფიჭურ კავშირგაბმულობაზე მოვა. შედარებისთვის, ტურინისა და პეკინის ოლიმპიადებიდან, ტელეჩვენებით მიღებული შემოსავალი 2.5 მილიარდ დოლარს მიაღწევს.

უნდა ითქვას, რომ პეკინიდან ყველაზე ვრცელი რეპორტაჟების მოწყობას ამერიკული ტელეკომპანია NBC გეგმავს. საერთო ჯამში, ე ს ტელეკომპანია პეკინის ოლიმპიადას 3 600 საათს მიუძღვნის. ეს დრო სხვადასხვა ტელეარხებზე განანილდება. საკუთრივ NBC-ს ეთერის პრაიმ ტაიმი ცურვის, ტანვარჯიშის და პლაჟის ფრენბურთის პირდაპირ რეპორტაჟებს დაეთმობა. ეს ტურნირები ჩინეთის დროით დილით ჩატარდება, ეს დრო კი აშშ-ის საუკეთესო სატელევიზიო დროს ემთხვევა. 3 600-დან 2 200 საათი ინტერნეტსაიტ NBCOlympics.com-ზე პირდაპირ რეპორტაჟებს დაეთმობა.

შედარებისთვის, ათენის ოლიმპიადის დროს, NBC-მ აშშ-ის ტელეეთერში ოლიმპიადას 1 210 საათი მიუძღვნა.

ქართული სპორტული ბიბლიოთეკა

სპორტული გაზეთი

მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

დირექტორი
პაატა გელაშვილი

რედაქტორები
მამუკა ჩიხლაძე
გია თვალაგეიშვილი

ქართული სპორტი
ნიკოლოზ ნეფარიძე
პაატა თოთაძე
მერაბ მამულაშვილი
დავით ცაგაძე
ლევან ჯანეზაშვილი
გია ტუხაშვილი
დავით თავართქილაძე
ირაკლი თავაძე
ვაჟა სიმონიშვილი
ზვიად შათირიშვილი
კოტა ხატისაშვილი
ბესიკ ჯანგავაძე

უცხოური სპორტი
შალვა გიგილაშვილი
გოგუფრიდ ლენცი
ილია ნიკოლაიშვილი
მერაბ ლორთქიფანიძე
დავით ჩუბინიძე
ზურაბ თალაკვაძე

რეგიონული კორესპონდენტები:
დავით კოხრეიძე, ვასილ გალახვძე, მერაბ გრძელიძე, მამუკა ქანთარია, ირაკლი დარცმელიძე, ნიკო ვაყელიშვილი

ფოტო
ალექსანდრე კოტორაშვილი
ნუგზარ სუარიძე

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ ჯაში

ტექნიკური ჯგუფი:
მანანა აკიმოვა, მზია ელიზბარაშვილი, ხათუნა სამხარაძე, დავით გეგეჭკორი, დავით შალუტაშვილი, კოტა გელაშვილი

კორექტორა
ლელა ხომასურიძე
ლევან გიგილაშვილი

გავრცელების სამსახური და ფინანსური ჯგუფი:
დავით მაისურაძე
(დირექტორის მოადგილე),
გივი ვეშაპიძე,
ქეთევან დიდბერიძე

მარკეტინგის სამსახური
თამარ ჯიშკარიანი (ტ: 46 34 48)
ბაქარ გაჩეჩილაძე (ტ: 899 91 87 17)

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 10 ივლისს გაზეთი აღადგინა მიხეილ კაკაბაძემ.

2006 წელს გაერთიანდა გაზეთ "სპორტთან".

სპორტი

გამოდიოდა
2002-06 წლებში.

ლელოს მთავარი რედაქტორები:
მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 64-76)
ერემო მახათაძე (1952-53)
ირაკლი უგულავა (1953-64)
ანზორ ბასილაია (1976-83)
არჩილ გოგელია (1984-85)
თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან)

დამფუძნებლები: **ფას გაზეთი ლელო, ფას სპორტმედია**

პარტნიორი:
საქართველოს ოლიმპიური ფონდი

ახმეტელის 10ა,
0159 თბილისი
(დიღომი, ახალი კონოსტუდია, პირველი სართული);

ტელეფონი: 46 30 98
46 30 56. 46 32 62
899 55 48 97 (მთ. რედაქტორი)
53 39 11

ფაქსი +995. 32 46 30 97

e-mail: sporti@sporti.ge
ინდექსი 66435 **INDEX**

გამოდის ყოველდღე.
გარდა კვირისა